პარტნიორი მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ივნისი **ხუთშაბათი** 2012 №151 (13 757) ფასი 80 თეთრი




## შეგიძლია, მთავარია ივარჯიშო

გუშინ ლელოს მანუჩარ მარკოიშვილი სტუმრობდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

12

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა






## კასილიასმა ხელთათმანი ისროლა

## ვინ გამოიწვია ფინალში?



## იბერიული დრო:
## 120 წუთი=0:0
## ესპანური მანძილი:
## 11 მეტრი=4:2

12

28 ივნისი: ვარშავა 22:45

გერმანია VS იტალია





იოახიმ ლიოვი

## ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა ძალგვიძს




ჯანლუიჯი ბუფონი

## შეგვიძლია თუ არა გერმანიის დამარცხება? გადახედეთ ისტორიას

5

# ბერტ ვან მარვიიკი წავიდა, ჰოლანდია თავისუფალია

## საფრანგეთში შეიძლება დეშამი დანიშნონ

ევროამბები

6,9



## ქართული ფეხბურთი

● ექსკლუზივი

### ბაქოს ნეფთჩის ვიცე-პრეზიდენტი:
# ჩვენი მეგობრობის შებღალვა ვიღაცას ფეხბურთიდანაც სურს



ტაჰირ სულეიმანოვი

ჩემპიონთა ლიგის წილისყრამ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონი "ზესტაფონი" ბაქოს "ნეფთჩს" დაუწყვილა. ეს იყო და დაიწყო: აზერბაიჯანულ პრესა ამტკიცებს, ბაქოს „ნეფთჩი" ფავორიტია და გაუმართლაო.

ცეცხლზე ნავთი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ბუიუქალა გაჯიევმა** დაასხა. მისი სიხარული გასაგებია, "ნეფთჩი" ხომ ზაგრების „დინამოსა" და ბელგრადის „პარტიზანს" ასცდა, ეს ორი კლუბი კი სახელითა და ავტორიტეტით "ზესტაფონზე" შთამბეჭდავად გამოიყურება.

მაგრამ სიხარულის გამოხატვაშიც ზომიერებაა საჭირო. გაჯიევს კი ზედმეტი მოუვიდა და ადრინდელი წყენაც ვერ დამალა: მისი განწრთნილი „ბაქი" 2006 წელს ჩემპიონთა ლიგაში **კახა ცხადაძის** ბოლნისის „სიონთან" დამარცხდა. თბილისში გამართული პირველი შეხვედრის შემდეგ ცუდი რამ მოხდა – გაჯიევმა ჯერ ცხადაძის ასისტენტ **ბადრი კვარაცხელიას** აგინა, შემდეგ ბოლნისელთა მთავარ მწვრთნელს და ცხადია, ისეთი ადეკვატური პასუხი მიიღო, წყენას დღემდე ვერ ივიწყებს.

ამას ქართული მხარისა და მედიის შესაბამისი რეაქცია მოჰყვა და როგორც ჩანს, ბაქოს "ნეფთჩის" ხელმძღვანელობა საფუძვლიანად შეშფოთდა, რადგან ასეთი ისტერია მატჩების არანორმალურ გარემოში ჩატარების წინა პირობაა.

ჩვენდა გასაოცრად, გუშინ ბაქოური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ტაჰირ სულეიმანოვი** თავად დაგვიკავშირდა და კომენტარის გაკეთება ითხოვა:

*"ქართულ მედიაში კომენტარებს გავეცანით და ორი აზრი არ არის, ორივე მხრიდან დაუფიქრებელი განცხადებების გამო არაჯანსაღი ვითარება შეიქმნა. ასე გაგრძელება კი ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ძმურ ურთიერთობებს არ წაადგება.*

*თხოვნა მექნება: თუ ჩვენი მხრიდან დაუფიქრებელი კომენტარი გაკეთდა, კლუბსა და აზერბაიჯანელ ხალხს ნუ მიაწერთ. იმავეს ვთხოვ მეორე მხარესაც. ჯერ ერთი, ეს ფეხბურთია და არა- ომი. და მეორეც: ჩვენ მართლაც ძმური ერები ვართ და არაფერი იმად არ გვიღირს, რომ ეს ურთიერთობები დავივიწყოთ. ჩვენ ერთმანეთს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ვგულშემატკივრობდით. "ნეფთჩისა" და "დინამოს" მატჩები ყოველთვის უშელავათო ბრძოლებში ტარდებოდა, მაგრამ მეგობრობისთვის არასოდეს გვიღალატია.*

*აზერბაიჯანში მრავალი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, თქვენი სპეციალისტები ჩვენს კლუბებს ავარჯიშებენ და ხალხის უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ.*

*დაე, "ზესტაფონი"-"ნეფთჩის" შეხვედრაშიც უძლიერესმა გაიმარჯვოს. საქართველოს ჩემპიონს ისეთ მაღალ დონეზე მივიღებთ, როგორც ჩვენს ძმობას შეშვენის და ყველა საორგანიზაციო საკითხს მოვუგვარებთ. დარწმუნებული ვარ, ზესტაფონშიც ასევე იქნება.*

*ვიღაცას აშკარად სურს, რომ ეს ურთიერთობები არიოს და მოშალოს; და არა მხოლოდ კლუბები, ჩვენი ხალხებიც ერთმანეთს წაჰკიდოს. მაგრამ ტრადიციული ურთიერთობას არ ვუღალატებთ.*

*მეტოქისა და ქართველი ხალხის მიმართ კიდევ ერთხელ მსურს ბაქოს "ნეფთჩისა" და აზერბაიჯანელების პატივისცემა დავადასტურო. მოკითხვას ვუთვლი "ზესტაფონს", მის პრეზიდენტს, გუნდის გულშემატკივრებსა და ქართველ ხალხს. ჩვენი შეხვედრები არა მტრობის, არამედ, მეგობრობის მაგალითი გახდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ზესტაფონი



# ფეროელები ავსტრიაში კომფორტულად დაბინავდნენ

თბილისიდან მიუნხენამდე ოთხსაათიანი ფრენისა და მიუნხენიდან ავტობუსით ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ, "ზესტაფონი" დანიშნულების ადგილას, ავსტრიის ტიროლის მხარის დაბა ფიბერბრუნში ჩავიდა. საქართველოს ჩემპიონი ფიბერბრუნის ცენტრიდან დაახლოებით სამ კილომეტრში მდებარე კომფორტულ სასტუმროში დაბინავდა და საათნახევრიანი დასვენების შემდეგ, მახლობლად მდებარე სპორტული კომპლექს "ლემგრუბეს" საფეხბურთო მოედანს მიაშურა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ქართველებს გულთბილად დახვდნენ და "ზესტაფონის" პირველმა იქაურმა ვარჯიშმა საკმაო რაოდენობის მაყურებლის დასწრებით ჩაიარა.

შეკრების პირველივე დღიდან "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი ჭიაბრიშვილი** გუნდს ორჯერადი ვარჯიშების რეჟიმში ამზადებს. საბედნიეროდ, თითქმის ყველა ფეხბურთელი თავს ჯანმრთელად გრძნობს.

ავსტრიულ შეკრებაზე პირველ საკონტროლო შეხვედრას "ზესტაფონი" 29 ივნისს, რუმინული პლოეშტის "ასტრას" წინააღმდეგ თბილისის დროით 16 საათსა და 30 წუთზე გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ჩემპიონთა ლიგა. მეტოქე

# ნეფთჩიმ სპარინგში ირანის ჩემპიონს სძლია

## ბერაიას ზესტაფონი ნეფთჩიზე ძლიერად მიაჩნია

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ნეფჩთიმ" საკონტროლო მატჩი ირანის ჩემპიონის, ისპაჰანის "სეფაჰანის" წინააღმდეგ ჩაატარა და 1:0 გაიმარჯვა. ბაქოელთა შემადგენლობიდან გამარჯვების გოლი შეხვედრის პირველ ტაიმში ბრაზილიელმა **ფლავინიომ** გაიტანა.

"ზესტაფონის" მეტოქის ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **რ. მეჰთიევი, იუნუსზადე, მიტრესკი, მანაფოვი, იმამვერდიევი, ბერტუჩი, ფლავინიო, ე. მეჰთიევი, სადილოვი, ვობაი, ალაჰვერდიევი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **სტამენკოვიჩი, გულუზადე, გულიევი.**

*"მთლიანობაში, ჩემი გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელთა შორის ურთიერთგაგება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. თანაც, მეტოქე საკმაოდ ძლიერი გვყავდა. "სეფაჰანი" ხომ არა მხოლოდ ირანის, არამედ აზიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ეს გამარჯვება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ "ნეფჩთის" ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა აუმაღლდებათ. შევეცდებით, მომდევნო მატჩებიც ეფექტურად გამოვიყენოთ და ჩემპიონთა ლიგას სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ"*, - განაცხადა ნამატჩევს "ნეფჩთის" მთავარმა მწვრთნელმა **ბუიუქალა გაჯიევმა**.

აზერბაიჯანულმა მედიამ "ნეფთჩისა" და "ზესტაფონის" მოახლოებულ დაპირისპირებაზე კომენტარი ბაქოს "ინტერის" ქართველ შემტევ **გიორგი ადამიასაც** სთხოვა.

*"ზესტაფონი" კარგი გუნდია, რომელსაც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. "ნეფთჩიცა" და "ზესტაფონიც" ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და ამიტომაც მათ შორის დაძაბულ და სანახაობრივ ბრძოლას ველოდები. "ნეფთჩი" მეტოქეზე მდიდარია და გამორჩეული ფეხბურთელები მასაც ჰყავს, მაგრამ ეს გამარჯვების გარანტია არ არის. ფაქტია, რომ საინტერესო შეხვედრებს უნდა ველოდოთ. ეს ორი მატჩი გამოაჩენს, რომელი ჩემპიონატია უფრო ძლიერი, აზერბაიჯანისა თუ საქართველოსი"*, - თქვა ადამიამ, რომელმაც შეკითხვაზე, თუ ვის უქომაგებს ამ წყვილში, დიპლომატიურად მიუგო, კარგ ფეხბურთსო.

აზერბაიჯანული პრესის სხვა რესპონდენტები რატომღაც მიიჩნევენ, რომ მათი ჩემპიონატი საქართველოსაზე უფრო ძლიერია, მაგრამ ვერ გეტყვით, რატომ აკეთებენ ამგვარ დასკვნას – ჩემპიონატის დონე, უპირველესად, ევროთასებზე მიღწეული შედეგებით იზომება, ამ მხრივ კი აზერბაიჯანელებს თავმოსაწონი ბევრი არაფერი აქვთ, მათი კლუბები ევროსარბიელზე საქართველოს წარმომადგენლებზე უფრო ცუდ შედეგებს აჩვენებენ.

საინტერესო კომენტარი გააკეთა ქართველმა ნახევარმცველმა **გოგა ბერაიამ**, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი "ზესტაფონში" გაატარა, წინა წლებში კი სხვადასხვა აზერბაიჯანული კლუბის ღირსებას იცავდა – "ყარაბახში", "ქიაფაზსა" და "გაბალაში" ასპარეზობდა. ბერაია "ზესტაფონს" "ნეფთჩიზე" ძლიერ გუნდად მიიჩნევს.

*"დარწმუნებული ვარ, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად უშელავათო ბრძოლა გაიმართება. მიმაჩნია, რომ წარმატების მეტი შანსი "ზესტაფონს" აქვს, რადგან, ჩემი აზრით, იგი "ნეფთჩიზე" მაღალი დონისაა"*, - თქვა ბერაიამ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ნეფთჩი-სეპაჰანი 1:0

● ტორპედო



### გია გეგუჩაძე:
# ყველაფერი ფსიქოლოგიური მომზადებით ინყება

*"ქართულ გუნდებს ყაზახებთან თამაშის გამოცდილება გვაქვს და მათ შორის, "აქტობესთანაც". სამწუხაროდ, ეს გამოცდილება ჩვენთვის მისალები არ არის, რადგან შარშანწინ "ოლიმპი" დამარცხდა. ამიტომ ყველანაირად შევეცდებით, ეს სტატისტიკა ჩვენს სასარგებლოდ შევცვალოთ. რაც შეეხება უშუალოდ გუნდს, ჯერჯერობით მასზე ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ მოვიპოვებთ და მის გამოყენებას შევეცდები"* – თქვა "ტორპედოს" პრესსამსახურთან გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ**.

25 ივნისს ქუთაისის „ტორპედო" ავსტრიაში დონეცკის „შახტართან" ამხანაგურ მატჩში 1:2 დამარცხდა. უკრაინელებს ტორპედოელები მოეწონათ. ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი კი ამბობს, რომ მის ფეხბურთელებს გამარჯვების რწმენა აკლიათ: *"მოთამაშეებმა უნდა დაიჯერონ, რომ თამაში ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან შეიძლება. ასეთი რანგის სპარინგები უპირველესად სწორედ ამას ემსახურება – უნდა დარწმუნდნენ, რომ არანაკლები ფეხბურთელები არიან. მაგრამ ყველაფრის თავიდათავი ფსიქოლოგიური მომზადებაა. მიმაჩნია, რომ ამ კუთხით "შახტართან" შეხვედრამ კარგი სამსახური გაგვიწია. მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, მიმაჩნია, რომ მაინც ბევრი დადებითი მხარე გამოვაჩინეთ. რომ არა შეცდომები, შეიძლებოდა, მატჩი სხვა შედეგითაც დასრულებულიყო. ორივე გოლი სწორედ შეცდომების გამო გავუშვით. ასეთი სპარინგების დადებითი მხარე ისიც არის, რომ ფეხბურთელებმა ნახეს, ევროპული დონის კლუბები სულ სხვა სისწრაფეებზე თამაშობენ და ამ ტემპთან შეჩვევა მოგვიწევს"* – ამბობს გეგუჩაძე.

"ტორპედო" ავსტრიაში ბოლო საკონტროლო მატჩს გერმანიის მესამე ბუნდესლიგელ „კარლსრუესთან" 28 ივნისს გამართავს, 29-ში კი გუნდი საქართველოში დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

თავისუფალი თემა

# კოკა-კოლა და ფენოვანი

გვირაბი და ნაზუქები, თიხის ნაკეთობები და საპურმარილე დაწესებულებები, დამღლელი გზა და ზონზროხა სატვირთო მანქანები – რიკოთის უღელტეხილზე სანახი სხვაც არის - გორმახების ძირში გაშლილი მოედნები, სადაც ბურთს ბავშვები დასდევენ.

ერთ-ერთი რიკოთული მოგზაურობის დროს გულმა ვერ გაგვიძლო და მანქანა გავაჩერეთ, ფოტოგრაფმა კამერა მოიმარჯვა და რაკურსებით გადაიღო იქაური ყმაწვილების ფეხბურთი ოღროჩოღრო, ბალახშემხმარ სარბიელზე. ის ბიჭები ბურთს ჟინიანად ათამაშებდნენ და ეს არ იყო მხოლოდ თამაში, ეს იყო დაცლა უარყოფითი ემოციებისგან, ბავშვები რალაცნაირები, ცოტათი წარბმოლუშულები ჩანდნენ. პერიფერიებში ცხოვრებაცა და ფეხბურთიც უფრო დუხჭირია, ვიდრე დედაქალაქში. კი ამბობენ, ფეხბურთი ღარიბების სპორტიაო, მაგრამ ეს სიღარიბეც არ უნდა იყოს კარგი რამე – პატარა ჯვარცმა ზოგჯერ აბოროტებს ადამიანს, ზოგჯერ კი ძალიან მიზანდასახულად აქცევს. წარმატებაც აქედან მოდის, მიზანდასახულობისგან, ოღონდაც დაბრკოლება ხანდახან იმდენია, თავდადება რომ ვერ მოერევა.

ფინანსური სარჩული აქვს. ბავშვი სკოლიდან პროფესიულ კლუბში უნდა გადავიდეს და თუ ნიჭიერია, ამას მხოლოდ საკომპენსაციო თანხის გადახდა არ ეყოფა, ის უკვე ისეთი ფეხბურთელია, სატრანსფერო ფასი რომ ადევს.

საქართველო ფეხბურთელების ექსპორტიორი ქვეყანა უნდა იყოსო, ასე ამბობენ და სწორი მიმართულებაც ეგ არის, ოღონდაც საქართველო ჯერაც დაჩაგრული ქვეყანაა და ჩვენი ნიჭიერი ბავშვიც დაჩაგრულია – სრულწლოვნებამდე ევროპულ კლუბში ვერ გადავა და თუ გადავა მხოლოდ თაღლითური გზით – ფიქტიური სტუდენტი უნდა გახდეს ან კიდევ რამე ყალბი საბუთი უნდა გაახერხოს ევროპაში ცხოვრებისა და ფეხბურთის თამაშის უფლება რომ ჰქონდეს. თაღლითობა კი კარგ ქვეყნებში ძნელად მოსახერხებელი საქმეა, ეს აქ არის ადვილი, ახალგაზრდა ფეხბურთელს ასაკი რომ გადაუკეთო და მდიდარ რუსულ კლუბს უფრო ახალგაზრდად შეასაღო, იქ კი ცოტა სხვანაირად არის საქმე. ამ დავიდარებას ჩვენი ნიჭიერი ბავშვისთვის კარგი არაფერი მოაქვს: თუ საქართველოში დარჩა, დაოსტატების ფაზაც აქ უნდა

ხინთ დუხჭირი ოჯახების ბავშვებს. ფეხბურთის თამაშს კარგი კვება და კარგი დასვენება სჭირდება, ეს კი იაფი არ ჯდება. ევროპაში ღარიბი ემიგრანტების შვილებსაც კი არა აქვთ კარგი კვების პრობლემა, ჩვენთან კი ყველაფერი ისეა აწყობილი, რომ თუ რამეს იშოვი, თავიც ამით უნდა გაიტანო. ფენოვანი და კოკა-კოლა მოზარდის ყოველდღიური საკვები რომ არის, ის ალბათ გენეტიკურად უნდა იყოს ძალიან ძლიერი, ფეხბურთელობა რომ მოახერხოს.

**რივალდოს** ბიოგრაფია თუ წაგიკითხავთ, გეცოდინებათ, რომ არასათანადო კვების გამო მას ჯეელობაში აბსცესი განუვითარდა. ის კი ბევრისთვის უცნობია, რა მწვრთნელებთან ჰქონდა მას საქმე ბავშვობაში. საკუთარი თვალით მინახავს, როგორ ლანძლავს ქართველი მწვრთნელი მოზარდს თამაშის დროს, როგორ დაუტოვებია მოედანი გალანძღულ, თვალებაცრემლებულ ბავშვს. ასეთ მწვრთნელს სკოლის დირექტორი ისევ აჩერებს სამსახურში, ბევრ მშობელს კი ჰგონია, რომ ასეთი მწვრთნელია კარგია, რადგან ის მკაცრი, მომთხოვნი და დაუნდობელია.

დასანანია ასეთ დღეში რომ ვართ,



პერიფერიებში საფეხბურთო სკოლები თითქმის არ არის, ხოლო სადაც არის, ისეთი სიტუაციაა, გული შეგიღონდებათ. არის გამონათებებიც, გულიანად მომუშავე მწვრთნელები, რომლებსაც არ ეზარებათ სოფელ-სოფელ სიარული, მაგრამ ბავშვთა მწვრთნელობა პროფესიაა და ჯამაგირსაც ითხოვს.

თბილისის უბნებში ბევრია მერიის მიერ გაკეთებული ხელოვნურსაფრიანი მოედანი და ბევრჯერ მინახავს მოედნის ღობეზე აკრული აბრა ამა თუ იმ კლუბის სახელწოდებით. ასეთ დროს კლუბის სახელი ძალიან ტრივიალურია, კარგად არის გათვლილი მშობელზეც და ბავშვზეც, ასეთ საფეხბურთო სკოლაში ბავშვის მიყვანა 10-20 ლარით უფრო იაფია, ვიდრე იმ სკოლაში, რომელსაც თავისი მოედნები, დამფუძნებლები და დირექტორები ჰყავს.

დალაგებულ-დავარცხნილ სკოლებში გეტყვიან, რომ ნიჭიერ ბავშვებს ფულს არ ახდევინებენ, ანუ ბავშვები ორ კასტად ჰყავთ დაყოფილები – ვისგანაც არაფერი გამოვა, მან ფული უნდა გადაიხადოს, ხოლო ვისაც რამე პერსპექტივა აქვს, იმას იქით ვუპატრონებთ.

ბავშვების ასეთნაირად გამორჩევა ჩვენებური, ქართული წესია და ზოგ სკოლას ეამაყება, რომ საქმე ასე აქვს აწყობილი. ცხადია, დიფერენციაციას გაიაროს, თუ უცხოეთში მაინც წავა, ბავშვობიდან თაღლითობას შეეჩვევა.

მოიყვანე ბავშვი ჩვენთან და მერე მას **მერაბ ჟორდანიას** "ვიტესში" გავუშვებთ, მოიყვანე ბავშვი ჩვენთან და თქვენ, მშობლებს ხელფასს დაგინიშნავთ, მოიყვანეთ ბავშვი ჩვენთან და ხვალ მას დორტმუნდის "ბორუსიაში" გავუშვებთ, მოიყვანეთ ბავშვი ჩვენთან და ხვალ ის რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში მოხვდება, რადგან იმ ნაკრების მწვრთნელი ჩვენიანია... ნიჭიერი ბავშვის მშობელს ასეთი და კიდევ სხვანაირი შემოთავაზებები არ აკლიათ, არის სხვა წინადადებაც, როცა ქართულ საფეხბურთო კლუბს სურს მოზარდის აყვანა, მაგრამ მშობელზე უფრო ის შემოთავაზებები მოქმედებს, გულს უცბად რომ აუფორიაქებს...

თბილისი ბავშვთა ფეხბურთშიც თავკომბალა გახდა, პერიფერიებში საფეხბურთო ინტერნატი თუ აკადემია ჯერ არ არის, "ზესტაფონი" და "ტორპედო" ლიხს იქით მოწინავე კლუბები კი არიან, მაგრამ ახლაღა იწყებენ ზრუნვას ბავშვთა ფეხბურთისთვის. პატარა ქალაქებსა და სოფლებში შესაძლოა, ფეხბურთი უფრო უყვართ კიდეც, ვიდრე დედაქალაქში, თუნდაც იმიტომ, რომ წარმატების მისაღწევად ეს ლამის ერთადერთი გზა არის. არც თბილისში ულ-

რადგან საქმის გამოსწორება შეუძლებელი სულაც არ არის. ბავშვმა ფეხბურთზე უფასოდ უნდა იაროს ან უმაღლესი ლიგის კლუბის აკადემიაში ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ საფეხბურთო სკოლაში, ასე მუშაობენ ევროპაში და ვფიქრობ, ამაზე უკეთესს ჯერ ვერაფერს მოვიგონებთ.

ხომ კარგად გამოჩნდა, რომ ეროვნული ნაკრების ძვირიან მწვრთნელებში მოსროლილი მილიონები ფუჭი გამოდგა და რომ დოვლათს სხვა მიმართულება უნდა გამოუჩნდეს. ფულის სწორად ხარჯვა კი მოიტანს იმას, რომ პერიფერიელი ბავშვები წარბმოლუშულად აღარ ითამაშებენ ფეხბურთს, რომ მათაც ექნებათ ნორმალური მოედანი და მათაც ეყოლებათ კარგი მწვრთნელი. ფულის სწორად ხარჯვით გაქრებიან ის მწვრთნელები, ბავშვებს უტიფრად რომ ექცევიან, ფულის სწორად ხარჯვით მშობლები დაინახავენ, თუ რა არის უკეთესი მათი შვილებისთვის. ფულის სწორად ხარჯვით ვინძლო ევროკავშირშიც კი შეგვიშვან და მერე ნახეთ, რამდენ ნიჭიერ ქართველს გაეხსნება გზა...

ფეხბურთს კი ისევ ღარიბები ითამაშებენ.

**დავით თავართქილაძე**

ევროპის ლიგის წინ. მეტოქე




# ითამაშებს დევდარიანი გორის დილასთან?

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საინტერესო პაექრობა გველოდება: გორის "დილა" და დანიური "ორჰუსი" წინა სეზონში დაქვეითებულები იყვნენ, მაგრამ ელიტაში წარმატებით დაბრუნდნენ და ევროსაგზური მოიპოვეს.

შეგახსენებთ, რომ "ორჰუსში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **დავით სხირტლაძე** და ეროვნული გუნდის კანდიდატი **დავით დევდარიანი** თამაშობენ.

საერთოდ, პოსტსაბჭოელებისგან განსხვავებით, ევროპასა და მთელ მსოფლიოში გაცილებით ხანმოკლე შეკრებებია მიღებული და ერთთვიან შეკრებებს დანიელებიც არ ცნობენ: ზამთარში მაქსიმუმ 10 დღეს სჯერდებიან, ზაფხულში საკუთარ ბაზაზე ვარჯიშობენ, ფორმის აღდგენას კი საკონტროლო მატჩებით, ფიზიკური მომზადებით, სირბილითა და ტრენაჟორებით დატვირთვით ახერხებენ.

"ორჰუსი" ზაფხულში პირველი საკონტროლო შეხვედრის გასამართად შვედეთში "გეტებორგს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა.

მატჩის მიმოხილვიდან ჩანს, რომ "ორჰუსის" მთავარი მწვრთნელი **პიტერ სორენსენი** თავის გუნდს დღეისათვის 4-4-2 განლაგებით ათამაშებს, დავით სხირტლაძე კი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა.

ორჰუსი: **ოუსაგერი – მოლდსკრედი, სორინი, კურე, კირკესკოვი – ბერგი, იორგენსენი, სლოტი, პეტერსენი – იოჰანსონი, სხირტლაძე.**

სხირტლაძე მეორე ტაიმში შეცვალეს, დევდარიანს კი ტრავმის გამო არ უთამაშია. დევდარიანი გუნდს მალე შეუერთდება, მაგრამ ჯერ ძნელი სათქმელია, მოასწრებს თუ არა ტრავმის მოშუშებას და ევროპალიგაზე "დილას" წინააღმდეგ თამაშს.

"ორჰუსი" მომდევნო საკონტროლო მატჩს 29 ივნისს საკუთარ მოედანზე დანიის პირველი დივიზიონის "ვეილე-კოლდინგთან" გამართავს, სადაც სამი წლის წინ **მიხეილ ბარაბაძე** თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გორელები დანიელებთან იმედიანად არიან

გორის "დილა" ავსტრიაში მზადებას აგრძელებს. ადგილობრივ "ჰარტბერგთან" 3:0 გამარჯვების შემდეგ, ფეხბურთელებმა ამ მატჩსა და ევროპალიგაში მომავალ მეტოქე "ორჰუსზე" კომენტარი გააკეთეს.

**ლაშა სალუქვაძე**: *"ნელ-ნელა ფორმაში შევდივართ. ფეხბურთელებმაც უკეთ გავუგეთ ერთმანეთს. მთავარია, ფორმის პიკს ევროპის ლიგის მატჩებისთვის მივაღწიოთ. "ორჰუსი" კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენთვის გადაულახავი ბარიერი ნამდვილად არ არის".*

**გიორგი შაშიაშვილი**: *"როგორც იქნა, გოლების და მოგების გემო გავიხსენეთ. ავსტრიაში გამოსვლებიდან მახსოვს, "ჰარტბერგი" კერკეტი კაკალი იყო, ქვეყნის თასზე ლიდერებს "ეჭიდავებოდა" და ბევრი მათგანი დაუმარცხებია. ჩვენ კი შევთამაშდით, ჯანიც მოგვივიდა, მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც შეკრების დროს უნდა იყოს. იმედია, მე-2 შეკრების შემდეგ, ევროტურნირისთვის ბოლომდე მზად ვიქნებით".*

**გიორგი კახელიშვილი:** *"ცუდია, დანიელებთან ორივე მატჩის გამოტოვება რომ მომიწევს. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. იმედია, დანიური ბარიერის გადალახვას შევძლებთ და შემდეგ შესაძლებლობების გამოჩენის შანსი მეც მომეცემა. ძალიან ხისტი და ფიზიკურად ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა, ბურთითაც არა უშავდათ, მაგრამ ისე ძალიან გვინდოდა მოგება, რომ დიდი ანგარიშით დავამარცხეთ".*

გუშინ "დილამ" კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი ჩაატარა რუმინულ "ჩაჰლაულთან" და 1:2 დამარცხდა. გორელთაგან ერთადერთი გოლი პენალტით **სანდრო გურულმა** გაიტანა.

კენჭისყრის შედეგებზე კი "დილას" პრესსამსახურთან კომენტარი გააკეთა "დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ შალამბერიძემ**: *"ორჰუსი" საშუალო დონის ევროპული კლუბი და საკმაოდ სერიოზული მეტოქეა - დაბალანსებული, მებრძოლი და შეკრული შემადგენლობით. დიდი ისტორია გააჩნია, მე-19 საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა, ქვეყნის თასის 7-გზის გამარჯვებულია და ქვეყნის ჩემპიონატი 5-ჯერ აქვს მოგებული. თუმცა არც ჩვენ ვართ იოლად ხელწამოსაკრავები. ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენი ფეხბურთელების მეიმედება და მჯერა, მოედანზე ბოლომდე დაიხარჯებიან".*

**მერაბ მამულაშვილი**

მეტალურგი

# მარცხი უკრაინელებთან

სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა რუსთავის "მეტალურგმა" მორიგი საკონტროლო მატჩი უკრაინულ "გოვერლასთან" ჩაატარა და 0:1 დამარცხდა. მეტოქემ გოლი შეხვედრის 27-ე წუთზე გაიტანა.

**კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **ბათიაშვილი (46. ბედიაშვილი), ჯაფარიძე (46. კაკუშაძე), გავაშელიშვილი, კვარაცხელია (46. მახვილაძე), სუხიაშვილი, დობროვოლსკი (46. მაისურაძე), რაზმაძე (46. ქავთარაძე), ლობჟანიძე, მიქაბერიძე, თექთურმანიძე (46. გეწაძე), სიხარულიძე (46. ტატანაშვილი).**

"მეტალურგი" საქართველოში ხვალ დაბრუნდება და ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას რუსთავში, "ფოლადის" სტადიონზე გააგრძელებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ფეხბურთი

● ზუგდიდი

# კვალიფიციური ახალწვეულები

## ზუგდიდს ოთარ გაბელია ჩაიბარებს

**ბოიომო ფრიდოლინი**, **ალექსანდრე კოშკაძე, დავით ბოლქვაძე, სევასტი თოდუა, ლაშა ძაგანია, ლადო ნადირაშვილი, როინ ონიანი** – ეს იმ ფეხბურთელების ჩამონათვალია, რომლებთანაც უმაღლეს ლიგაში ზუგდიდის "ბაიას" ნაცვლად მოთამაშე "ზუგდიდმა" სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღე-დღეზე კონტრაქტებსაც გაუფორმებს.

შეგახსენებთ, ნადირაშვილმა და კამერუნელმა ბოიომომ გასული სეზონი ფოთის "კოლხეთში" დაასრულეს, კოშკაძე წლების განმავლობაში თბილისის "დინამოს" კაპიტანი იყო, ბოლქვაძე ბოლოს ბოლნისის "სიონში" გამოდიოდა, თოდუა რუსთავის "მეტალურგში" ასპარეზობდა, ძაგანია ცხინვალის "სპარტაკის" კარს იცავდა, ონიანი კი ლანჩხუთის "გურიაში" გამოდიოდა.

როგორც ხედავთ, ახალწვეულთა არცთუ ურიგო სიაა, რომელიც შეიძლება, კიდევ უფრო გაიზარდოს. "ზუგდიდი" მომავალი სეზონისთვის მზადებას, სავარაუდოდ, დღეიდან შეუდგება. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** იქნება, **ელგუჯა ქომეთიანი** კი მის ასისტენტად იმუშავებს.

განიხილება უცხოური შეკრების ვარიანტი. როგორც ქომეთიანმა გვითხრა, საამისო სახსრები აუცილებლად გამოინახება და "ზუგდიდი" შეკრებაზე თურქეთში, ავსტრიაში ან სლოვენიაში გაემგზავრება.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ზუგდიდის სტადიონის მშენებლობის დასრულებამდე "ზუგდიდი" საშინაო მატჩებს განმუხურის ახლად აგებულ არენაზე ჩაატარებს. ზუგდიდური კლუბის მიზანი უმაღლესი ლიგის ექვს საუკეთესო კლუბს შორის მოხვედრა იქნება.

რაც შეეხება "ბაიას", შესაძლოა, ამ სახელწოდების კლუბმა პირველ ლიგაში ითამაშოს, "ბაიას" საფეხბურთო აკადემია კი არსებობას დანამდვილებით გააგრძელებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ოთარ გაბელია

● სინჯების შემდეგ

# ხუციძე ამერიკიდან ნამოვიდა

**ირაკლი ხუციძე** "კოლამბუსში" არ ითამაშებს, - ეს ამბავი "გაგრას" პრესსამსახურმა მოგვაწოდა.

ამერიკის "მეიჯორ ლიგის" კლუბში გასინჯვაზე მყოფი 21 წლის მცველი საქართველოში ბრუნდება იმის მიუხედავად, რომ სარეზერვო გუნდში კარგად ითამაშა.

"გაგრას" პრესსამსახურის ცნობით, ხუციძე საქართველოში ლეგიონერების ლიმიტის გამო ბრუნდება, მაგრამ არ არის გამორიცხული, ირაკლიმ აშშ-ში ძალები იანვარში კიდევ ერთხელ მოსინჯოს.

ხუციძეს თბილისში 30 ივნისს ელიან, ორ დღეში კი გუნდთან ერთად ვარჯიშს განაახლებს.

**მერაბ მამულაშვილი**


ირაკლი ხუციძე




## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ჩემი ... ბიბლიოთეკა

# აიაქსი – ოცნების ახდენა

გაგრძელება. დასაწყისი:
**ლელო №110 (13716)**

„აიაქსმა“ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრეში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მე ოცი გოლით კლუბის ბომბარდირი გავხდი!.. კონტრაქტი ერთ წელიწადში მიმთავრდებოდა და გუნდის ტექდირექტორს, ცნობილ დონ ლეოს (**ლეო ბენჰაკერს**) მის გაგრძელებაზე რამდენჯერმე ვესაუბრე. მართალია, პირობები არ მომეწონა, მაგრამ ის, რომ „აიაქსს“ ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება სურდა, ჩემთვის ძალიან საამაყო იყო.

ბოლო თამაში ამსტერდამ „არენაზე“ 5:0-ით მოვიგეთ! მე ერთი გოლი გავიტანე. მეორე დილას კლუბში ჩემი ნივთების წამოსაღებად მივედი, იმავე დღეს თბილისში მივდიოდი სანაკრებო შეკრებაზე. გასახდელში შევედი თუ არა, მითხრეს, ადმინისტრაციაში გელოდებიანო, და პირდაპირ ზევით ავედი. ვიფიქრე, ალბათ კონტრაქტის თაობაზე მიბარებენ, რადგან თბილისში მივდიოდი და შემდეგ საზაფხულო არდადეგები იწყებოდა. ოთახში შევედი, „აიაქსის“ წარმომადგენლების გარდა ერთი უცხო, — ლათინური წარმოშობის კაცი დამხვდა. გავიფიქრე, ნამდვილად რომელიმე ესპანური გუნდი მეპატიჟება-მეთქი, და ძალიან გამიხარდა. დავჯექი, თან ვფიქრობდი, ნეტავ რომელი გუნდიდან არიან-მეთქი?.. ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. მე ფიქრებსა და ოცნებებში წავედი... რამდენჯერმე ნათქვამმა სიტყვა „პოლისმა“ გამომაფხიზლა და ვიკითხე, რა ხდება, რა პოლისი, რის პოლისი-მეთქი? მაშინ შევამჩნიე, რომ „აიაქსის“ წარმომადგენლები საკმაოდ ნერვიულობდნენ. ეს სახეზე ეწერათ. შემდეგ ამიხსნეს, რომ ჰოლანდიის საგადასახადო პოლიცია მედავებოდა და მათ წარმომადგენელს პოლიციაში უნდა გავყოლოდი. ეს ის კაცი იყო, რომელზეც რატომლაც ვიფიქრე, ლათინური წარმომავლობის არის-მეთქი.

ამ საქმეს თავდაპირველად საგადასახადოს უფროსი, წარმოშობით პორტუგალიელი, **ტონინო** იძიებდა. არ შევმცდარვარ, ჩემთან მოსული „სტუმარი“, მართლაც, ლათინური წარმოშობის იყო... ეს ამბავი თავიდან სერიოზულად ვერ აღვიქვი. მეგონა, ყველაფერი ძალიან მალე გაირკვეოდა და გამომიშვებდნენ. ქამარი და თასმები რომ მომხსნეს და საკანში ჩამკეტეს, აი მაშინ კი შემოვირტყი თავში ხელი... არც ჩემებთან დამარეკვინეს და არც ის მითხრეს, როდის გამიშვებდნენ სახლში.

ეს ინფორმაცია სასწრაფოდ მოედო ქვეყანას. თბილისში, გაზეთმა „სარბიელმა“ პირველ გვერდზე გამომაჭენა, არც კი უფიქრიათ, ჩემებმა იცოდნენ თუ არა რამე... მოხუცებმა, — ჩემმა ბებიამ და ბაბუამ იცოდა თუ არა. არც რამის გარკვევა დაიწყეს, — დაიჭირეს და მორჩა!.. პრინციპში მართალი იყო, მე დაპატიმრებული ვიყავი! ამსტერდამში ერთი ამბავი ატყდა, — ჩემი ახლობლები, ყველა ჩვენი ელჩი ახლომდებარე ქვეყნებიდან: — **კოტე ზალდასტანიშვილი**, **კოტე გაბაშვილი**, იუსტიციის მაშინდელი მინისტრი, **მიხეილ სააკაშვილი**, რომელიც ჰოლანდიაში იმყოფებოდა... ყველა ცდილობდა, რამეთი დამხმარებოდა და, სიმართლე გითხრათ, მათი გვერდში დგომა ფსიქოლოგიურად ძალიან დამეხმარა. ამან გადამატანინა ჩემთვის ალბათ ყველაზე ძნელი დღეები...

ოჯახში ყველა გიჟს ჰგავდა, არავინ იცოდა, სინამდვილეში რა ხდებოდა, კლუბი კომენტარს არ, ან ვერ აკეთებდა. ჩემი ადვოკატები დღის ბოლოს გამოჩნდნენ, მითხრეს, — ალბათ სამი დღე მოგიწევს აქ ყოფნა, სანამ ყველა კითხვას არ გასცემ პასუხსო. როგორც აღმოჩნდა, საქმე ჩემი და **აჩის** თურქეთიდან წამოსვლას და „აიაქსის“ „ტრაბზონსპორისთვის“ გადასახდელ ტრანსფერს ეხებოდა. პრინციპში, გამომძიებლებმა იცოდნენ, რომ დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ ტრანსფერი მე მეხებოდა და კითხვებზე პასუხიც მე უნდა გამეცა. იქ გავიგე, რომ იმავე საკანში ჩემამდე ვილაც რუსი **პაშა** მჯდარა, რადგან ყველგან თავისი სახელი ჰქონდა ამოტვიფრული... ისიც ეწერა, რომ პოლიციელები ეზიზღება და თავისუფლება ისე უყვარს, როგორც თოლიას — წყალი. — „ლუბლუ სვობოდუ, კაკ ჩაიკა ვოდუ“! ორი ქართველი თარჯიმანი ქალი მოიყვანეს. ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ, ალბათ დიდი ხანია რაც ჰოლანდიაში ცხოვრობდნენ, ერთ-ერთს ავუხსენი, რომ ჩემებმა არაფერი იცოდნენ და ძალიან ნერვიულობდნენ. მინდოდა, დაერეკა და დაეწყნარებინა, ეთქვა, რომ კარგად ვარ და მალე ყველაფერი გაირკვეოდა, რაზეც უცნაური პასუხი მივიღე, თანაც ჰოლანდიურად. მითხრა, რომ ფიცი ჰქონდა დადებული და ამას ვერ შეძლებდა (?!)... მხოლოდ დარეკვას ვთხოვდი, მეტს არაფერს. ისეთ დღეში ვიყავი, რა მეხუმრებოდა, მაგრამ მისი პასუხის შემდეგ, პირველი, რაც თავში მომივიდა,



იყო: - „შტო, ვ მასკვე იესტ სტანცია მეტრო იმენი ბაგრატიონი, ი კაგდა ია, პრაიჟაიუ მიმა ეტოი სტანციი, უ მენია ვსეგდა სლიოზი ვ გლაზახ, ი ეტი სლიოზი გორდასტი. ია გარჟუს, შტო ეტოტ ველიკიი პალკავოდეც მოი საატეჩესტვენიკ, ი სეიჩას უ მენია სლიოზი ნა გლაზახ, ტოლკო ეტი სლიოზი სტიდა, ი, მნე სტიდნა, შტო ია ტოჟე გრუზინ“... ოლონდ, მერე გამახსენდა, რომ დაპატიმრებული მე ვიყავი და არა ის თარჯიმანი, ამიტომაც აღარაფერი მითქვამს...

**თამუნაც** თბილისში იყო. ჩემმა მეგობარმა, **დავიდ ენდმა**, ჩემი ადვოკატის **ლეო სპიხტის** ტელეფონი გაუგო და თამუნამ მასთან დაკავშირება შეძლო. ამის შემდე მათ ხშირი სატელეფონო კავშირი ჰქონდათ. ადვოკატი მუდმივად აწვდიდა უკანასკნელ ცნობებს. მასთან პირველივე შეხვედრისას დავმშვიდდი, მივხვდი, რომ ჩემი ბედი საიმედო ხელში იყო, რომ იგი შეძლებდა ამ გაუგებრობის მალე მოგვარებას. ყველაფერი გამომკითხა, რაღაცნაირი ბოხი ხმა ჰქონდა და ამავე დროს — ძალიან დინჯი და დამაჯერებელი. მასთან საუბრისას გავარკვიე, რომ რამდენიმე წლის წინ, სასამართლოში „აიაქსის“ ინტერესებსაც იცავდა და მოიგო კიდევაც ის საქმე. ჩემი დაცვისას კი შეიძლება „აიაქსის“ მოწინააღმდეგე მხარე გამოსულიყო, რამაც ლოგიკური კითხვა გამიჩინა და ვკითხე, — რატომ მე და არა „აიაქსი“, რაზეც მიპასუხა, რომ მისი შვილი ჩემი გულშემატკივარი ყოფილა და მას უთხოვია ჩემი დაცვა. რა თქმა უნდა, ძალიან მესიამოვნა, თანაც ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, ასეთმა ამბავმა ძალიან გამამხნევა.

**კიჭას** და **თამრიკოს** თურმე სამი დღე სიტყვა არ დაუძრავთ, პირში ლუკმაც არ ჩაუდიათ და, საერთოდ, ალბათ ცხოვრებაში ყველაზე რთული დღეები ჰქონდათ. აბა როგორია, როცა იცი, რომ შენი შვილი ციხეშია და არანაირი ინფორმაცია არა გაქვს!..

პოლიციის განყოფილებაში მართლაც განსაკუთრებულად კარგად მექცეოდნენ, ზოგს ჩემი „მაიკა“ უნდოდა, ზოგს ავტოგრაფი. მოკლედ, ჩემმა ადვოკატებმა ბევრი იშრომეს და სამ დღეში იმ თვითმფრინავში ვიჯექი, რომელიც თბილისში მოფრინავდა... ეს სამი გიჟური დღე არასოდეს დამავიწყდება!..

მთელი საქართველო ფეხზე დადგა და განიცადა. ყველა ცდილობდა, როგორმე დამხმარებოდა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მას, ვინც ღირსეულად ემსახურება საკუთარ ქვეყანას, გაჭირვების შემთხვევაში თავის შვილებს განსაცდელში არასოდეს მიატოვებს!..

რომ იტყვიან, — „ს კარაბლია — ნა ბალ“! - საკნიდან პირდაპირ სტადიონზე აღმოვჩნდი, - ნაკრები იტალიას ეთამაშებოდა. **„ყიფოს“** და **რეზო ძოძუაშვილს** ვთხოვე, რომ ძირითადში არ მეთამაშა, რადგან ურთულესი სამი დღე გადავიტანე. პრინციპში, შევთანხმდით კიდეც, ოლონდ „მიხიჩა“ მაინც უკმაყოფილო იყო, — რა გჭირს, შეჩემა, **ედიკა სტრელცოვმა** რვა წელი გაატარა ციხეში, რომ გამოვიდა საუკეთესო იყოო. შენ კი, სულ რაღაც სამი დღე იჯექიო. უნდოდა, თავიდანვე მეთამაშა, და მეჩხუბებოდა.

გაგრძელება იქნება

1/2 ფინალის წინათქმა

# ევრო 2012

## 28 ივნისი. ვარშავა. ეროვნული. 22:45



| გერმანია | იტალია |
|---|---|
| **სავარაუდო შემადგენლობები** | |
| ნოიერი | ბუფონი |
| ბოატენგი | აბატე |
| ჰუმელსი | ბარცალი |
| ბადშტუბერი | ბონუჩი |
| ლამი | კიელინი |
| შვაინშტაიგერი | პირლო |
| ხედირა | დე როსი |
| მიულერი | მარკიზიო |
| იოზილი | მონტოლივო |
| პოდოლსკი | კასანო |
| კლოზე | ბალოტელი |
| **ტრავმა** | |
| არავინ | არავინ |
| **დისკვალიფიკაცია** | |
| არავინ | მაჯო |
| **მსაჯი** | |
| სტეფან ლანუა (საფრანგეთი) | |

### მიმდინარე სტატისტიკა

**გერმანია**

VS პორტუგალია 1:0
VS ჰოლანდია 2:1
VS დანია 2:1

1/4 ფინალი

VS საბერძნეთი 4:2

მეკარე: *მანუელ ნოიერი (4 თამაში)*

**მცველები:** *ჰოლგერ ბადშტუბერი (4), ჟერომ ბოატენგი (3), მატს ჰუმელსი (4), ფილიპ ლამი (4, 1 გოლი).*

**ნახევარმცველები:** *ლარს ბენდერი (3, 1), მარიო გიოტცე (1), სამი ხედირა (4, 1), ტონი კროოსი (3), თომას მიულერი (4), ლუკას პოდოლსკი (3, 1), მარკო როისი (1, 1), ანდრე შურლე (2), ბასტიან შვაინშტაიგერი (4).*

**თავდამსხმელები:** *მარიო გომესი (4, 3), მიროსლავ კლოზე (4, 1).*

**იტალია**

VS ესპანეთი 1:1
VS ხორვატია 1:1
VS ირლანდია 2:0

1/4 ფინალი

VS ინგლისი 0:0 (პ 4:2)

მეკარე: *ჯანლუიჯი ბუფონი (4 თამაში)*

მცველები: *ინაციო აბატე (2), ფედერიკო ბალცარეტი (2), ანდრეა ბარცალი (2), ლეონარდო ბონუჩი (4), ჯორჯო კიელინი (3), კრისტიან მაჯო (3).*

**ნახევარმცველები:** *დანიელე დე როსი (4), ალესანდრო დიამანტე (2), ემანუელე ჯაკერინი (2), კლაუდიო მარკიზიო (4), რიკარდო მონტოლივო (2), ტიაგო მოტა (3), ანტონიო ნოჩერინო (2), ანდრეა პირლო (4, 1 გოლი).*

**თავდამსხმელები:** *მარიო ბალოტელი (4, 1), ანტონიო კასანო (4, 1), ანტონიო დი ნატალე (3, 1), სებასტიან ჯოვინკო (2).*

### ურთიერთშეხვედრები

**30 თამაში**

**14 იტალია, 7 გერმანია, 9 ფრე, 45-34 (იტალია)**

**ბოლო ოფიციალური დაპირისპირება**

**04.07. 2006 გერმანია-იტალია 0:0 დ.დ 0:2 მუნდიალი 2006**

■ დღევანდელ პაექრობაში, გერმანელები შეეცდებიან, რომ თვით ისტორიის საწინააღმდეგოდ წავიდნენ და იტალიის ნაკრები პირველად დაამარცხონ ოფიციალურ შეხვედრაში.

■ როგორც უკვე ალვნიშნეთ, იტალიელებს არც ერთი ოფიციალური მატჩი არ წაუგიათ გერმანელებთან, გამარჯვებები კი არაერთი შეგვიძლია გავიხსენოთ – "სკუადრა აძურამ" ბუნდესგუნდი ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში: ერთხელ 1970 წელს, მეორეჯერ კი 2006 წელს. 1982 წლის მუნდიალზე, ეს გუნდები ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ის მატჩიც იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა, 3:1.

■ გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში აქამდე 6-ჯერ უთამაშია და აქედან, მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. იტალიის ნაკრები ამ სტადიაზე მხოლოდ სამჯერ იყო და იქიდან, ორჯერ გავიდა ფინალში.

# ტიტანების ჯახი

## გერმანია ისტორიის წინააღმდეგ

გერმანიისა და იტალიის დაპირისპირებას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ტიტანების ბრძოლა, რადგან ერთმანეთის პირისპირ ევროპის ყველაზე ტიტულოვანი გუნდები წარსდგებიან. ბუნდესგუნდი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი სამჯერ იყო – მართალია, იტალიელებს კონტინენტის პირველობა მხოლოდ ერთხელ აქვთ მოგებული, მაგრამ სამაგიეროდ, მუნდიალი 4-ჯერ მოიგეს და ამ მხრივ, მხოლოდ ბრაზილიელებს ჩამორჩებიან. გერმანელებს და იტალიელებს ურთიერთდაპირისპირებათა უდიდესი ისტორია აქვთ, უპირატესობას კი აპენინელები ფლობენ – მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ბუნდესგუნს „სკუადრა აძურა" ოფიციალურ მატჩში ჯერ არ დაუმარცხებია. დღეს, ობიექტური მიზეზების გამო, უმეტესობა ფავორიტად გერმანიას მიიჩნევს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანალოგიური ვითარება იყო 2006 წლის მუნდიალის ნახევარფინალური მატჩის წინაც – გემახსოვრებათ, ის შეხვედრა იტალიელებმა დამატებით დროში, ორი უპასუხო გოლის წყალობით მოიგეს. ნებისმიერ შემთხვევაში, წინ უაღრესად საინტერესო მატჩი გველოდება.

### პრესკონფერენცია

**იოახიმ ლიოვი**

*გერმანიის ნაკრები ერთ მუშტად შეკრული გუნდია, რომელსაც ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა შეუძლია. წინა შეხვედრებში ნათლად გამოჩნდა, რომ როტაციის საშუალება გვაქვს – ამიტომ, სასტარტო შემადგენლობას თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დავასახელებ. ჩვენ გუნდი ვართ და იტალიასთან, ამას კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ".*





**ჩეზარე პრანდელი**

*გერმანიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ არა დაუმარცხებელი. საერთოდ, დაუმარცხებელი გუნდები არ არსებობენ. მეტოქეს პატივს ვცემ, მაგრამ მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. იტალიის ნაკრები მზად არის უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის, რომელმაც ფინალის საგზური უნდა მოგვიტანოს.*

### წარსული

ამ გუნდებს, ურთიერთდაპირისპირებათა იმდენად დიდი ისტორია აქვთ, რომ ასე ორი სიტყვით ვერ შემოვიფარგლებით. გერმანიამ და იტალიამ რამდენიმე ეპოქალური მასშტაბის მატჩი გამართეს და შეგვიძლია, გავიხსენოთ ეს თამაშები... როგორც უკვე ალვნიშნეთ, ბოლო ოფიციალური მატჩი ბუნდესგუნდმა და „სკუადრა აძურამ" 2006 წლის მუნდიალის ნახევარფინალურ ეტაპზე გამართეს; მატჩი წინ, ფავორიტად გერმანია გახლდათ მიჩნეული, რადგან ეს გუნდი ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობდა და თანაც, საკუთარ კედლებში ილებდა ნებისმიერ მეტოქეს. მაშინ, გერმანიის ნაკრებს **იურგენ კლინსმანი** წვრთნიდა, მისი ასისტენტი კი ბუნდესგუნდის დღევანდელი თვკაცი, **იოახიმ ლიოვი** იყო – იტალიას კი მაესტრო **მარჩელო ლიპი** ედგა სათავეში. ყველასათვის მოულოდნელად, შეხვედრა აპენინელთა უპირატესობით წარიმართა და მომენტებიც გერმანელთა კართან გაცილებით მეტი შეიქმნა; გატანა შეეძლოთ **ალბერტო ჯილარდინოს, ჯანლუკა ძამბროტას, ანდრეა პირლოს, სიმონე პეროტას**... მოკლედ, იტალიელებმა კარგად უბრახუნეს **იენს ლემანის** კარის მიმართულებით და საწადელს დამატებითი დროის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მიაღწიეს – საბედისწერო დარტყმა ანდრეა პირლოს პასის შემდეგ, **ფაბიო გროსომ** შეასრულა; იქვე, იტალიელებმა მეორე გოლი შეაგდეს, თავი **ალესანდრო დელ პიერომ** გამოიჩინა და დასრულდა კიდეც ყველაფერი.

დაუვიწყარია 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, სადაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი იტალიამ მიწასთან გაასწორა და ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაუტანა. „სკუადრა აძურამ" ის თამაში 3:1 მოიგო, გოლები კი **როსიმ, ტარდელიმ** და **ალტობელიმ** გაიტანეს – ტარდელის ფიესტა კი დღემდე დაუვიწყარია და თითქმის ყველა საფეხბურთო ვიდეო-რგოლში გვხვდება.

ცალკე სალაპარაკო თემაა 1970 წლის მუნდიალის ნახევარფინალური ჯახი, რომელშიც იტალიელებმა გერმანელები 4:3 დაამარცხეს – იმ შეხვედრის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, დანარჩენი გოლები კი დამატებით ტაიმებში გავიდა. ბევრის აზრით, ეს არის ყველა დროის საუკეთესო მატჩი და ამით ყველაფერია ნათქვამი.

### დღეს

გუშინდელ ნომერში გამცნეთ, რომ ტრავმირებული ფეხბურთელები ორივე მხარეს გამოჯანმრთელდნენ და ნახევარფინალური პაექრობისთვის სრულ მზადყოფნაში არიან. ეს ეხება როგორც **ბასტიან შვაინშტაიგერს** გერმანიიდან, ისე ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელს იტალიიდან: **დანიელე დე როსის, ინაციო აბატეს, ტიაგო მოტას** და **ჯორჯო კიელინის**. ანუ, ამ მხრივ, ყველაფერი რიგზეა და გუნდები ოპტიმალური შემადგენლობით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ერთი ეგაა, **კრისტიან მაჯოს** აქვს დისკვალიფიკაცია და ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს გამოტოვებს.

თუ გერმანულ პრესას დავუჯერებთ, იოახიმ ლიოვი **მარიო გომესს** კვლავ სათადარიგოთა სკამზე დატოვებს და ძირითად შემადგენლობაში **მიროსლავ კლოზეს** გაამწესებს. ვეტერან ფორვარდს უკნიდან **მესუთ იოზილი, თომას მიულერი** და **ლუკას პოდოლსკი** დაეხმარებიან. ანუ, საბერძნეთთან მატჩის ერთ-ერთი გმირი, **მარკო როისი** რეზერვს დაუბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, „კიკერი" ასე ვარაუდობს და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დავუჯეროთ.

რაც შეეხება იტალიის ნაკრებს, სავარაუდოდ მეტოქეს 4-4-2 ტაქტიკით შეერკინება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ სქემად შეიძლება გადაკეთდეს; **ჩეზარე პრანდელიმ** ამ მხრივ, ყველა სხვა მწვრთნელს აჯობა და 4-4-2-ის გარდა, კიდევ ორი ტაქტიკური მონახაზი გამოსცადა: 3-5-2 და 4-5-1. მოკლედ, აპენინელები ჩვეულ სტიქიაში არიან და მათი ჩანაფიქრების გამოცნობა ერთობ რთული საქმეა.

„გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, დაცვის ცენტრში კვლავაც **ანდრეა ბარცალი** და **ლეონარდო ბონუჩი** იმოქმედებენ, მარჯვნივ ისევ ინაციო აბატე გაირჯება, აი მარცხნივ კი ჯორჯო კიელინი ითამაშებს და არა **ფედერიკო ბალცარეტი**. მიუხედავად იმისა, რომ ტიაგო მოტა გამოჯანმრთელდა, ძირითადში მაინც **რიკარდო მონტოლივო** მოიაზრება, რომელიც დე როსის, **მარკიზიოს** და პირლოს დაუმშვენებს გვერდს. შეტევაში ისევ **ანტონიო კასანო** და **მარიო ბალოტელი** გაირჯებიან და ვნახოთ, ამჯერად როგორ წარმოაჩენენ თავს.



მესუთ იოზილი

### მთავარი დუელი

## ანდრეა პირლო VS მესუთ იოზილი

მესუთ იოზილს არ მოსწონს, როდესაც მას ანდრეა პირლოს ადარებენ, მაგრამ ფაქტია, რომ რალაცით მართლაც ჰგავს – მაგალითად, მოედნის შესანიშნავი ხედვით, ბურთთან ტექნიკური მოპყრობით და პასის კულტურით. რაც ასევე უმნიშვნელოვანესია, ორივე თავისი ნაკრების ლიდერად ითვლება და მთავარი იმედებიც მათზეა დამყარებული. მესუთი უფრო გამთამაშებელია, ანდრეა უფრო საყრდენი და შესაბამისად, მათ ერთ ზონაში მოუწევთ მოქმედება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირლოსა და იოზილის დუელი უდიდეს გავლენას იქონიებს შეხვედრის მიმდინარეობაზე და სასწორიც იქით, ანუ იმ გუნდისკენ გადაიხრება, რომლის ლიდერიც უკეთესად გაირჯება. მოკლედ, მესუთსა და ანდრეაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და მათი დუელიც წესით, ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

### ფრაზები

***მესუთ იოზილი:*** *„ძალიან მინდა ისევე გამოვადგე ბუნდესგუნდს, როგორც ანდრეა პირლო ადგება „სკუადრა აძურას";*

***მარიო გომესი:*** *„იმედია, აღარასოდეს ვიქნები ისეთი გაოცებული, როგორიც საბერძნეთთან თამაშის წინ"*

***დანიელე დე როსი:*** *„შეტევით თამაშში მხოლოდ ესპანეთს ჩამოვრჩებით, სხვებს კი ვჯობივართ, მათ შორის, გერმანიას"*

***ანტონიო კასანო:*** *„გერმანელებმა ორი დღით მეტი დაისვენეს, ეს მათი ერთადერთი უპირატესობაა".*

***ჯანლუიჯი ბუფონი:*** *„შეგვიძლია თუ არა გერმანელების დამარცხება? – გადახედეთ ისტორიას".*

## იცით თუ არა, რომ...

■ ფეხბურთელობის პერიოდში, იოახიმ ლიოვი ორჯერ გადაეყარა იტალიურ გუნდს და ორივეჯერ დამარცხდა: 1998/99 წლების სეზონში, მისმა "ფენერბაჰჩემ" ორი მატჩის ჯამში "პარმასთან" წააგო, 2:3; 2001/02 წლების სეზონში კი მისი "ინსბრუკი" "ფიორენტინასთან" დამარცხდა, ასევე ორი მატჩის ჯამში, 2:4.

■ 2008/09 წლების სეზონში, ჩეზარე პრანდელის „ფიორენტინა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მიუნხენის "ბაიერნს" ორჯერ შეხვდა; გერმანიაში, მიუნხენელებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს, რომლებიდანაც თითო მიროსლავ კლოზესა და ბასტიან შვაინშტაიგერის ანგარიშზეა; ფლორენციული შეხვედრა კი ფრედ დასრულდა, 1:1.

■ "ბაიერნი" და "ფიორენტინა" მომდევნო სეზონშიც გადაეყარნენ ერთმანეთს და ამჯერად, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე – მიუნხენში, "ბაიერნმა" კლოზეს გადამწყვეტი გოლით 2:1 მოიგო, ფლორენციაში კი იტალიელებმა გაიმარჯვეს (3:2), მაგრამ მომდევნო ეტაპზე, სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით, გერმანელები გავიდნენ.

■ რიკარდო მონტოლივოს დედა გერმანელი ჰყავს და როგორც თავად განაცხადა, "სკუადრა აძურას" შემდეგ, სწორედ ბუნდესგუნდს გულშემატკივრობს.

■ 2009 წლის ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, გერმანიის ნაკრებმა ნახევარფინალში სწორედ იტალიას მოუგო, 1:0; იმ მატჩში მონაწილეობა მიიღეს მანუელ ნოიერმა, მესუთ იოზილმა, ბენედიკტ ჰიოვედესმა, ჟერომ ბოატენგმა, მატს ჰუმელსმა გერმანიიდან და ინაციო აბატემ, სებასტიან ჯოვინკომ და მარიო ბალოტელიმ იტალიიდან.

■ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე 18-წლამდელთა შორის, გერმანელებმა იტალიას ფინალში მოუგეს, 3:1 – ერთ-ერთი გოლი ლარს ბენდერმა მიითვალა აქტივში.

■ იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა გერმანიასთან ბოლოს 1995 წელს წააგო, როდესაც ციურიხში გამართულ ამხანაგურ მატჩში ორი უპასუხო გოლი გაუშვა.

■ იტალიისა და გერმანიის ეროვნულ ნაკრებებს შორის გამართული ბოლო ორი ამხანაგური მატჩიდან, ერთი "აძურამ" მოიგო, მეორე კი ფრედ დასრულდა – 2006 წლის მარტში, იტალიამ ფლორენციაში მეტოქე 4:1 გაანადგურა, 2011 წელს კი დორტმუნდში 1:1 დაფიქსირდა.

### სტატისტიკური შედარება

| გერმანია | კატეგორია | იტალია |
|---|---|---|
| 9 | გოლი | 4 |
| 60 | დარტყმა | 87 |
| 33 | ზუსტი | 50 |
| 27 | არაზუსტი | 37 |
| 8 | ბლოკი | 9 |
| 1 | ძელი | 2 |
| 20 | კუთხური | 27 |
| 12 | თამაშგარე | 11 |
| 3 | გაფრთხილება | 11 |
| 0 | გაძევება | 0 |
| 36 | ჯარიმა | 60 |
| 45 | ჯარიმა (მათზე) | 68 |

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

# ევრო 2012

ევროპული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ნაკრები

## დიდიე დეშამი საფრანგეთის ნაკრებში?

### რატომ ვერ დალაგდა ვერაფრით სამფეროვანთა გუნდი

ესპანეთთან წაგებული მეოთხედფინალის შემდეგ უკვე ბევრს წერენ საფრანგეთის ნაკრების შიდა პრობლემებზე. აქამდეც ცნობილი იყო, რომ ურემის გადაბრუნების შემდეგ გზა უკეთ ჩანს ხოლმე. მთავარია, პრობლემები იქამდე შენიშნო, ვიდრე მისი გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება. ფრანგებმა კი ბოლო სამი წელიწადია, ეროვნულ გუნდში სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთისადმი აშკარად მტრულ, დაჯგუფებებს ვერაფერი მოუხერხეს.



ლორან ბლანის ნაცვლად საფრანგეთის ნაკრებს სათავეში ალბათ დიდიე დეშამი ჩაუდგება

**ლორან ბლანმა** გარკვეულწილად შეძლო გუნდის პროგრესის გზაზე დაყენება, მაგრამ ბოლომდე ის მაინც ვერ გაუმკლავდა ზეწოლას. ბლანთან ახალ ხელშეკრულებაზე საფეხბურთო საზოგადოება ჯერ კიდევ მაშინ ალაპარაკდა, როცა გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ფედერაციის სათავეში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა **ნოელ ლე გრაემ** ევრო 2012-ის დასრულებამდე და მისი შედეგების შეჯამებამდე ბლანთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა. მუსიე ბლანი ამან ცოტა არ იყოს გაალიზიანა და მალე თავად განაცხადა, რომ შედეგების მიუხედავად ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ნაკრებს დატოვებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბლანს ჯერ კიდევ კონტინენტის პირველობის დაწყებამდე სთავაზობდნენ კლუბები თანამშრომლობას. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბლანი ფედერაციასთან ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ამ ეტაპზე უცნობია. თავის მხრივ ფრანგული პრესა მის შემცვლელზე ალაპარაკდა.

ჟურნალისტებს გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავთ – **დიდიე დეშამი.** 43 წლის სპეციალისტზე სწორედ გუშინ ვწერდით, რომ "მარსელიდან" წასვლა გადაწყვიტა. ოფიციალურად გაყრა ჯერ არ დადასტურებულა. დეშამის თხოვნა დირექტორატმა უნდა დააკმაყოფილოს, თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ დასტური აუცილებლად იქნება, მით უფრო, რომ ამის სურვილი კლუბის უმთავრეს მოწილე **მარგარიტა ლუი-დრეიფუსს** აქვს. ისე, ცოტა უცნაურია, რით დაიმსახურა დეშამმა ესოდენი ყურადღება, განა, რას მიაღწია მისმა „მარსელმა"?

### დომენეკი ისევ იკბინება

სამფეროვანთა გუნდის ყოფილ მესაჭე, **რაიმონ დომენეკს** 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელების აბსოლუტურ უმრავლესობასთან ურთიერთობა გაფუჭებული აქვს. მიზეზი ჩვენმა მკითხველმა იცის და მას აღარ განვავრცობთ. ერთ-ერთი, ვინც ყოფილი თავკაცის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა, **ფრანკ რიბერიც** გახლდათ. ფედერაციამ მას ამისთვის სასჯელიც დაადო და ნაკრებიდან სამი თამაშით მოკვეთა. ჩემპიონატის დაწყებამდე ფრანკი თითქოს დიდებულ ფორმაში იყო, ბაიერნელს გოლი გოლზე გაჰქონდა, მაგრამ უშუალოდ ტურნირზე მას ღირებული არაფერი გაუკეთებია. დომენეკმა ესპანურ პრესასთან ინტერვიუსას **ქარიმ ბენზემა** შეაქო მონდომებისთვის, რიბერის კი კრიტიკის ქარიშხალი დაატეხა თავს: "ბენზემას მეტოქის საჯარიმოში ვილაც უნდა მიშველებოდა. ის ერთადერთი იყო, ვინც ესპანეთთან გუნდის გადარჩენას ცდილობდა. რიბერის რაც შეეხება, მისი ცუდი თამაში არ გამკვირვებია, რადგან ის სიმპტომატურია, თუკი ამ ფეხბურთელის ფსიქოლოგიას გაითვალისწინებთ. მისი ასპარეზობა დიდწილად მის იმიჯთან თანხვედრაზეა დამოკიდებული".

### ნასრიმ ბოდიში მოიხადა

ჟურნალისტზე **სამირ ნასრის** "გალაშქრებამ" ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ფეხბურთის ფედერაციაში ალაპარაკდნენ, ფეხბურთელი ნაკრებიდან 2 წლით მოვკვეთოთო. სამირი ამჟამად საფრანგეთში ისვენებს და ჟურნალისტებისთვის მიუწვდომელია, თუმცა "ტვიტერის" საშუალებით მისი რეაქცია საზოგადოებისთვის მაინც გახდა ცნობილი: "ძალიან ბევრს წერენ ევროპის ჩემპიონატის დროს ჩემს საქციელზე. გულწრფელად ვნანობ, რომ ის სიტყვები ვთქვი, რამაც შოკში ჩააგდო ხალხი და განსაკუთრებით... ბავშვები. ვნანობ იმიტომ, რომ საზოგადოებას ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს ვცემდი. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ის, რაც მოხდა, მხოლოდ პირადი კონფლიქტის ბრალია ზოგიერთ ჟურნალისტთან. ყველას ყველაფერს ავუხსნი, როცა ამის დრო მოვა".

სხვა საქმეა, რამდენად უშველის სამირ ნასრის ეს გულწრფელი მონანიება. ვეჭვობთ, ამის გამო ის დისკვალიფიკაციას მაინც ვერ გადაურჩება, თუმცა კი შეარბილებს.

### რა ბედი ელით აჯანყებულებს?

3 ივლისს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართება, სადაც გადაწყდება როგორც ნასრის, ისე დანარჩენი "აჯანყებულების" - **ჟერემი მენეზის, ატემ ბენ არფასა** და **იან მ'ვილას** ბედი. მენეზმა გასახდელში კაპიტან **უგო ლორისთან** გამართა ჩხუბი, მ'ვილამ შეცვლის შემდეგ ბლანს ხელის ჩამორთმევაზე უარი უთხრა და ჩუმად შეურაცხყო კიდეც, ბენ არფამ კი ბლანის გადაწყვეტილება, რომ ფეხბურთელი სკამზე დაესვა, მიუღებელი ფორმით გააპროტესტა. სამივე მათგანს ნაკრებიდან 4-4 თამაშით მოკვეთა ემუქრება.

უეფა



ჯონ ტერის ამ ეპიზოდმა კვლავ განაახლა დისკუსიები ტექნოლოგიებზე

### მიშელ პლატინი:

## ფიფა ისტორიულ შეცდომას უშვებს

### სანამ უკრაინა გოლს გაიტანდა, თამაშგარე იყოო



მიშელ პლატინი

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მოწინააღმდეგეა. აი, რას ამბობს ფრანგი ფუნქციონერი:

- მე არ ვარ ფიფას პრეზიდენტი და არ ვიცი, გავხდები თუ არა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ოდესმე, თუმცა, ვფიქრობ, რომ ფიფა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია ისტორიულ შეცდომას უშვებენ, როცა ტესტებს უტარებენ ტექნოლოგიებს იმის დასადგენად, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ვიმეორებ, ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნება. ჩემი აზრით, ახალი ტექნოლოგიები პრობლემა იქნება. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგის მატჩებში ჩვენს არბიტრებს არც ერთი შეცდომა არ მოსვლიათ საკამათო გოლთან დაკავშირებით. არადა, 12 ასეთი სადავო შემთხვევა იყო. მსაჯებმა ყველა შემთხვევაში ერთადერთი, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ევროპის ჩემპიონატზე ბევრი პენალტი და ჯარიმა, თუ უკრაინელთა "გოლს" არ ჩავთვლით, არბიტრებმა დაინახეს. სწორედ იმიტომ ვარ ვიდეოგამეორებების მოწინააღმდეგე, რომ უკრაინელთა შეტევა, რომელსაც არჩათვლილი ბურთი მოჰყვა, თამაშგარედან დაიწყო. თქვენ გოლის დასაფიქსირებლად ტექნოლოგიის დანერგვა გინდათ, კი, მაგრამ რას გადაწყვეტთ, თუკი გოლამდე თამაშის წესის დარღვევა იყო? ეს ნიშნავს, რომ ეპიზოდი ცოტა უფრო ადრე უნდა შეჩერებულიყო. ამიტომაც არ ვეთანხმები ამ იდეას. მოდი, ისევ ხალხს მივენდოთ. ამ შემთხვევაში პოზიციის შეცვლას არ ვაპირებ, რადგან ლაპარაკია არა ერთი კონკრეტული ტექნიკური საკითხის გადაჭრაზე, არამედ ზოგადად ფეხბურთში ტექნოლოგიების დანერგვაზე.

### რუსებს კიდევ ერთხელ დასჯიან

უეფა რუსეთის საფეხბურთო კავშირს სავარაუდოდ კიდევ ერთ ჯარიმას გამოუწერს. ამჯერად ამის საფუძველი შეიძლება გახდეს რუსეთის ნაკრების ფანების საქციელი ჩეხეთთან მოგებული შეხვედრისას. 8 ივნისის მატჩში ისინი ჩეხების შავკანიან მარჯვენა მცველ **ტეოდორ გებრე სელასიეს** შეურაცხყოფდნენ. ფანების რასისტული გამოხტომების გამო დაისჯება ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაც. 10 ივნისს, გდანსკში ესპანელებმა **მარიო ბალოტელის** წინააღმდეგ შეკრეს პირი. უეფას ეს საქმეები გუშინ გვიან საღამოს უნდა განეხილა.

ინგლისის ნაკრები

## ისევ კონსერვატიული ინგლისი

### რიო ფერდინანდი: ახალგაზრდები ევროზე წაიყვანეს, მაგრამ მათ შანსი არ მისცეს



რიო ფერდინანდი როი ჰოჯსონის მუშაობით უკმაყოფილო დარჩა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა **რიო ფერდინანდმა** "გარდიანთან" ინტერვიუში ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** გააკრიტიკა და განაცხადა, რომ გუნდის წარუმატებლობის მიზეზი ევროპის ჩემპიონატზე მისი მეტისმეტი კონსერვატიულობა გახდა. აი, რა თქვა ფერდინანდმა:

- თუკი ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ფეხბურთელები მიგყავს, მაშინ ისინი უნდა ათამაშო და ასე მიიღო პასუხი შეკითხვაზე, რა შეუძლიათ მათ. მომწონს ოქსლეიდ-ჩემბერლენის თამაში და ძალიან მინდოდა მინდორზე მას უფრო დიდი დრო გაეტარებინა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ თამაშებს ის უმეტესად სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა. ალექსი ზუსტად ისეთ სიტუაციაში ჩავარდა, როგორშიც უოლკოტი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. ფილ ჯონსი ერთ-ერთი ის უნივერსალური ფეხბურთელია, ვისაც იოლად შეუძლია თამაშში ჩართვა. როცა ბურთის დაცვიდან რაც შეიძლება სწრაფად ამოტანასა და მასთან ერთად 40 იარდის გავლას ცდილობ, სწორედ ფილ ჯონსი გჭირდება. და სად იყო ის? ფილის ნაცვლად მოედანზე ჯორდან ჰენდერსონი გამოვიდა. ლივერპულელის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ის სულ სხვა ტიპის ფეხბურთელია. ჰენდერსონის მოედანზე გამოსვლის შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ძალიან კონსერვატიულად ვცდილობდით თამაშის აწყობას. ამ შეცვლით მეტოქეს ვუთხარით, რომ უფრო მეტად თავის დაცვა გვაინტერესებდა, ვიდრე ის, რომ მისთვის პრობლემები იქეთ შეგვექმნა. დიდი სურვილი მქონდა მენახა ოქსლეიდ-ჩემბერლენი, უოლკოტი და ადამ ჯონსონი როგორ აიძულებდნენ მეტოქეებს დაცვაში თამაშს. მინდოდა დენი უელბეკს ბურთი ისევე ხშირად მიელო, როგორც ეს "მანჩესტერ იუნაიტედში" ხდება, მაგრამ...

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ნაკრებმა პოტენციალი სრულად ვერ გამოავლინა

ტრანსფერები



გლადბახს მარკო როისის შეცვლა ანდრიი ვორონინით სურს



ალვარო დომინგესი კიდევ ერთი ესპანელია, რომელიც კარიერას გერმანიაში გააგრძელებს

# გეგმები ჩემპიონთა ლიგისთვის

## მიონხენგლადბახელები როისს ვორონინით შეცვლიან, დომინგესი უკვე იქაა

მიონხენგლადბახის "ბორუსიას" ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე შემადგენლობის გაძლიერება სურს, რათა **დანტესა** (ბაიერნი) და **მარკო როისის** (დორტმუნდი) დანაკარგი როგორმე შეავსოს. გერმანელებმა მოსკოვის "დინამოდან" 32 წლის **ანდრი ვორონინის** გადაბირება განიზრახეს. უკრაინელ ვეტერანს მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელობასთან ცუდი ურთიერთობა აქვს და კლუბის შეცვლას ისედაც აპირებდა. ამ "სიბერეში" კი ლიგაში თამაშის პერსპექტივაზე უარს აბა როგორ იტყოდა? *"გლადბახი? რატომაც არა? სწორედ ამ კლუბთან გავაფორმე 15 წლისამ პირველი პროფესიული ხელშეკრულება. პირადად ვიცნობ მწვრთნელ ლუსიენ ფავრსაც და კლუბის ადმინისტრაციის წევრებსაც. თუკი "ბორუსია" კონტრაქტს შემომთავაზებს, მე მხოლოდ მოხარული ვიქნები. გერმანია ჩემთვის მეორე სამშობლოა და იქ დასაბრუნებლად ყოველთვის მზად ვიქნები,"* – განაცხადა ვორონინმა.

კლუბში თავდამსხმელის გარდა კვალიფიციური ცენტრალური მცველის შეძენაც სურდათ და მიზანს მიაღწიეს - 8 მილიონ ევროდ მადრიდის "ატლეტიკოდან" ესპანეთის ნაკრების კანდიდატი **ალვარო დომინგესი** გადაიბირეს და მასთან 5-წლიანი ხელშეკრულება დადეს. ფეხბურთელმა "როხიბლანკოს" შემადგენლობაში წინა სეზონში 40 თამაში ჩაატარა და 4 ბურთი გაიტანა. ალვარო დომინგესი 23 წლისაა და სიმაღლით 189 სანტიმეტრია. მადრიდულ კლუბში არგენტინელი სპეციალისტის, დიეგო სიმეონეს მისვლის შემდეგ ალვარომ ძირითადში ადგილი დაკარგა, რაც მის სანაკრებო პერსპექტივასაც დაეტყო - მცველი გაფართოებულ სიაში კი იყო, მაგრამ ევრო 2012-ზე ვისენტე დელ ბოსკემ ის არ წაიყვანა.

**ლევან ბიბილაშვილი**



მარიო მანჯუკიჩი დღედღეზე ბაიერნელი გახდება

# მანჯუკიჩი ბაიერნში გადაწყვეტილია

"ბილდი" ჯერ კიდევ 26 ივნისს წერდა, რომ ხორვატი **მარიო მანჯუკიჩის** "ბაიერნში" ტრანსფერი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. გამოცემას ფეხბურთელმა განუცხადა, მოლაპარაკებები მიდის, მაგრამ დეტალები ჯერ არ ვიცი, ჩემს აგენტს დაუკავშირდითო. გუშინ კი უკვე "კიკერმაც" დაადასტურა, რომ საქმეს წერტილი უკვე დასმული აქვს. როგორც ირკვევა, გარიგება გერმანიის მრავალგზის ჩემპიონს 13 მილიონი ევრო დაუჯდა. 26 წლის ფეხბურთელი "რეკორდმაისტერთან" 4-წლიან ხელშეკრულებას უახლოეს დღეებში გააფორმებს. *"მოხარულები ვართ, რომ ტრანსფერი შედგა. "ვოლფსბურგში" გატარებული ორი სეზონის შემდეგ მარიოს ეს ნაბიჯი ლოგიკურია,"* – განაცხადა მანჯუკიჩის აგენტმა. ხმების თანახმად, თავდამსხმელის შეძენა "იუვენტუსსა" და "ევერტონსაც" სურდათ. შეგახსენებთ, რომ ხორვატი გასულ სეზონში „ვოლფსბურგის" ღირსებას იცავდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

# ბარსელონას ულუფა: 40 მილიონი სეზონში

„ბარსელონას" პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** პრესკონფერენციაზე დაასახელა ის თანხა, რომელსაც კლუბი სატრანსფერო ბაზარზე გუნდის გასაძლიერებლად გამოიყენებს - 40 მილიონი ევრო. მაგრამ უფრო მეტი დეტალის გახმაურებაზე მან უარი განაცხადა. როსელმა ეს ასე ახსნა: *„არც ერთ ჭორსა თუ მართალს კომენტარს არ გავუკეთებ, რადგან ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს ამ ფეხბურთელთა ფასის ზრდა, რაც არ გვაწყობს".*

როსელს კონკრეტული კითხვაც დაუსვეს „ბილბაოს" 23 წლის უნივერსალის, **ხავი მარტინესის** შესახებ, მაგრამ პრეზიდენტმა არც ამ თემაზე ისურვა ლაპარაკი. *„უახლოესი რამდენიმე წელიწადის განმავლობაში, „ბარსელონა" სატრანსფეროდ სეზონში 40 მილიონ ევროს გადადებს. თუ წლეულს მხოლოდ 10 მილიონს დავხარჯავთ, მომავალში 30 მილიონით მეტი გვექნება სატრანსფერო ბაზარზე ან პირიქით, თუ ახლა 40 მილიონზე მეტის დახარჯვა მოგვიწევს, გაისად, ეკონომიის გაკეთებას უნდა შევეგუოთ",* - განაცხადა როსელმა.



# ვალენსია გამეიროს იმატებს

„პარი სენ ჟერმენის" ფორვარდი **კევინ გამეირო** „ვალენსიას" პირად კონტრაქტზე უკვე შეუთანხმდა და ჯერი კლუბებს შორის მოლაპარაკებაზეა. გამეირომ უნდა შეცვალოს „ბილბაოში" გადასული ბასკი ფორვარდი **არიც ადურისი**. 25 წლის გამეიროს საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში 5 მატჩი აქვს ჩატარებული. გამეირო უკმაყოფილოა იმით, რომ პსჟ-ში თამაშისთვის ცოტა დრო ეთმობა, თანაც ესპანური პირველობა ბევრად სჯობს ფრანგულს. ამასობაში, პარიზული კლუბი ფეხს ითრევს, მიზეზი ისაა, რომ ფრანგებს სურთ, გამეირო მხოლოდ მაშინ გაუშვან, როცა მის შემცვლელს დაიბევებენ. შეგახსენებთ, რომ შარშან პსჟ-მ „ლორიანს" გამეიროს სანაცვლოდ 11 მილიონი ევრო გადაუხადა, ახლა გამეიროს ფასი დაკლებულია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტოტენჰემი


ელექტრონული ბიბლიოთეკა

ანდრე ვილაშ ბოაშს ტოტენჰემში ალბათ ლუკა მოდრიჩი აღარ დახვდება

# ვილაშ ბოაში ახლოსაა

**ანდრე ვილაშ ბოაში** "ჩელსისთან" ხელშეკრულების გაწყვეტისას შეთანხმდა, რომ 2012 წლის 1-ელ ივლისამდე ის ახალ კლუბთან თანამშრომლობაზე ხელს არ მოაწერდა. შესაბამისად, სად დაიწყებს მუშაობას 34 წლის პორტუგალიელი, მხოლოდ ამ თარიღის მერე შეიძლება გაირკვეს. ამ დღეებში მან უარი თქვა ბრაზილიური "სან პაულუს" სარფიან შეთავაზებაზე. "ტელეგრაფის" მტკიცებით, ეს იმის ნიშანია, რომ ანდრეს ევროპაში აქვს არანაკლებ მომხიბლავი წინადადებ(ები)ა. ხოლო ის, რომ ვილაშ ბოაშით "დეზები" ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი, ყველასთვის ცნობილია. "ტოტენჰემის" პრეზიდენტი **დენიელ ლევი** პორტუგალიელის წარმომადგენლებს უკვე რამდენჯერმე შეხვდა და როგორც პრესა ირწმუნება, მათ შორის შეთანხმებას წინ პრაქტიკულად არაფერი უდგას. ვილაშ ბოაში თანახმაა, სათავეში ჩაუდგეს გუნდის გაახალგაზრდავების პროცესს. ჩრდილოლონდონელებს საკადრო საკითხების გარდა მნიშვნელოვანი საქმეები აქვთ დაგეგმილი. მაგალითად ახალ საწვრთნელ ბაზაზე გადაბარგება და ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება.

"ტელეგრაფისგან" განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს იტალიური "გაძეტა დელო სპორტი". მათი მტკიცებით, ლონდონელები მთავარ მწვრთნელად იტალიის ნაკრების ამჟამინდელ დამრიგებელ **ჩეზარე პრანდელის** მოიაზრებენ და მასთან მოლაპარაკებების დასაწყებად ევროპის ჩემპიონატის დასრულებას უცდიან. იმავე "გაძეტას" ინფორმაციით, პრანდელის სამსახურით დაინტერესებულნი არიან ასევე მოსკოვის ცსკა და "მარსელი". გამოცემა პრანდელის აგენტს დაუკავშირდა, მან კი მოკლედ მოჭრა, რომ სენიორ ჩეზარეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულება 2014 წლამდე აკავშირებს და აძურიდან სხვაგან წასვლას ის არ გეგმავს.

დაბოლოს, "ტოტენჰემზე" წერას იმით დავასრულებთ, რომ **ლუკა მოდრიჩმა** ტრანსფერზე დაყენება კლუბს ოფიციალურად სთხოვა. 26 წლის ხორვატის თქმით, მას ისეთ კლუბში სურს თამაში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგების რეალური პრეტენზია ექნება. ასეთ "პრეტენზიულ" კლუბში, ლუკა, ცხადია, მადრიდის "რეალს" გულისხმობს. სამეფო კლუბი მზადაა, "ტოტენჰემს" ფეხბურთელში 25 მილიონი ევრო გადაუხადოს და **ნური შაჰინი** ან **რიკარდო კარვალიო** დაუთმოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

*P.S გუშინ საღამოს გავრცელებული ინფორმაციით, "ტოტენჰემმა" თავის ლიდერს, 22 წლის გარეთ ბეილს ახალი, გაუმჯობესებული ხელშეკრულება 2016 წლამდე გაუფორმა. წყარო კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე ჯერჯერობით არაფერს იტყობინება.*

ამბები

## პარკერს ოპერაცია ელის

"დეილი მეილის" ცნობით, "ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების 30 წლის საყრდენ ნახევარმცველ **სკოტ პარკერს** უახლოეს დღეებში ნატკენ ქუსლზე ოპერაცია ელის, რის გამოც მას გუნდის წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდის მნიშვნელოვანი ნაწილი გაუცდება. ვეტერანი გუნდს პრემიერლიგის სასტარტო ტურებშიც დააკლდება. ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე წერდა, რომ "ტოტენჰემის" კაპიტანს ფეხზე ტკივილები სერიოზულად აწუხებდა, მაგრამ საკადრო პრობლემებიდან გამომდინარე, **როი ჰოჯსონი** იძულებული იყო, მაინც პარკერს დაყრდნობოდა. სკოტის თქმით, თამაშებზე მას ტკივილგამაყუჩებელი სჭირდებოდა. ყოველივემ ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო შეარყია.

## ზიდანი: უკვე დროა



"რეალის" სპორტული დირექტორი **ზინედინ ზიდანი** 40 წლის ასაკში სამეფო კლუბიდან წასვლასა და დამოუკიდებელი სამწვრთნელო საქმიანობის დაწყებას გეგმავს. *"უკვე ვგრძნობ, რომ დადგა დრო, როცა ჩემს ცხოვრებაში ახალი ეპოქა უნდა დადგეს. სამწვრთნელო კარიერის დაწყება მინდა,"* – აცხადებს ზიზუ. ზიდანმა სამწვრთნელო სერტიფიკატი 2010 წლის შემოდგომაზე მიიღო, როცა ის სამშობლოში საცხოვრებლად რამდენიმე თვით დაბრუნდა. ამ პერიოდში ის "რეალში" თავის საქმიანობას დროებით იყო ჩამოშორებული.

**ლევან ბიბილაშვილი**

1/2 ფინალი ევრო 2012

**მატჩი №29. 27.06. დონეცკი. დონბას არენა**

| პორტუგალია | ესპანეთი |
|---|---|
| 0 | 0 |

**პენალტებით 2:4**

**პორტუგალია (4-3-3):** პატრისიო - ჟოაო პერეირა, პეპე, ბრუნო ალვეში, ფ. კოენტრაო - მეირელეში (112. ვარელა), ველოზო (106. კუშტოდიო), მოუტინიო - ნანი, ალმეიდა (81. ოლივეირა), რონალდო.

**ესპანეთი (4-3-3):** კასილიასი - არბელოა, პიკე, სერხიო რამოსი, ალბა - ჩავი (87. პედრო), ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - სილვა (60. ხესუს ნავასი), ნეგრედო (54. ფაბრეგასი), ინიესტა.

**პენალტების სერია:** 0:0 ჩაბი ალონსო (მეკარე), 0:0 მოუტინიო (მეკარე), 0:1 ინიესტა, 1:1 პეპე, 1:2 პიკე, 2:2 ნანი, 2:3 სერხიო რამოსი, 2:3 ბრუნო ალვეში(ხარიხა), 2:4 ფაბრეგასი.

**გაფრთხილება:** ფ. კოენტრაო, პეპე, ჟოაო პერეირა, ბრუნო ალვეში, ველოზო - სერხიო რამოსი, ბუსკეტსი, არბელოა, ჩაბი ალონსო

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 30-21; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-9 (0-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 48 000

# სერხიო რამოსის პირლო

## დელ ბოსკეს კოკამ ფინალი მოიტანა



**ყველას ახსოვს ალბათ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩი „რეალსა“ და „ბაიერნს“ შორის, როცა პენალტების სერიაში სერხიო რამოსმა გერმანელთა კარს გვარიანად გადააცილა ბურთი. მაშინ რამოსს ძალიან დასცინოდნენ და აშარჟებდნენ. განსაკუთრებით ერთი კარიკატურა გვახსენდება, რომელშიც დაბნეული რამოსი მთვარეზე ეძებს დაკარგულ ბურთს... ამ ყველაფერს წერტილი თავად სერხიომ დაუსვა, როცა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, პენალტების სერიაში 2:2-ზე საოცრად შეასრულა თერთმეტმეტრიანი.**

**ვერ გეტყვით, რა უფრო ძნელია, ის, რაც ანდრეა პირლომ გააკეთა ინგლისელებთან მატჩში, თუ ანალოგიურის გამეორება სამიოდე დღის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, გმირობის ტოლფასი კია. ტრიუკმა ამჯერადაც გაამართლა, რამოსის შემდეგ ბურთთან ბრუნო ალვეში მივიდა და ხარიხას გაარტყა...**

**ალბათ მაინც ესპანელთა გამარჯვებით საფეხბურთო სამართლიანობამ იზეიმა, რადგან შეუძლებელია გუნდს, რომელმაც 120 წუთის განმავლობაში ერთხელაც ვერ დაარტყა კარში ზუსტად (!) კონტინენტის პირველობის ფინალი ალალად დაემსახურებინა.**

### ტაქტიკა/სტრატეგია

პირველი სიურპრიზის ავტორი ესპანელთა თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე** აღმოჩნდა. მან **ფერნანდო ტორესსა** და **სესკ ფაბრეგასს** შორის არჩევანი ასე გააკეთა - არც ერთი და არც მეორე! სასტარტო შემადგენლობაში პირველად ვიხილეთ „სევილიას“ ფორვარდი **ალვარო ნეგრედო**. ნეგრედოს ფლანგებიდან **დავიდ სილვა** (მარჯვენა) და **ანდრეს ინიესტა** (მარცხენა) ეხმარებოდნენ. რამდენად გაამართლა ამან იქიდანაც ჩანს, რომ სევილიელი ყველაზე ადრე გავიდა მოედნიდან ისე, რომ კარში არ დაურტყამს.

**პაულუ ბენტუმაც** შეცვალა ცენტრფორვარდი, ოღონდ, ეს იძულებითი ხასიათის ცვლილება იყო - ჩეხებთან შეხვედრაში კუნთი დაიზიანა **ელდერ პოშტიგამ** და პორტუგალიის ნაკრების მთავარმა ესპანოლოგმა (2010 წლის ცნობილ მატჩში ლისაბონში, მან დუბლი შეასრულა) ველარ ითამაშა. ასე რომ, ზედიზედ 6-მატჩიანი უცვლელი სასტარტო შემადგენლობის შემდეგ, მეშვიდეში ახალი სახე, კარგად დავიწყებული ძველი - **უგო ალმეიდა** - გამოჩნდა. სიურპრიზი იყო მეორე ტაიმში **კრიშტიანო რონალდოს** ცენტრში თამაშიც, ალმეიდა კი ფრთაზე გადავიდა, თუმცა ისინი ხშირად ცვლიდნენ ადგილებს.

პირველმა ტაიმმა დაგვანახა, რომ ბენტუ კარგად მომზადებულა ესპანური არმადის წინააღმდეგ. ესპანელთა უპირატესობა მხოლოდ ბურთის ფლობაში გამოიხატა. საგოლე მომენტები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა უბრალოდ ვერ შექმნეს. ის კი არა, კარშიც კი ვერ დაარტყეს ზუსტად! პორტუგალიას ეს, რა თქმა უნდა, საკუთარი შემტევი პოტენციალის დამცრობად დაუჯდათ - არც მათ დაურტყამთ პირველ ტაიმში (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არც 120 წუთის განმავლობაში) **იკერ კასილიასის** კარში ზუსტად.

### საუკეთესო ფეხბურთელი

### სერხიო რამოსი (ესპანეთი)

რომ არა პენალტი „ა ლა პირლო“, ამ „ტიტულს“ მის თანაგუნდელს „რეალში“, ოღონდ, ახლა მოწინააღმდეგე პეპეს გადავცემდით, მაგრამ ამ თერთმეტმეტრიანმა თამაშის ბედი გადაწყვიტა, თანაც რამოსს არც 120 წუთის განმავლობაში შეურცხვენია თავი.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

### კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია)

ვაზუსტებთ, არა ყველაზე ცუდი ფეხბურთელი, არამედ იმედგაცრუება, თორემ რონალდო მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში. მაგრამ, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ესპანეთი პორტუგალიას ბევრ შანსს არ მისცემდა, ამიტომაც რონალდოს უკეთ მართებდა ჯარიმების შესრულებაც და 90-ე წუთზე მოქმედებაც, როცაკონტრშეტევაზე პორტუგალიელს საგოლე მომენტი შეექმნა, მან კი არაზუსტად დაარტყა.

### მსაჯი

თურქ არბიტრს **ჯუნეით ჩაკირს**, რომელსაც ადრე საქართველოს თასის ფინალიც კი აქვს ნამსაჯი, პირველ ტაიმში ბევრი საქმე არ ჰქონდა. მან ორჯერ ამოიღო ბარათი, პირველად კრიშტიანო რონალდოს ბლოკირებისთვის **სერხიო რამოსი** გააფრთხილა, ხოლო მერე - **ფაბიო კოენტრაო**. ტაიმში იყო ორი საკამათო ეპიზოდი, სერხიო რამოსმა მკერდით გააჩერა ბურთი საჯარიმოში, თუმცა უგო ალმეიდა პენალტის დანიშვნას ითხოვდა, **ნანიმ** კი მარჯვენა ფრთაზე გაინავარდა და წაიქცა, პორტუგალიელი ამაოდ ითხოვდა ჯარიმას. ვფიქრობთ, ორივე შემთხვევაში არბიტრი მართალი იყო. მეორე ტაიმში იყო ერთი ეპიზოდი, როცა ესპანელს ხელზე მოხვდა ბურთი, მაგრამ მხოლოდ მოხვდა, ამიტომ მსაჯი ამჯერადაც არ ტყუოდა. აი, როცა **პეპემ** ბურთი დაუგორა მეკარეს, თურქს თავისუფალი დარტყმის დანიშვნა მართებდა.

### მწვრთნელების დუელი

მწვრთნელთა დუელიც, ისევე როგორც თამაში, ფრედ დასრულდა, მაგრამ აქ ერთი მომენტია - უფრო გამოცდილ დელ ბოსკეს „საწყისი კაპიტალი“ (ანუ უკეთესი შემადგენლობა) ჰქონდა, ვიდრე ახალგაზრდა ბენტუს. ბენტუმ კი შეძლო ის, რომ ამ უპირატესობისგან არაფერი შესამჩნევი არ დარჩა. პენალტების სერიაში კი ისინი უბრალოდ ვერ ჩაერეოდნენ.

### ანალიზი

რა უნდა ვთქვათ თამაშზე, რომელშიც პირველად რომელიმე გუნდის მეკარე 68-ე წუთზე შეაწუხეს, ისიც მცველის აშკარა შეცდომის გამო და ისიც არასახიფათოდ (**ჩავი**). სწორედ ჩავი იყო პირველი ფეხბურთელი, რომელმაც კარისკენ ზუსტად დაარტყა. პირველი და უკანასკნელი! 90 წუთის განმავლობაში კარის ჩარჩოში ბურთი აღარ მოურტყამთ. უფრო საინტერესო რონალდოს სამი საჯარიმო დარტყმა იყო (კედელი, მეტოქის ხელი, აცილება) და ამაზე უფრო საინტერესო 8 ყვითელი ბარათი. თანაც ისე მოხდა, ძირითად დროში ყვითლები მხოლოდ იმათ მიიღეს, რომელთაც ტურნირზე აქამდე გაფრთხილება არ ჰქონდათ, შესაბამისად დისკვალიფიკაცია არ ემუქრებოდათ.

უკვე აღარ არის შემთხვევითობა - როცა ესპანეთის ნაკრები თამაშობს, თუ მეტოქე მას ერთი თავით არ ჩამოუვარდება კლასში (როგორც ეს ირლანდიასთან თამაშში), თვალსასეირო ორთაბრძოლა არ გამოდის. დიახ, „ფურია როხა“ ძალზე მოსაწყენად თამაშობს, ბურთის კონტროლით თამაშს „კლავს“.




„ფურია როხამ“ კარგად მხოლოდ დამატებით ტაიმებში ითამაშა, განსაკუთრებით კი პირველში, როცა ესპანელთა უპირატესობა შესამჩნევი გახდა, სწორედ მაშინ, 104-ე წუთზე ესპანელთა გაელვებამ მარცხენა ფრთაზე **ანდრეს ინიესტას** საგოლე შანსი მისცა, ანდრესს კი **რუი პატრისიომ** აჯობა. მოკლედ, ყველაფერი მივიდა პენალტების სერიამდე. მეორედ ევრო 2012-ზე...

### დასკვნა

ვისენტე დელ ბოსკეს ჯერჯერობით უმართლებს ის სტრატეგია, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე აილო, უმართლებს და ამიტომაც კრიტიკოსები „ფურია როხას“ მწვავედ არ აკრიტიკებენ. დელ ბოსკეს კოკამ ფინალი მოიტანა. საბოლოო დასკვნაც ფინალის შემდეგ გავაკეთოთ.

დაბოლოს, იქნებ, ქართულმა ტელევიზიამ გამოასწოროს ის ხარვეზი (კომენტატორის ხმა წინ უსწრებდა გამოსახულებას, რაც განსაკუთრებით აუტანელი პენალტების სერიაში იყო), რის გამოც ალბათ ნახევარმა საქართველომ 21-ე საუკუნეში „მუნჯურ“ ფეხბურთს უყურა...



**გვერდი მოამზადა**
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოლანდიის ნაკრები

## ვან მარვიიკმა ჯოხი გადატეხა



ბერტ ვან მარვიიკმა ჰოლანდიის ნაკრების ნარუმატებლობა ფეხბურთელებს გადააბრალა

"დე ტელეგრააფის" ცნობით, ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბერტ ვან მარვიიკმა** გუნდის წარუმატებლობაში დამნაშავედ ფეხბურთელთა კონკრეტული ჯგუფი დაასახელა და ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალურად აცნობა, რომ ეროვნულ გუნდში მათ გამოძახებას მეტად არ აპირებს. "შავ სიაში" აღმოჩნდნენ შემდეგი ფეხბურთელები: მცველები - **იორის მატეისენი** ("მალაგა", 32 წლის), **ხალიდ ბულაჰრუზი** ("შტუტგარტი", 30 წლის) **ჯონი ჰეიტინგა** ("ევერტონი", 28 წლის); ნახევარმცველი - **რაფაელ ვან დერ ვაარტი** ("ტოტენჰემი", 29 წლის) და თავდამსხმელი – **კლაას იან ჰუნტელაარი** ("შალკე", 28 წლის). მიზეზებზე, თუ რა ჩაიდინეს ფეხბურთელებმა ასეთი, ჯერჯერობით, ცნობილი არაფერია.

*P.S. ნუხელ ცნობილი გახდა, რომ ვან მარვიიკი ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა.*

● რუსეთის ნაკრები

## ადვოკაატი: არ მაინტერესებს



დიკ ადვოკაატს არ აინტერესებს, რას წერენ მასზე რუსი ჟურნალისტები

რუსეთის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **დიკ ადვოკაატმა** ჰოლანდიურ გამოცემასთან გულწრფელად ილაპარაკა თავის დამოკიდებულებაზე რუსი ჟურნალისტების მიმართ. ვერაფერს იტყვი, ჰოლანდიელ სპეციალისტს ჩვენს რუს კოლეგებზე დიდი ვერაფერი წარმოდგენა ჰქონია. *"რუსეთში არიან ჟურნალისტები, რომელთაც ყოველდღე რაღაცაზე უნდა წერონ, რომ თვის ბოლოს ხელფასი მიიღონ. მაგალითად, სანიტარზე, რომელიც საზოგადოებრივ ტუალეტში მუშაობს. ამის მერე ჩემზე ვერ იქონიებს გავლენას ის, როცა ისინი წერენ, რომ თურმე ჩემი გუნდი უნდა მეტად უნდა ვავარჯიშო. სწორედ ამას მიჩიჩინებდა ჩემპიონატის დაწყებამდე რუსული მასმედია. მე აბსოლუტურად არ მაღელვებს, თუ რას წერენ ისინი ჩემზე ჩემპიონატიდან გუნდის გამოვარდნის მერე. ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩემს გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო იყოს და ლამაზი, შედეგიანი ფეხბურთის ჩვენება შევძლოთ. როგორც მწვრთნელს, მე მეტის გაკეთება არ შემიძლია. თუმცა იყო დრო, როცა ყურადღებას ვაქცევდი იმას, თუ რას წერდნენ ჩემზე გაზეთები,"* – განაცხადა დიკ ადვოკაატმა.

● მოსაზრება

## ოლსენი: ფავორიტი გერმანიაა



მორტენ ოლსენი უპირატესობას გერმანიის ნაკრებს ანიჭებს

დანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მორტენ ოლსენმა** ევრო 2012-ის უმთავრეს ფავორიტად გერმანიის ნაკრები დაასახელა. აი, რა უთხრა მან დანიელ ჟურნალისტებს: *"დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონატს გერმანია მოიგებს. ესპანეთის კლასში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ შეტევაში გერმანელები უფრო ძლიერები არიან. ისინი სახიფათო მომენტებს უფრო იოლად ქმნიან. გერმანელთა შორის ძალიან მომწონს მატს ჰუმელსი. ვფიქრობ, რომ სწორედ ის, სერხიო რამოსი, პიკე და აგერი არიან ტურნირის საუკეთესო მცველები".*

● სკანდალი



## უკრაინას ბრალს სდებენ დოპინგი

გერმანული ჰეროლდსბერგის (შუა ფრანკონია) უნივერსიტეტის პროფესორმა **ფრიტც ზერგელმა** უკრაინის ნაკრების ფეხბურთელებს დოპინგის მიღებაში დასდო ბრალი. მისი თქმით, თურქეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩამდე საკვებით მოწამვლა, რომელმაც ბევრ ფეხბურთელზე ძალიან ცუდად იმოქმედა, სწორედ აკრძალული პრეპარატების გამოყენების შედეგია. *"ფეხბურთელების მოულოდნელად ცუდად გახდომას მე პრეპარატ დექსამეტაზონის უკუჩვენებას ვუკავშირებ. ეს ისეთი სტეროიდია, რომელიც კუჭ-ნაწლავის სისტემაზე ხშირად მოქმედებს უარყოფითად და ადამიანში კუჭის ტკივილს, თავბრუს ხვევასა და გულის რევას იწვევს,"* – განუცხადა დოქტორმა ზერგელმა "ფრანს პრესს".

● ფილმი ევროზე

## უეფა ფილმს ასრულებს

უეფა ევრო 2012-ისთვის მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის გადაღებას ასრულებს. "სიმფონია" (ასე ჰქვია ნამუშევარს), ივლისის ბოლომდე დამონტაჟდება და შემდეგ იმ ტელეკომპანიების ეთერში გავა, რომელთაც ევროპის ჩემპიონატის ტრანსლაციების ოფიციალური უფლება ჰქონდათ. ის 6 მინისერიისგან შედგება და ყოველი სერია მხოლოდ 4 წუთი გრძელდება. ერთ-ერთი ასეთი ნაწილი, მაგალითად, მზადების პერიოდში პოლონეთისა და უკრაინის პრობლემებისადმია მიძღვნილი. ფილმში მონაწილეობენ როგორც ორგანიზატორები და უეფას ფუნქციონერები, ისე რიგითი გულშემატკივრებიც. როგორც აცხადებენ, აღნიშნული ფილმით მაყურებელს საშუალება მიეცემა, რომ ჩემპიონატი ყველა რაკურსით დაინახოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**






## ქართული სპორტი

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. დორტმუნდის ტურნირი**



მარცხნიდან: ბეგი დარჩია, რევაზ ლაშხი და აკაკი ჩაჩუა

# დებიუტანტთა გუნდი – დორტმუნდში

### დარჩიამ ოლიმპიური ნაკრები გამოაცხადა

**უახლოეს უქმეებზე ანუ ივნის-ივლისის მიჯნაზე დორტმუნდში ვაჟ მოჭიდავეთა შორის „დიდი პრიზის" ტურნირი გაიმართება, თუმცა ჩვენგან მასში მონაწილეობას მხოლოდ ბერძენ-რომაელები მიიღებენ.**

საქართველოს ნაკრები ამ დილით გაფრინდა გერმანიაში, სადაც მთავარმა მწვრთნელმა **ბეგი დარჩიამ რევაზ ლაშხი** (60), **მანუჩარ ცხადაია, ზურაბ დათუნაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96) და **გურამ ფერსელიძე** (120) წაიყვანა. დარჩია უკვე არც მალავს, რომ სწორედ ესაა ოლიმპიური გუნდი ანუ ლონდონშიც ეს ფალავნები იჭიდავებენ, თუმცა ამაში დამალული არც აქამდე იყო რამე. უბრალოდ, მწვრთნელი უკვე ოფიციალურად ადასტურებს, რომ კონკურენცია ყველა წონაში დასრულდა და ოლიმპიელები საბოლოოდ გამოვლინდნენ. არსებითად, გასარკვევიც მხოლოდ 74 წონის საკითხი იყო, სადაც სავსებით სამართლიანად ლონდონში გამოსვლის უფლება დათუნაშვილმა მოიპოვა.

როგორც ხედავთ, 74-ში გერმანიაშიც ორი კაცი გვეყოლება. დათუნაშვილი, ცხადაია, დროებით ჭიდაობს იქ - მწვრთნელები ამ ეტაპზე წონას არ აკლებინებენ, თორემ ოლიმპიადაზე 66-ში გამოვა. ამჟამად ის 71 კილოგრამია, სხვებს კი უმნიშვნელო წონა, თითოოროლა კილოგრამი აქვთ დასაკლები თამაშებამდე.

ეს გუნდი ვარსკვლავთა სიმრავლით აშკარად ჩამორჩება პეკინში ნაჭიდავებს, სადაც დარჩიამ მსოფლიოს სამი ჩემპიონი ჩაიყვანა - **დავით ბედინაძე** (60), **მანუჩარ კვირკველია** (74) და **რამაზ ნოზაძე** (96). ახლა გუნდში ასეთი კაშკაშა ვარსკვლავები არ არიან. გუნდის ექვსივე წევრი ოლიმპიადის დებიუტანტია. ამჟამინდელ გუნდში ლაშხი ევროპის ჩემპიონია, ცხადაია - მსოფლიოს ორგზის და ევროპის წლევანდელი ვერცხლის მედალოსანი, ჯაბიძე - ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი, დანარჩენებს კი ზურგს ჯერ მხოლოდ ახალგაზრდებში მოპოვებული წარმატებები უმაგრებს, ხოლო უფროსებში ახლა ცდილობენ შედეგის მიღწევას. ალბათ, წამყვან ქვეყნებს შორის მთლიანად დებიუტანტთა გუნდიც დიდი იშვიათობაა, ჩვენებში კი ყველაზე გამოუცდელი, ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი დათუნაშვილია -მას აქამდე პირველხარისხოვან ტურნირზე არასოდეს უჭიდავია და ყველაზე მთავარით, ოლიმპიადით იწყებს. თუმცა დაწყებასაც გააჩნია - ჩვენი გუნდიდან ლონდონშიც სწორედ ის იჭიდავებს პირველად და მთელი სასტარტო მღელვარება მასზე გადაივლის. ის 5 აგვისტოს იასპარეზებს, ლონდონში კი დარჩიასთან ერთად 2-ში გაფრინდება.

გერმანიაში მიმავალმა გუნდმა გუშინ თბილისში, ფალავანთა კლუბში ივარჯიშა, თუმცა ყველამ - ინდივიდუალური გრაფიკით, რაც მათი სადღეისო მდგომარეობის სპეციფიკითაა გამოწვეული - ზოგმა მხოლოდ ირბინა, უმეტესობამ ლეიბზეც ივარჯიშა, სადაც ასევე განსხვავებულად დაიტვირთნენ, ზოგი საუნაში აკონტროლებდა საკუთარ წონას. ვარჯიშის დასასრულს მათთან მსოფლიოს ჩემპიონი **მიხეილ სალაძე** მივიდა და ოლიმპიადის წინ მეტად საჭირო რჩევა-დარიგებები მისცა. *„შრომა არასოდეს იკარგება. ამიტომ, თუ გულმოდგინედ ივარჯიშებთ, წარმატებასაც მოიპოვებთ. სულ ათი წელიწადი გაქვთ იმისთვის, რომ ხალხის სიყვარული დაიმსახუროთ და ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ"* - უთხრა მან მომავალ ოლიმპიელებს.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისთვის დორტმუნდის ტურნირი სასტარტოა ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ გზაზე, როგორც ბოლო უქმეებზე პოლონურ რაციზბორში გამართული პეტლიასინსკის მემორიალი. ამიტომ მოსალოდნელია, რომ გერმანიაში ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბოს. მაგალითად, არაა გამორიცხული, ლაშხი იქ ისევ შეხვდეს თავის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **ჰასან ალიევს** აზერბაიჯანიდან, რომელიც ერთ-ერთია იქაურთა თურქი მწვრთნელის **სალეხ ბორას** ორკაციან გუნდში, ხოლო აზერბაიჯანელ „თავისუფალთა" დაღესტნელი თავკაცი **საიპულა აბსაიდოვი** 74-ში ოლიმპიადაზე **დავით ხუციშვილის** შესაძლო მეტოქის გამოვლენას სულაც იქ აპირებს. 30 ივნისს 60, 66, 84 და 96 კილოგრამის ფალავნები იჭიდავებენ ორივე სახეობაში, დანარჩენები კი 1 ივლისს იასპარეზებენ.

გერმანიაში გამგზავრებამდე ბეგი დარჩიას მცირე კომენტარი ვთხოვეთ გუნდის ამჟამინდელ მოსამზადებელ ფორმასა და ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ გეგმაზე.

**- გასაგებია, რომ ამ ეტაპზე გუნდი ვერ იქნება ფორმაში, მაგრამ არის კი ნაკრები იმ კონდიციაში, რაც სადღეისოდ მოეთხოვება, მიდის მზადება გეგმაზომიერად და შეუფერხებლად?**

- გუნდის მომზადებით კმაყოფილი ვარ, რადგან შეესაბამება ამ ეტაპისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფორმაში კი ოლიმპიადისთვის შევალთ. სპორტსმენებში აშკარად იგრძნობა მონდომება და ადრინდელთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა.



**- გერმანული ტურნირისგან რას ელოდებით?**

- ამ ეტაპზე სატურნირო სტარტი აუცილებელი იყო, რადგან თუ არ ვიჭიდავებდით, ბოლო შეჯიბრებიდან ოლიმპიადამდე სამთვიანი შუალედი გამოგვივიდოდა. ამიტომ ამ შეჯიბრებას ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად განვიხილავთ და შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მთავარია, ბიჭებმა სატურნირო პრაქტიკა მიიღონ. მჯერა, მონდომებენ და საოლიმპიადოდ საჭირო დონეს მიაღწევენ - ამის წინაპირობა არის. იმის მიუხედავად, რომ გუნდში თაობათა ცვლა მოხდა და წინა ოლიმპიადაზე უფრო ძლიერი შემადგენლობა გვყავდა - მაშინ მსოფლიოს სამი ჩემპიონი ირიცხებოდა, მოტივაცია ახლა გაცილებით მეტია და შანსებიც იზრდება. იგრძნობა, რომ ბიჭებს შედეგი სწყურიათ. მათ ბევრი აქვთ დასამტკიცებელი, მოსაპოვებელი, რაც ჟინს, მისწრაფებას ზრდის.

**- ჯანმრთელობის მხრივ ხომ არ გაქვთ პრობლემები?**

- მხოლოდ ჯაბიძეს აწუხებს მცირე ტრავმა — ფეხის კუნთი ჰქონდა დაჭიმული და ბოლო შეკრება სრული დატვირთვით ვერ გაიარა. დანარჩენები ჯანმრთელად არიან, ტრავმირებული არავინაა და ოლიმპიადისთვის მთელი დატვირთვით ემზადებიან.

**- დასასრულს, თამაშებისთვის მზადების დარჩენილ ეტაპზეც გვითხარით...**

- გერმანიიდან მინსკში წავალთ ერთობლივ შეკრებაზე, სადაც, ჩემი ინფორმაციით, მასპინძლები ოთხი შემადგენლობით დაგვიხვდებიან. იქნებიან ასევე - სომხები, ლიტველები, ფრანგები და ყაზახები. 10 დღე დაგვრჩება დასკვნითი შეკრებისთვის, რომელიც, შეიძლება, ისევ მინსკში გავიაროთ. თავდაპირველად საქართველოში კი ვგეგმავდით და ეს არც ახლაა გამორიცხული, მაგრამ მინსკის ვარიანტიც განიხილება. ეს საკითხი მოგვიანებით გაირკვევა.

**ირაკლი თავაძე**

**ძიუდო**

# მართვეები მართვეში

### აფხაზეთში დაღუპულ მამულიშვილთა მემორიალური ტურნირი ძიუდოში

ტურნირი „მართვეს" ჭიდაობის სპორტკომპლექტში სამ ასაკში გაიმართა.

**2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის წონების მიხედვით გამარჯვებულები არიან: 24 კგ.** საბა შუბითიძე (მართვე), **27 კგ.** გიორგი მანაგაძე (ქუთაისი), **30 კგ.** გიგი ივანიშვილი (ჯორჯია), **34 კგ.** გიორგი წამალაიძე, **38 კგ.** გიორგი შერაზადიშვილი (ორივე - აკადემია), **42 კგ.** დიმიტრი ხუდორიანი (ჯორჯია), **46 კგ.** საბა ხურციძე (ქუთაისი), **50 კგ.** ლუკა რთველაძე (მართვე), **+50 კგ.** გიგა ტატიშვილი (შევარდენი).

**1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის: 30 კგ.** გიორგი კაპანაძე (შევარდენი), **34 კგ.** გიორგი წამალაიძე (აკადემია), **38 კგ.** ნიკა კობაიძე (დედოფლისწყარო), **42 კგ.** გიგი მჭედლიშვილი, **46 კგ.** მიხეილ ბექაური (ორივე - შევარდენი), **50 კგ.** გოგა გოგაშვილი (აკადემია), **55 კგ.** ლუკა რთველაძე (მართვე), **+55 კგ.** გელა ზაალიშვილი (ჯორჯია).

**1997-1998 წლებში დაბადებულთაგან: 42 კგ.** ვაჟა ბაბუნაური (დედოფლისწყარო), **46 კგ.** გელა გამყრელიძე (აკადემია), **50 კგ.** გიორგი აბაშიძე (ჯორჯია), **55 კგ.** ირაკლი ლიპარტელიანი (აკადემია), **60 კგ.** დავით ოძელაშვილი, **66 კგ.** ლევან ძიბელაშვილი (გურჯაანი), **73 კგ.** ელგუჯა ქმუტაშვილი (თბილისი), **+73 კგ.** დიზი თომაძე (აკადემია).

ასპარეზობაში სულ 500-მდე ნორჩი ძიუდოისტი მონაწილეობდა.

**გაბრიელ ბარჯაძე**

**სამბო**

# სამბო მოწოდების სიმაღლეზეა

სამბოში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირები თითზე ჩამოსათვლელია. ამიტომ ერევნის საერთაშორისო ტურნირი ჩვენმა ჭაბუკებმა მსოფლიოს პირველობის მზადებისთვის კარგად გამოიყენეს. და სომხეთში 16 კაცით იასპარეზეს.

ჩვენი ჭაბუკები, როგორც ცნობილია, წლეულს ევროპის ჩემპიონები გახდნენ ბუქარესტში (6-8 აპრილი). მსოფლიოს პირველობა კი ბულგარეთის დედაქალაქში შემოდგომაზე, 11-15 ოქტომბერს გაიმართება.

ერევანში ნელსონ დავიდიანის სახელობის მესამე საერთაშორისო მემორიალზე 1994-1996 წლებში დაბადებულები ასპარეზობდნენ - საბერძნეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და რუსეთის ექვსი რეგიონიდან.

16 ქართველი ჭაბუკიდან 11 საპატიო კვარცხლბეკზე დადგა. ოქროს მედლები მოიპოვეს სამტრედიელმა **უშანგი მარგიანმა** (75 კგ) და ზესტაფონელმა მძიმეწონოსანმა **გიორგი ლაზუაშვილმა** (+87). მარგიანმა ქართულ ფინალში თანაგუნდელ **ბექა შერაზადიშვილს** მოუგო. შერაზადიშვილის გარდა ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **სოლომონ თედიაშვილმა** (56), **გიორგი ქურდიანმა** (81).

ბრინჯაოს დაეუფლნენ: **ლერი ბედინაძე** (52), **მურზა გუჯეჯიანი** (56), **ზაზა როსტომაშვილი** (60), **გიორგი დარისპანაშვილი** (75), **ზაურ მამარდაშვილი** (81) და ჯონი ჭითანავა (81).

**გაბრიელ ბარჯაძე**

**ჭადრაკი**

# ჩვენებურებიც უდანაკარგოდ

ესპანურ მონსადაში დაიწყო მოჭადრაკეთა მე-20 საერთაშორისო ტურნირი. A ჯგუფში 19 ქვეყნის 107 წარმომადგენელი, მათ შორის - 20 დიდოსტატი ჩაება მთავარი პრიზისთვის (საპრიზო ფონდი 7 ათასი ევრო) ბრძოლაში. მოასპარეზეთა შორის არიან ქართველი დიდოსტატები - **ლევან აროშიძე და გიორგი მარგველაშვილი.** განვლილ ორ ტურში მათ მეტოქეებს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურეს. აროშიძემ მასპინძელი დანიელ ნავარო და პერუელი ქალბატონი დეიზი კორი დაამარცხა, მარგველაშვილმა კი ესპანელებს - ხესუს როდრიგეს კარასკოს და მანუელ ფენოლარს სძლია.

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ქართველებთან ერთად 19 მოჭადრაკე განაგრძობს წინსვლას.

**ვაჟა დანელია**

# 20-წლამდელთა საქართველო

### თბილისის ჭადრაკის სასახლე 20-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობას მასპინძლობს

ორი ტურის შემდეგ გოგონებში მხოლოდ სამი მათგანი იყო დარჩენილი უდანაკარგოდ. გუშინ მე-3 ტურში ლიდერებმა დაზავება არჩიეს: ყაიმზე შეთანხმდნენ ანა შამათავა - ანა კუჭავა, ნანი უნაფქოშვილი - ნატო იმნაძე. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მარიამ ჭოლაძე - ლიკა კობეშავიძე 1:0, დეა გოგიშვილი - ადა კაკუტია 1:0, ნინო გუმბერიძე - მარიამ ჯავახიშვილი 1:0, მაია მუმლაძე - თეა ჭოლაძე 0,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ: შამათავა, კუჭავა, უნაფქოშვილი - 2,5-2,5, გოგიშვილი, მ. ჭოლაძე - 2-2, იმნაძე - 1,5, კობეშავიძე, ჯავახიშვილი, კაკუტია - 1-1, თ. ჭოლაძე, მუმლაძე - 0,5-0,5 ქულა.

ორ-ორქულიან ვაჟთაგან ზურაბ ჯავახაძემ და გიორგი ნიკოლაშვილმა იყოჩაღეს, რომლებმაც თეთრი ფიგურებით შალვა ნადირაშვილი და დიმიტრი კვარაცხელია დაამარცხეს და 3-3 ქულით გათამაშების ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი და ლევან ბრეგაძე ყაიმზე შეთანხმდნენ. სატურნირო მდგომარეობა გამოასწორა ირაკლი ბერაძემ, რომელმაც სეხნია - ირაკლი ჯანიაშვილს გააჩერებინა საათი. წარმატებით ითამაშეს ვაჟთა ტურნირში მოასპარეზე დებმა ხომერიკებმა: ქეთევანმა ლუკა ლიჩელი დაამარცხა, ნინომ აბდულ მამედოვს აჯობა. ახლა ორივეს 2-2 ქულა აქვს. ნიკოლაშვილისა და ჯავახაძის გარდა, დებს ბრეგაძე, ბერაძე და ქუმსიაშვილი უსწრებენ, რომლებსაც 2,5-2,5 ქულა აქვთ.

დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ჩოგბურთი



# ანამ ჯორჯის ვერ აჯობა

უკვე გაუწყეთ, რომ ქართველი ჩოგბურთელები - **ანა ტატიშვილი** და **მარგალიტა ჩახნაშვილი** 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ. ორივე ჩვენებურმა საერთაშორისო ტურნირებზე მორიგი შეხვედრები გამართა. ჩახნაშვილი რომის 25-ათასიან შეჯიბრებაში ცდის ძალებს. იგი მე-6 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში მაკამ ბერძენი მარია საკარი დაამარცხა - 7:5, 6:2. მეორეში ტურნირზე „ველური ბარათით" დაშვებულ მასპინძელს - ანგელიკა მორატელის დააყრევინა ფარ-ხმალი 6:4, 6:3. მეოთხედფინალში იგი ისევ აპენინელს - მე-3 ნომრად განთესილ ნასტასია ბურნეტს დაუპირისპირდება, რომელმაც თანამემამულე ანასტასია გრიმალსკას აჯობა - 2:6, 7:5, 6:3.

უიმბლდონის ტურნირზე პირველი წრე წარმატებით გადალახა ტატიშვილმა - ტაილანდელ ტამარინე ტანასგურანს მოუგო - 6:4, 6:2 და სარეიტინგი 100 ქულაც დაიცვა. გუშინ იტალიელ ფლავია პენეტას მძლეველ კამილა ჯორჯის (იტალია) შეხვდა. ეს უკანასკნელი ქალთა საერთაშორისო საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში 145-ე ადგილზეა, ტატიშვილი - 73-ზე. 72 საფეხურით დაბლა დგომამ ხელი ვერ შეუშალა ჯორჯის, წარმატებისთვის მიეღწია - ტატიშვილი მან ორ სეტში დაამარცხა - 6:3, 6:1.

საფრანგეთის 25-ათასიან საერთაშორისო ტურნირში თამაშობს **სოფიო შაფათავა**. პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი ბულგარელ ალექსანდრინა ნაიდენოვას დანებდა - 2:6, 3:6, სამაგიეროდ, წყვილებში აილო რევანში: სოფიომ ბელარუს პოლინა პეხოვასთან ერთად ნაიდენოვას და არგენტინელ ვანესა ფურლანეტოს დუეტს 7:6, 6:3 აჯობა, მეოთხედფინალში კი მარია ანდრეა გარდენასი (ვენესუელა) და ევა ფერნანდესი (ესპანეთი) დაჯაბნა - 6:3, 6:1. ნახევარფინალში შაფათავა და პეხოვა აგენტინელებთან - მაილენ აუროუსთან და მარია ირიგოენთან გაარკვევს ურთიერთობას.

ვაჟა დანელია

წყალბურთი

# ოლიმპიკი უმასპინძლებს

საწყლოსნო კომპლექს "ოლიმპიკში" 29 ივნისს დაიწყება და სამ დღეს გასტანს წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი "თბილისის თასი". მთავარი პრიზისთვის საქართველოს ორი ნაკრები, ასევე, პოლონეთისა და ბელარუსის ეროვნული გუნდები იბრძოლებენ. ჩვენებისთვის ეს შეჯიბრება იქნება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების ეტაპი. შემოდგომით ქართველი წყალბურთელები კონტინენტის პირველობის შემდგომ ეტაპზე გასასვლელი ორი საგზურისთვის თურქებსა და ბელარუსებს დაუპირისპირდებიან.

ვაჟა დანელია

ლიცენზიატი

# ლონდონში ოლიმპიური მედლისთვის

ერთი თვის წინათ ზუგდიდმა ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა **გია მაჭავარიანმა.** 1999 წელს მუხრან გოგიამ ამ წონაში 187 კილო აიტაცა და ქვეყნის რეკორდი დაამყარა. შარშან პარიზში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე მაჭავარიანმა ეს მიღწევა გაიმეორა და მცირე ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა. ზუგდიდში კი რეკორდი ხუთი კილოგრამით დაამძიმა. აკვრაში 225-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და ორჭიდშიც 417 კილოგრამით საქართველოს რეკორდი დაამყარა. ეს გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა: 2011 წელს პარიზში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა ათლეტებმა ანტალიის მსგავს შეჯიბრებაში მოპოვებული სალიცენზიო ქულები განიმტკიცეს და ლონდონის ოლიმპიური თამაშების 3 საგზური დაიბევეს. ამ წარმატებაში ლომის წილი გია მაჭავარიანმა დაიდო.

- ეროვნული ჩემპიონატისთვის საფუძვლიანად მოვემზადე,- მითხრა გიამ. - საერთოდ, ნაკრების წევრებს ფედერაციამ სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომით წვრთნისა და აქტიური დასვენებისთვის ყოველგვარი პირობა შეგვიქმნა. ჩვენც თავდადებული გარჯით ვცდილობთ ქომაგთა იმედების გამართლებას...

ხარაგაულში დაბადებულ-გაზრდილმა ჭაბუკმა ყმაწვილობისას სპორტის მრავალ სახეობაში სცადა ბედი, თუმცა დიდხანს ვერც ფეხბურთს დაუდო გული, ვერც კრივსა და ჭიდაობას. ბიძამ ურჩია, ჯანი გერჩის, იქნებ შტანგა მოგესინჯაო.

ასე აღმოჩნდა ვაკის ძალოსნობის დარბაზში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ავთანდილ გახოკიძესთან.** მაშინ 15 წლის იყო.

- ვერ გეტყვით, შტანგა ერთი ნახვით შემიყვარდა და თავდავიწყებით დავიწყე ვარჯიში-მეთქი. თავიწონით მეტოქეზე მსუბუქი ვიყავი. ჩრდილოელ მეზობელთა გასახარად, აკაევს მეტი ნაშველება აღარ დასჭირვებია. მან საბოლოოდ 195 კილო აიტაცა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ვერცხლის მცირე მედალი მე მხვდა. აკვრაში მწვრთნელებთან ერთად რისკს მოვერიდეთ: რადგან რუსი ძალოსანი პირველი მოძრაობის შემდეგ დიდი უპირატესობით მიგებდა, ორჭიდში გამოდევნებას აზრი არ ჰქონდა. მთავარი იყო, მე-2 ადგილი შეგვენარჩუნებინა. ამიტომ 217 კილოს დავჯერდი, არადა, ვარჯიშებზე 220 კილოც არაერთხელ ამიკრავს. მთავარი ის იყო, რომ პოლონელ ბონკს გავუსწარი და, როგორც აკვრაში, ისე ორჭიდში ვერცხლის მედლები მოვიპოვე. ეს იყო ჩემი პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება დიდ სარბიელზე, რამაც ძალიან გამახარა და სტიმულიც გამიორკეცა.

**- ალბათ, ამიტომაც პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო მოტივირებული ჩანდი, თუმცა კვარცხლბეკზე ასასვლელად მცირედი დაგაკლდა.**

- დიახ, ასე იყო. მართალი გითხრათ, საფრანგეთის დედაქალაქში მეტის მიღწევა შემეძლო. ჯერ კიდევ საქართველოს ლიგის პირველობაზე ვიგრძენი, რომ კარგად ვიყავი მომზადებული - ორჭიდში ძალების დაუძაბავად 406 კილო მოვაგროვე. ეს პარიზშიც გამოჩნდა, როცა ატაცში მესამე ცდისას 187 კილოთი პირადი მიღწევა გავაუმჯობესე და კარიერაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის მცირე ბრინჯაოს მედალიც მოვიპოვე: მხოლოდ რუს მეტოქეებს - ხაჯიმურატ აკაევსა და დმიტრი კლოკოვს ჩამოვრჩი. აი, აკვრაში უფრო ფრთხილი პოლიტიკა ავირჩიეთ: გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო საწყისი წონის დაძლევა, რომ სალიცენზიო ქულები განგვემტკიცებინა. ამიტომ პირველი ცდისთვის 212 კილო შევუკვეთეთ. მერე წონა საგრძნობლად გავზარდეთ და მესამე ცდაზე 222-კილოიანი შტანგა




გია მაჭავარიანი

დან მწვრთნელისა და ოჯახის წევრების ხათრით დავდიოდი დარბაზში. სამი წელიწადი შედეგიც არ მქონია. 2003 წელს 94 კილოში საქართველოს პირველობაზე ვერცხლის მედალი რომ მოვიპოვე, მაშინ ვიგრძენი, რომ შტანგას გავშინაურებივარ და ისეთმა ჟინმა შემიპყრო, ერთი სული მქონდა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავსულიყავი. იმ დღიდან მეტი გულისყურით ვეკიდებოდი მწვრთნელის შენიშვნებს და რჩევებს. 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს სალიცენზიო ქულები მივეცი. მეამაყებოდა, რომ ისეთი სახელოვანი სპორტსმენის გვერდით მიწევდა გამოსვლა, როგორიც გახლავთ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი ასანიძე. მერე იმან გამახარა, რომ ათენში ჩემმა კერპმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა.

მას შემდეგ შვიდი წელიწადი გავიდა და გია მაჭავარიანი სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდა, ერთხელ 20-წლიანთა ევროპის პირველობაზე ორჭიდში მე-4 ადგილი დაიკავა, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეშვიდე იყო. ვერა და ვერ მიუახლოვდა კვარცხლბეკს. და აი, შარშან გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატზე ერთბაშად სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

- ყაზანში დიდი შემართებით ჩავედი, რადგან შეჯიბრებისთვის სერიოზულად მოვემზადე და მწვრთნელები მედალსაც მიგეგმავდნენ. ექვსიდან ხუთი ცდა გამოვიყენე. ჯერ 180 და 183 კილო ავიტაცე, 185 კილო კი მსაჯებმა არ ჩამითვალეს - ფეხის წვერი აწიეო. ეს, უბრალოდ, საბაბი იყო : რუსმა ხაჯიმურატ აკაევმა, რომელსაც ტურნირის ფავორიტად მიიჩნევდნენ, ატაცი 185 კილოთი დაიწყო, მაგრამ ისე გაუჭირდა, ეტყობა, მასპინძლებმა იფიქრეს, შესაძლოა, მეტი წონა ვერ დაძლიოსო. მაშინ ამ მოძრაობაში ოქრო მე დამრჩებოდა, რადგან პირადი დავიმორჩილე. ორჭიდში, ფაქტობრივად, მესამე ადგილზე ვიყავი, რადგან პოლონელმა ბონკმა შეჯიბრება 221 კილოთი დაასრულა და ბრინჯაოსთვის მეტოქეობას ვერ მიწევდა. ერთადერთი უკრაინელ ალექსეი ტოროხტის ჰქონდა ორი ცდა დარჩენილი, მას კი ატაცში 6 კილოთი ვაჯობე, თან პირადი წონითაც მასზე მსუბუქი ვიყავი. უკრაინელმა გარისკა და 229 კილო შეუკვეთა, რომელიც მანამდე არასდროს დაეძლია. ერთი ცდა გაუცუდდა, მეორე შედეგიანი გამოდგა, ორჭიდში 410 კილოგრამი მოაგროვა და ერთი კილოთი გამისწრო. ცხადია, აკაევისა და კლოკოვის შემდეგ ბრინჯაოც მას ერგო. გული დამწყდა.

**- ლონდონში, ალბათ, რევანშის აღებას შეეცდები.**

- ტრაბახად ნუ ჩამითვლით და, მარტო ტოროხტი კი არა, აკაევი, კლოკოვი, ბელარუსი ოლიმპიური ჩემპიონი ანდრეი არამნაუ მყავს მიზანში. ყველაფერს ვაკეთებ, რომ ბრიტანეთის დედაქალაქში მათთვის გადასწრება შევძლო. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებულმა წარმატებებმა საკუთარი ძალების რწმენა შემმატა, ზუგდიდში ნაჩვენებმა შედეგებმაც საჩემპიონო ამბიციები გამიჩინა. მით უმეტეს, რომ, როგორც გითხარით, მწვრთნელები და ჩვენი ფედერაციის მესვეურები წუთითაც არ გვაკლებენ ყურადღებას. აი, ახლაც ნაკრების წევრები ბატონი ვანო გრიქუროვის საერთო ხელმძღვანელობით ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ჩაქვში ვიმყოფებით შეკრებაზე. კვირაში ცხრაჯერადი ვარჯიშები გვაქვს. პირველი ივლისიდან ლონდონში გამგზავრებამდე დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე მოვემზადებით. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, ოლიმპიური ოცნება ლონდონში რეალობად ვაქციო.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები


ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკეთესად

| საქართველო-ისრაელი | 78:88 |
|---|---|

21:25, 13:22, 23:19, 21:22

**საქართველო:** ტეტელაშვილი (2ქ, 5პ, 5მ), ფხაკაძე (7ქ), სანაძე (23ქ, 3პ), ბოქოლიშვილი (21ქ), თენეიშვილი (5ქ, 5მ), ალხანაიძე (3ქ, 5მ), როგავა (3მ), ლომინაშვილი (3პ, 4მ), ბურჯანაძე (17ქ, 14მ)

**ისრაელი:** მაიორი (7ქ), აბრამოვიჩი (2ქ), დაუსენი (14ქ, 9მ, 3პ), დრაპიჩი, ლავიე (17ქ, 8პ, 7ჩ), არიელქი (3ქ), ბლაიზერი (12ქ, 9მ, 5პ), ტიმორი (20ქ, 6პ), ელიასტური (9ქ), ანტიტი (4ქ)

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ისრაელთან მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. შეხვედრა ისეთივე სცენარით დაიწყო, როგორც წინა დღის თამაში - მეტ-ნაკლებად თანაბრად ჩატარებული პირველი მეოთხედის შემდეგ მეორე ათწუთეულში ებრაელებმა იძალეს.

თუმცა ამჯერად სხვაგვარად წარიმართა მეორე ტაიმი - ქართველებმა, უმთავრესად სამქულიანი ტყორცნების სიზუსტით 15-ქულიანი ჩამორჩენა ორამდე შეამცირეს (71:73). ჩვენმა გუნდმა თამაში მას მერე შემოატრიალა, რაც მოედანზე გამთამაშებელი **გიორგი ტეტელაშვილი** გამოვიდა. გადამწყვეტ მომენტში კვლავ ებრაელებმა იყოჩაღეს და 88:78 გაიმარჯვეს.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# პირველი საკონტროლო: -6

ბელარუსი. 27 ივნისი

| ბელარუსი-საქართველო | 73:67 |
|---|---|

22:16, 19:13, 18:17, 14:21

**საქართველო:** ზაქრაძე (16ქ), პეტრიაშვილი (12ქ), ბობილევი (10ქ), გუგეშაშვილი (8ქ), მაჭავარიანი (7ქ), ისიანი (5ქ), ლიმიძე (3ქ), ტაბალუა (2ქ), გოგალაძე (4ქ)

**გია კაზანჯიანი** (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):

- ჩვენი გუნდი თავიდან დაბნეულად გამოიყურებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ ეს შემადგენლობა ერთად პირველად თამაშობდა. ბიჭები ნერვიულობდნენ და ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციები არ გამოსდიოდათ. მეორე ტაიმში ყველაფერი გამოსწორდა და ინიციატივა მოვიპოვეთ. ბოლო მეოთხედში ჩამორჩენა 3 ქულამდე შევამცირეთ და სულ ცოტა გვაკლდა გამარჯვებამდე, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი ველარ გადავდგით. იმედი მაქვს, მომდევნო შეხვედრაში უკეთესად ვითამაშებთ. დღევანდელი მატჩიდან საკმარისი გამოცდილება მივიღეთ.

ვაჟა სიმონიშვილი



ლელოს სტუმარი

მანუჩარ მარკოიშვილი

**გუშინ „ლელოს“ რედაქციას საქართველოს ნაკრებისა და იტალიის „კანტუს“ კალათბურთელი მანუჩარ მარკოიშვილი ესტუმრა. მან ილაპარაკა საკლუბო და სანაკრებო თემებზე, არაერთ საჭირბოროტო საკითხსაც შეეხო. 29 ივნისს, გამთენიისას ამერიკაში შედგება დრაფტი, რომელზეც სავარაუდოდ თორნიკე შენგელიას აირჩევენ. საინტერესოა, რას ფიქრობს თანაგუნდელის მომავალზე მანუჩარი.**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

- მჯერა, რომ შენგელიას დრაფტზე აუცილებლად აირჩევენ. იგი ძალიან მონდომებულია, NBA-ში თამაში სურს. დარწმუნებული ვარ, მაქსიმუმს გაიღებს, რომ ამერიკულ ლიგაში ფეხი მოიკიდოს. მთავარია, ისეთმა გუნდმა აიყვანოს, რომელსაც დღესვე სჭირდება, ამასთან თორნიკეს პროგრესირების საშუალება უნდა მიეცეს. ახალგაზრდა კალათბურთელი შეცდომას აუცილებლად დაუშვებს, მაგრამ ამის გამო მწვთნელმა სათადარიგოთა სკამზე არ უნდა დასვას.

**- რამდენიმე წლის წინათ NBA-ს დრაფტზე შენი კანდიდატურაც უნდა დასახელებულიყო, მაგრამ დღეს ევროპაში თამაშობ...**

- ტრავმის გამო, წინასასეზონოდ ამერიკაში ვერ ჩავედი. თუმცა, სათანადო მონაცემების შემთხვევაში, ამერიკულ გუნდში დრაფტის გარეშეც შეიძლებოდა მოხვედრა.

**- კერძოდ?**

- თუნდაც სიმაღლე, ფიზიკური მონაცემები, დახვეწილობა... თორნიკე შენგელიას აქვს ყველა ის თვისება, რასაც ამერიკელები ეძებენ - მაღალია, ენერგიული, ფიზიკურად ძალიან ღონიერი. 207 სმ სიმაღლის ახალგაზრდა ბურთს ისევე კარგად ატარებს, როგორც უკანახაზელი.

# გამოგივა, ოღონდ უნდა ივარჯიშო



**- შენგელია იმ იშვიათთაგანია, რომელმაც ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი.**

- გულდასაწყვეტია, რომ არ მოდის ისეთი ახალი თაობა, ნაკრებში სერიოზული კონკურენცია რომ შეიქმნას. ასევე არ ჩანს კალათბურთელი, რომელიც ახლო მომავალში ცენტრის პოზიციაზე გიორგი შერმადინს ან ზაზა ფაჩულიას შეცვლის.

**- როგორ ფიქრობ, რა არის ამის მიზეზი?**

- ალბათ, კალათბურთი იმდენად პოპულარული არ არის, როგორც ფეხბურთი. იგი სპორტის წარმატებულ სახეობად ბოლო წლებში იქცა. ახლა ყურადღებაც სათანადო ექცევა, თუმცა საკალათბურთო ეპიცენტრი მაინც თბილისშია. ყველა რეგიონში უნდა გაიშალოს სერიოზული მუშაობა.

**- 70-იან წლებში ჟურნალ „მართვეში“ გამოქვეყნდა მოწოდება: ვეძებთ მაღალ ბავშვებს. მწვრთნელები მთელი საქართველოს მასშტაბით მუშაობდნენ ტანმაღალი ტალანტების მოძიებაზე...**

- მაშინ მწვრთნელებს მეტ-ნაკლებად ნორმალური ანაზღაურება ჰქონდათ. დღეს კი ბავშვის მშობლის მიერ შეტანილი თანხით ცხოვრობს. ამას დავუმატოთ ბურთების შესაძენი თანხა... კარგი რამ გააკეთა კალათბურთის ფედერაციამ - უმაღლესი ლიგის კლუბებს უმცროსი ასაკის გუნდების შექმნა რომ დაავალა. ეს სისტემა ნამდვილად გაამართლებს.

**- იტალიაში ამ მხრივ რა სიტუაციაა?**

- მაგალითად, ქალაქ კანტუში სულ ოთხი დარბაზია. ბავშვებთან შეხვედრებზე არაერთხელ მომიხდა მათი ნახვა, არც ერთი დარბაზი წამითაც არ ცდება - ერთი გუნდი რომ გამოდის, მეორე შედის. კანტუში ახალგაზრდებს დიდი სტიმული აქვთ - უმაღლეს ლიგაში ამ ქალაქის არც ფეხბურთელთა გუნდია, არც ფრენბურთელთა, კალათბურთელთა გუნდი კი სერია A-ში წარმატებით თამაშობს. თუმცა იტალიამდე მაინც შორია, იქ შვიდი საკალათბურთო ლიგაა, რასაც სამოყვარულო ლიგები მოსდევს.

**- მაინც, რატომ ითვლება ბოლონია საკალათბურთო დედაქალაქად?**

- ბოლონიელებს ორი ძლიერი კლუბი ჰყავდათ – "ფორტიტუდო" და "ვირტუსი". ამ ქალაქში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა კალათბურთსაც, საიდანაც არიან ბელინელი, მორასკინი... იტალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატებში ბოლონიელები ყოველთვის მაღალ შედეგებს აღწევენ.

**- როგორც ასეთი, მწვრთნელთა სკოლა თუ არსებობს?**

- საამისოდ სემინარებია. მაგალითად, წლის განმავლობაში მწვრთნელმა უნდა მოაგროვოს 20 ქულა, თითო სემინარი კი 2 ქულას იძლევა...

**- ზემოთ ბავშვთა კალათბურთი ვახსენეთ. ძალიან საინტერესოა, ბავშვობაშიც ბევრს ვარჯიშობდი?**

- მამაჩემს 35-წლიანი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს. ძალიან პატარები ვიყავით, როცა მე და ჩემი ძმა მამას დარბაზში დავყავდით, დავრბოდით და ბურთს ვტყორცნიდით. საღამოს კი მწვრთნელ ზურაბ სამხარაძის ხელმძღვანელობით ვმუშაობდით. ფაქტობრივად, პატარაობიდანვე დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით. მას მერე ყოველთვის ვცდილობდი სწორედ ბევრი ვარჯიშის ხარჯზე გამეკეთებინა ის, რაც არ გამომდიოდა. ვიდრე არ შევასრულებდი, დარბაზს არ ვტოვებდი.

**- მალე საქართველოს ნაკრების ვარჯიშები დაიწყება. გავალთ ევროპის ჩემპიონატზე?**

- უნდა გავიდეთ, თუმცა მიზნის მიღწევა რთული იქნება. ზაზა ფაჩულიას ფეხის ტრავმა ბოლომდე არ მოშუშებია. იმედი მაქვს, ოფიციალურ მატჩებს ნაკრების ყველა წევრი მწყობრში შეხვდება.

**- გვეყოლება ახალი ამერიკელი კალათბურთელი. როგორ ფიქრობ, რა კურსი უნდა ავირჩიოთ ნატურალიზებულთან დაკავშირებით, გვჭირდება უცხოელი?**



- კარგი იქნება, თუ ფიბა საერთოდ აკრძალავს ნატურალიზებული კალათბურთელების დამატებას. თუმცა შესაძლოა, ამ ეტაპზე ამერიკელი გვჭირდება.

**- გუნდთან ადაპტაციისა და თამაშის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად რომელი ნატურალიზებული კალათბურთელი გამოადგა საქართველოს ნაკრებს?**

- ტაირონ ელისი, რომელმაც გუნდში თავისი როლი კარგად გაითავისა. არ ცდილობდა თავის გამოჩენას, თუმცა ყველაფერს აკეთებდა გამარჯვებისთვის. მაღალი დონის კალათბურთელი იყო შემონდ უილიამსი, რომელსაც შეეძლო გუნდის გაძლოლაცა და აყოლიებაც. ტორინ გრინსა და მარკიზ ჰეინსს, როცა ჩვენთან თამაშობდნენ, ევროპაში ასპარეზობის სათანადო გამოცდილება არ ჰქონდათ, ამერიკიდან 1-2 წლის ჩამოსულები იყვნენ.

**- რა სხვაობაა ამერიკულ და ევროპულ კალათბურთს შორის?**

- ამერიკელები სხვა სისტემით თამაშობენ. იქ 22 წლამდე ასაკის შეჯიბრებებში მხოლოდ თანატოლებთან უწევთ გამოსვლა. ევროპაში კი შეიძლება ერთ გუნდში 18 წლის კალათბურთელის გვერდით 37 წლისა თამაშობდეს. უმცროსი უფროსს თითის აწევით ელაპარაკება... მაგალითად, „ბენეტონში“ რომ გადავედი, ნიკოლა პიტისი დამხვდა, რომელსაც კალათბურთის თამაშის დიდი სტაჟი ჰქონდა.

**- „კანტუში“ წლეულსაც გყავდათ 40 წელს მიახლოვებული კალათბურთელები. მათ თითის აწევით ხომ არ ელაპარაკებოდით?**

- ბაზილე 36 წლისაა, ასევე ასაკოვნები არიან (საკალათბურთო თვალსაზრისით) მარკონატო და მაზარინო. თითის აწევით არ მივმართავდით, მაგრამ ურთიერთთამაშისას, ვცდილობდით გამოცდილი კალათბურთელებისთვის ტრავმა არ მიგვეყენებინა, რადგან მათ ისედაც მალე მოუწევთ კარიერის დასრულება და არავის სურდა, ამის მიზეზი რომელიმე ჩვენგანი გამხდარიყო.

**- სხვათა შორის, ბაზილე და მარკონატო 1998 წელს თბილისშიც იყვნენ.**

- საქართველოში ჩატარებულ მატჩთან დაკავშირებით საინტერესო ამბები გაიხსენეს: დიდი დარბაზი იყო, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ჭერს ბურთი ვერ მოვარტყითო. ცხელი წყალი რომ არ იქნებოდა და სინათლე გაითიშებოდა, ეს ყველას მოეხსენება. გაცილებით საინტერესო ერთი ეპიზოდი იყო - იტალიელები გასახდელიდან რომ გამოვიდნენ, ყინულები ნიჟარაში ჩაყარეს. მეორე დღეს დარბაზში მისულებს ყინული ისეთივე მდგომარეობაში ნიჟარაში დახვდათ. წარმოიდგინეთ, როგორ ეციებოდა დარბაზში...

**- ნატურალიზებულზე ვთქვით. საინტერესოა შენი მოსაზრება საქართველოს ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვზე.**

- რკინისნერვებიანი კაცი რომ წარმოიდგინოთ, სწორედ ასეთია იგორ კოკოშკოვი. ძალიან გაწონასწორებულია, აგრესიაზე აგრესიით არასოდეს პასუხობს. შესაძლოა გაბრაზდეს, მაგრამ ბურთს არ გადააგდებს, სიტყვით ისე შემოატრიალებს სიტუაციას, რომ შესაძლოა, თავად შეგრცხვეს. მითქვამს კიდეც, ერთადერთი სერბი მწვრთნელი ბრძანდებით, რომელიც არ იგინება-მეთქი.

**- იტალიაში ჟურნალისტებს კალათბურთელებთან როგორი ურთიერთობა აქვთ?**

- რაც დასაწერია, წერენ, არ ერიდებათ. კრიტიკაც იციან. ერთი ეპიზოდი დამამახსოვრდა: იტალიის თასის გათამაშებაში ორი თამაში კარგად ჩავატარე, თავი არ დავზოგე. მესამე შეხვედრაშიც ძალიან მოვინდომე, მაგრამ არც მე გამომივიდა რამე და არც გუნდს. ჟურნალისტმა, რომელიც ყოველთვის ჩვენთან ერთად იყო საშინაო თუ გასვლით მატჩებზე, დაწერა: მარკოიშვილმა არ იცოდა, რას თამაშობდაო...

**- ბოლოს „კანტუზე“ ვთქვათ. წლეულს ნამდვილად არ ველოდით სეზონის იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალში დასრულებას.**



- არც ჩვენ. თუმცა სეზონის ბოლოს ტრავმების გამო დაგვაკლდა გიორგი შერმადინი და ვლადიმირ მიცოვი. მათ მართლაც მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდათ. გიორგი მოედანზე რომ ყოფილიყო, „პესაროსთან“ მეოთხედფინალში მოხსნებში დიდი სხვაობით ნამდვილად არ დავთმობდით.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

# ელიტის 16 გუნდის 39 ქართველი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი სამი კვირის წინათ დასრულდა, თუმცა გუნდების უმრავლესობამ უკვე მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. მართალია, სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად 1 ივლისს იხურება, თუმცა ელიტური, პირველი დივიზიონის ყველა გუნდი უკვე მთლიანად დაკომპლექტებულია. შესაბამისად, რაიმე ხმაურიანი ტრანსფერი მოსალოდნელი არ არის.**


ბურთით მამუკა გორგოძე

წლეულს ქართველ მორაგბეებზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ელიტურ, მეორე დივიზიონში. ერთბაშად სამი ჩვენებური დაიმატეს „ალბიმ“ და „ტარბმა“. ალბელებს, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტანტი **ანრი ბრონკანი** წვრთნის, მომავალ სეზონში საქართველოს ნაკრების ორი წევრი, ყოფილი ლელოელები **ვახტანგ მაისურაძე** და **ალექსანდრე თოდუა** დაეხმარებიან. მათთან ერთად შავ-ყვითლების ღირსებას დაიცავს რუსთავის „ხარების“ მორკინალი **კახაბერ კობერიძე.**

„ტარბმა“ კიდევ უფრო უკეთესი შენაძენი გააკეთა. ამ გუნდის მიერ დამატებული სამივე ქართველი მორაგბე ეროვნულ ნაკრებში თამაშობს. ამათგან ორი, **გიორგი ნემსაძე** და **გიორგი ჩხაიძე** მეორეხაზელები არიან. ნემსაძე აქამდე ფედერალ 1 დივიზიონის „ვალანს დაჟენში“ გამოდიოდა, ჩხაიძე კი „სენ ჟუნიენის“ ღირსებას იცავდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე გუნდში ასპარეზობდა „ბორჯღალოსნების“ მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი**, რომელიც ამჟამად უგუნდოდაა.

„ტარბში“ ჩარიცხული მესამე ჩვენებური, შერკინების ბურჯი **დავით დადუნაშვილია**, რომელიც ჩვენს რაგბიში იმითაა ცნობილი, რომ მსოფლიოს თასის გათამაშებების ისტორიაში ქართული ლელო პირველმა გაიტანა. დადუნაშვილმა განვლილი სეზონი მეორე დივიზონში მოასპარეზე „პერიგოში“ გაატარა, რომელიც ბოლო ადგილზე გავიდა და ფედერალ 1 დივიზიონში დაქვეითდა. ამ გუნდის რიგები დატოვა საქართველოს ნაკრების შუამარბმა **თედო ზიბზიბაძემ** და ის ახალი გუნდის ძიებაშია.

მეორე დივიზიონში მოთამაშე „ქართულ გუნდებს“ შეემატა პირველი დივიზიონიდან დაქვეითებული „ბრივი“. ამ გუნდში **ირაკლი ნატრიაშვილსა** და **დავით ხინჩაგიშვილს** წლეულს კიდევ ერთი პირველხაზელი **გოდერძი შველიძე** შეუამხანაგდება, რომელმაც პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ფავორიტი „მონპელიე“ დატოვა.

ფედერალ 1 დივიზიონის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა და ელიტაში დაწინაურდა **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი“. პარიზელებმა მეორე დივიზიონში თამაშის უფლება ახლახან მოიპოვეს, ამიტომ გაძლიერებაზე ზრუნვა გვიან დაიწყეს. გამორიცხული არ არის „მასის“ რიგებში, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელი **ვიქტორ დიდებულიძე** წვრთნის, სხვა ქართველი მორაგბეებიც ვიხილოთ.

„მასისთან“ ერთად მეორე დივიზიონის საგზური მოიპოვა „კოლომიემაც“, რომელშიც პირველხაზელი **ელიზბარ ყუფარაძე** ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „მონლუსონიდან“ გადაბარგდა.

საკმაოდ სოლიდური შევსება აქვთ პირველი დივიზიონის გუნდებსაც. სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭებმა, **ჯაბა ბრეგვაძემ** და **აქვსენტი გიორგაძემ** ფრანგული რაგბის ფლაგმანის, „ტულუზის“ მთავარი მწვრთნელის **გი ნოვეს** მოხიბლვა შეძლეს და ამ გუნდში განაგრძობენ კარიერას. ტულუზელთა ღირსებას დაიცავს შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინიც.**

„კლერმონის“ სათადარიგო გუნდიდან ძირითადში დაწინაურდა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი**, მან „ვულკანებთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ხუთი ქართველი ითამაშებს მომავალ სეზონში „მონპელიეში“, რომელიც ბოლო ორის სეზონია ჩემპიონობისთვის იბრძვის. **მამუკა გორგოძეს, გიორგი ჟულენტს** და **მიხეილ ნარიაშვილს**, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები, **ლაშა ლომიძე** და **გაგი აბაზაძე** დაემატებიან. ცხადია, ორივეს თავდაპირველად ესპუართა გუნდში მოუწევს თამაში და მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა ძირითადში ადგილის დამკვიდრებას.

ფრანგული რაგბის გრანდებში ჩაირიცხნენ ქუთაისის „აიას“ ახალგაზრდა პირველხაზელები. **ზურაბ ჟვანიამ**, როგორც იქნა, პარიზულ „სტად ფრანსესთან“ გააფორმა ხელშეკრულება, ეს გუნდი ფოთის სარაგბო სკოლის აღზრდილის თავისთან გადაბირებას წელიწადზე მეტია ცდილობდა, თუმცა ჯერ სავიზო პრობლემებმა, მერე კი კლუბის ხელმძღვანელობაში მომხდარმა ცვლილებებმა ხელი შეუშალა. ამჯერად ყველა პრობლემა მოგვარებულია და ჟვანია პარიზული გუნდის წევრია. აღსანიშნავია, რომ ის პირველი ქართველი მორაგბეა, რომელიც ამ გუნდის კვართს მოირგებს.

სამაგიეროდ, უცხო არ არის ქართველებისთვის ტულუზის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის, საკმაოდ ძველი სარაგბო ტრადიციების გუნდი „კასტრი“. აქ შერკინების ბურჯი **ტარიელ ჩხიკვაძე** ჩაირიცხა, რომელიც საქართველოს ნაკრების გარემარბის, **ირაკლი ჩხიკვაძის** ძმაა. „კასტრში“ გასულ სეზონში **ანტონ ფეიქრიშვილი** ირჯებოდა.

ამრიგად, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის 7 გუნდში 18 ქართველი მორაგბე ითამაშებს. კიდევ უფრო შთამბეჭდავია ეს მაჩვენებელი მეორე დივიზიონში. აქ 21 ქართველი 9 კლუბის კვართს მოირგებს.

### I დივიზიონი

დავით ზირაქაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი (ორივე-კლერმონი) ბექა შეყლაშვილი (აჟენი), ანტონ ფეიქრიშვილი, ტარიელ ჩხიკვაძე (ორივე-კასტრი), დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა, კონსტანტინე მიქაუტაძე, საბა ლაბაძე (ოთხივე-ტულონი), მამუკა გორგოძე, გიორგი ჟღენტი, მიხეილ ნარიაშვილი, ლაშა ლომიძე, გაგი ბაზაძე (ხუთივე-მონპელიე), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბეგვაძე, აქვსენტი გიორგაძე (სამივე-ტულუზი).

### II დივიზიონი

**კახაბერ კობერიძე, ალექსანდრე თოდუა, ვახტანგ მაისურაძე (სამივე-ალბი), ირაკლი მირცხულავა, დავით დადუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე (ოთხივე-ტარბი), ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნაცარაშვილი, კარლენ ასეიშვილი (სამივე-ორიაკი), დავით ლოსაბერიძე, ზერო პეტრიაშვილი (ორივე-პო), დავით აშვეთია, არჩილ კობაური, შალვა სუთიაშვილი (სამივე-მასი), ტარიელ რატიანიძე (დაქსი), დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, გოდერძი შველიძე (სამივე-ბრივი), ელიზბარ ყუფარაძე (კოლომიე), გურამ კავთიძე (ლიონი).**


ბურთით გიორგი ჩხაიძე

მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი


გახარებული იაპონელები და დამწუხრებული ქართველები

# კიდევ ერთხელ დაკარგული შანსი

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა სოლტ ლეიკ სიტიში მიმდინარე „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე“ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში იაპონიის ნაკრებთან წაგების შედეგად ფინალში ვერ გააღწია, რითაც გაისად საფრანგეთში გასამართი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შანსი დაკარგა.**

ამომავალი მზის ქვეყნის შვილები ფინალისკენ მიმავალ გზაზე ზედიზედ მეორედ გადაგველობნენ. შარშან თბილისში გამართულ ანალოგიურ ტურნირზე, ჯგუფიდან გასვლა სწორედ ამ გუნდმა არ დაგვანება. აღსანიშნავია, რომ იაპონიის ნაკრებმა ზედიზედ მესამედ გააღწია „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ ფინალში. 2010 წელს ის იტალიის ნაკრებმა დაამარცხა 36:7, თბილისში კი სამოამ სძლია -31:24. ერთი სიტყვით, მათთვის ფინალში თამაში ახალი არ არის.

ამჯერად მათი მეტოქე მასპინძელთა, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები იქნება. ამერიკელებმა ჯგუფურ ტურნირში სამივე მატჩი დამაჯერებლად მოუგეს ჩილეს, ტონგასა და რუსეთის ნაკრებებს. „უმცროს არწივებს“ ფავორიტებად მიიჩნევენ, მით უფრო, რომ ფინალში შინაური კედლებიც ხელს შეუწყობს.

„უმცროსი ბორჯღალოსნები“ კი მხოლოდ მესამე ადგილისთვის ბრძოლას დასჯერდებიან. მეტოქე საკმაოდ ძლიერი ტონგას ნაკრები იქნება, რომელიც შარშან ელიტაში ასპარეზობდა. თუმცა ამ შეხვედრას, პრესტიჟის გარდა, სხვა დატვირთვა არ ექნება.

ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად კიდევ ერთი წელი მოგვიწევს ლოდინი. ელიტიდან წლეულს იტალია გამოვარდა, რომელსაც სწორედ იაპონიასა და აშშ-ის ნაკრებებს შორის გამარჯვებული შეცვლის.

მომავალ წელს „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე“ სწორედ იმ გუნდს მოუწევს თამაში, რომელმაც წლეულს ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები დაამარცხა და საბოლოოდ, ამ ექსპერიმენტულ ტურნირზე ევროპის ელიტური სარაგბო ქვეყნების ნაკრებებს შორის მე-6 ადგილი დაიკავა.

*„სინამდვილეში რა მანერითაც ჩვენი გუნდი ამჟამად თამაშობს, მხოლოდ მოდელია იმისა, რისი მიღწევაც გვსურს. რასაც ვარჯიშებზე ვაკეთებთ, მატჩის მსვლელობისას სრულყოფილად არ გამოგვდის. იმედი მაქვს, რომ ეს მომდევნო თამაშებში გამოსწორდება.*

*რა არის ჩვენი პრობლემა? ეს სათამაშო პრაქტიკის უქონლობაა. პირველი მატჩთან შედარებით, მეორეში ბევრად უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ ეს ახლოსაც არ არის იმასთან, რასაც თამაშის წინ ვგეგმავთ. ვფიქრობ, ჩვენი გუნდი კიდევ უფრო გააუმჯობესებს თამაშის ხარისხს. დაცვაში ბიჭები კარგად ირჯებიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.*

*მორაგბეები უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ, რაც, ცხადია, ბუნებრივია, ისინი მიხვდნენ, რომ სწორი თამაშით გამარჯვების მიღწევა უფრო იოლია, ვიდრე ეს მანამდე ეგონათ.“* - ეს სიტყვები თამაშის წინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, შოტლანდიელმა **იან სმიტმა** თქვა.

როგორც ჩანს, სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ საბოლოოდ მაინც ცუდი ზეგავლენა იქონია გუნდზე. არადა იაპონელები ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ელიტაში მოასპარეზე სამოას ნაკრებს შეხვდნენ და მანამდეც ხშირად მართავდნენ სპარინგებს.

აღსანიშნავია, რომ სმიტი ჩვენი გუნდის ამ პრობლემაზე „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ პირველი მატჩიდან მოყოლებული გამუდმებით ლაპარაკობდა. ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა და მის გადასაჭრელად წინსვლა წარმოუდგენელია. რაც შეიძლება მეტი თამაში, რომელსაც უწინარესად გამოცდილება და გუნდის ფსიქოლოგიური მდგრადობა მოაქვს, წარმატების საწინდარია.

### საქართველოს ნაკრები. U-20

**პირველი ხაზი:** ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი (ორივე-ალბი), არჩილ ბეჟიაშვილი (ყოჩები), ზაზა ნავროზაშვილი (არმია), ვაჟა თაგაური (არმაზი), გიორგი ლომთაძე (აია).

**მეორე ხაზი:** მინდია ელგუჯაური (ბრივი), სანდრო ქოიავა (ლელო), ლაშა ლომიძე (მონპელიე), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქები).

**მესამე ხაზი:** საბა ბერაძე (ხულიგანა), გურამ შენგელია (ჯიქები), ელგუჯა სურგულაძე (ლელო), ბექა მამრიკიშვილი (ჯიქები).

№9: ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი).

№10: გიორგი ბასილაია (ხარები), გოდერძი ჭინჭარაული (ლელო).

№12-13: გიგა გაგოშვილი, თამაზ მჭედლიძე (ორივე-არმია), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).

№11-14: ლევან გოგოლაშვილი (არმია), ზურაბ ძნელაძე (აია), გიორგი ბინაძე (ლოკომოტივი).

№15: ბახვა კობახიძე, საბა ნიკოლავა (ორივე-არმია).

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| აშშ-რუსეთი | 36:13 |
| ტონგა-ჩილე | 41:14 |

### სატურნირო მდგომარეობა

1. აშშ - 14 ქულა, 2. ტონგა - 10, 3. ჩილე - 5, 4. რუსეთი - 0.

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| საქართველო-იაპონია | 33:36 |
| კანადა-ზიმბაბვე | 65:45 |

### სატურნირო მდგომარეობა

1. იაპონია - 15 ქულა, 2. საქართველო - 11, 3. კანადა - 7, 4. ზიმბაბვე - 2.

### 30 ივნისი

### VII ადგილისთვის

ზიმბაბვე-რუსეთი

### V ადგილისთვის

კანადა-ჩილე

### III ადგილისთვის

ტონგა-საქართველო

### ფინალი

იაპონია-აშშ

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადა. ლონდონი 2012

# სრული სია ფედერაციისგან



ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ლონდონის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის მონაწილეთა სრულა სია. ჩოგბურთელები ზაფხულის თამაშებში 28 ივლისს ჩაებმებიან, დასასრული კი 5 აგვისტოს არის დაგეგმილი.

წელს, ოლიმპიადის ისტორიაში ყველაზე ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. მაგალითად, მამაკაცებს შორის რეიტინგის ტოპ-ოცეულის ყველა წევრი ითამაშებს ამერიკელი **მერდი ფიშის** გარდა.

მამაკაცებისა და ქალების ერთეულთა ტურნირში 64-64 ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას, წყვილთა თანრიგში კი ორივეგან 32 გუნდია წარმოდგენილი.

## კაცები

### ერთეულები

**ავსტრალია:** ბერნარდ ტომიჩი, ლეიტონ ჰიუიტი
**ავსტრია:** იურგენ მელცერი
**არგენტინა:** ხუან მარტინ დელ პოტრო, ხუან მონაკო, კარლოს ბერლოკი, დავიდ ნალბანდიანი
**აშშ:** ჯონ ისნერი, ენდი როდიკი, დონალდ იანგი, რაიან ჰარისონი
**ბელგია:** ოლივიე როხუსი, დავიდ გოფენი, სტივ დარცისი
**ბრაზილია:** ტომაშ ბელუჩი*
**ბრიტანეთი:** ენდი მიურეი
**ბულგარეთი:** გრიგორ დიმიტროვი
**გერმანია:** ფილიპ კოლშრაიბერი
**ესპანეთი:** რაფაელ ნადალი, დავიდ ფერერი, ნიკოლას ალმაგრო, ფერნანდო ვერდასკო
**იაპონია:** კეი ნიშიკორი, გო სოედა, ტაცუმა იტო
**ინდოეთი:** სომდევ დევარმანი*
**იტალია:** ანდრეას სეპი, ფაბიო ფონინი
**კანადა:** მილოშ რაონიჩი, ვაჩეკ პოსპიშილი*
**კვიპროსი:** მარკოს ბაღდატისი
**კოლუმბია:** სანტიაგო ხირალდო, ალეხანდრო ფალა
**ლუქსემბურგი:** ჟილ მიულერი
**პოლონეთი:** ლუკაშ კუბოტი
**რუმინეთი:** ადრიან უნგური*
**რუსეთი:** მიხაილ იუჟნი, ალექს ბოგომოლოვი, ნიკოლაი დავიდენკო, დმიტრი ტურსუნოვი
**საფრანგეთი:** ჟო-ვილფრიდ ცონგა, ჟილ სიმონი, გაელ მონფილსი, რიშარ გასკე
**სერბეთი:** ნოვაკ ჯოკოვიჩი, იანკო ტიპსარევიჩი, ვიქტორ ტროიცკი
**სლოვაკეთი:** ლუკაშ ლაჩკო, მარტინ კლიჟანი
**სლოვენია:** ბლაჟ კავჩიჩი*
**ტაივანი:** იენ-სუნ ლუ
**ტუნისი:** მალეკ ჟაზირი*
**უზბეკეთი:** დენის ისტომინი
**უკრაინა:** სერგეი სტახოვსკი*
**ფინეთი:** იარკო ნიემინენი
**ყაზახეთი:** მიხაილ კუკუშკინი
**შვეიცარია:** როჯერ ფედერერი, სტანისლას ვავრინკა
**ჩეხეთი:** ტომაშ ბერდიხი, რადეკ შტეპანეკი
**ხორვატია:** მარინ ჩილიჩი, ივო კარლოვიჩი, ივან დოდიგი
**ჰოლანდია:** რობინ ჰაასე

წყვილები

**ავსტრია:** მელცერი/პეია
**არგენტინა:** ნალბანდიანი/შვანკი*
**აშშ:** ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი, ისნერი/როდიკი
**ბელარუსი:** ბური/მირნი
**ბრაზილია:** მელო/სურაესი, ბელუჩი/სა*
**ბრიტანეთი:** ე. მიურეი/ჯ. მიურეი, ფლემინგი/ჰათჩინსი
**გერმანია:** კასი/პეტცშნერი
**ესპანეთი:** გრანოლერსი/ნადალი, ფერერო/ფ. ლოპესი
**იაპონია:** ნიშიკორი/სოედა*
**ინდოეთი:** პაესი/ვარდჰანი, ბჰუპატი/ბოპანა
**ისრაელი:** ერლიხი/რამი*
**იტალია:** ბრაჩიალი/სეპი
**კანადა:** ნესტორი/პოსპიშილი
**კოლუმბია:** კაბალი/ხირალდო
**პოლონეთი:** ფირსტენბერგი/მატკოვსკი
**რუმინეთი:** ტეკეუ/უნგური*
**რუსეთი:** დავიდენკო/იუჟნი*
**საფრანგეთი:** ლოდრა/ცონგა, ბენეტო/გასკე
**სერბეთი:** ტიპსარევიჩი/ჟიმონჟიჩი, ჯოკოვიჩი/ტროიცკი
**სლოვაკეთი:** კლიჟანი/ლაჩკო*
**შვედეთი:** ბრუნსტრიომი/ლინდსტედტი
**შვეიცარია:** ფედერერი/ვავრინკა
**ჩეხეთი:** ბერდიხი/შტეპანეკი
**ჰოლანდია:** ჰაასე/როჯერი

## ქალები

### ერთეულები

**ავსტრალია:** სამანტა სტოსური
**აშშ:** სერენა უილიამსი, კრისტინა მაკჰეილი, ვენუს უილიამსი, ვარვარა ლეპჩენკო
**ახ. ზელანდია:** მარინა ერაკოვიჩი
**ბელარუსი:** ვიქტორია აზარენკა
**ბელგია:** იანინა ვიკმაიერი, კიმ კლაისტერსი
**ბრიტანეთი:** ენ კეოტავონგი*, ელენა ბალტაჩა*
**ბულგარეთი:** ცვეტანა პირონკოვა
**გერმანია:** ანჟელიკ კერბერი, საბინ ლისიცკი, ანდრეა პეტკოვიჩი, იულია გორგესი
**დანია:** კაროლინ ვოზნიაცკი
**ესპანეთი:** ანაბელ მედინა გარიგესი, კარლა სუარეს ნავარო, მარია ხოსე მარტინეს სანჩესი, სილვია სოლერ-ესპინოსა
**ისრაელი:** შაარ პეერი
**ესტონეთი:** კაია კანეპი
**იტალია:** სარა ერანი, ფლავია პენეტა, რობერტა ვინჩი, ფრანჩესკა სკიავონე
**კანადა:** ალექსანდრა ვოზნიაკი
**ლიხტენშტაინი:** სტეფანი ფოგტი*
**პარაგვაი:** ვერონიკა სეპედე როიგი*
**პოლონეთი:** აგნიეშკა რადვანსკა, ურსულა რადვანსკა
**რუმინეთი:** მონიკა ნიკულესკუ, სიმონა ჰალეპი, სორანა კირსტეა, ირინა-კამელია ბეგუ
**რუსეთი:** მარია შარაპოვა, ვერა ზვონარევა, მარია კირილენკო, ნადია პეტროვა
**საფრანგეთი:** ალიზ კორნე*
**საქართველო:** ანა ტატიშვილი*
**სერბეთი:** ანა ივანოვიჩი, ელენა იანკოვიჩი
**სლოვაკეთი:** დომინიკა ციბულკოვა, დანიელა ჰანტუხოვა
**სლოვენია:** პოლონა ჰერცოგი
**ტაივანი:** სუ-ვეი ჰსიე
**ტუნისი:** ონს ჟაბორი*
**უკრაინა:** ალიონა ბონდარენკო, კატერინა ბონდარენკო*
**უნგრეთი:** აგნეს შავაი
**ყაზახეთი:** გალინა ვოსკობოევა, იაროსლავა შვედოვა
**შვედეთი:** სოფია არვიდსონი
**შვეიცარია:** ტიმეა ბაშჩინსკი
**ჩეხეთი:** პეტრა კვიტოვა, ლუსი საფაროვა, პეტრა ჩეტკოვსკა, კლარა ზაკოპალოვა
**ჩინეთი:** ნა ლი, შუაი პენგი, ჟიე ჟენგი
**ხორვატია:** პეტრა მარტიჩი

წყვილები

**ავსტრალია:** გაიდოშოვა/როდიონოვა, დელაკუა/სტოსური
**არგენტინა:** დულკო/სუარესი
**აშშ:** ჰუბერი/რეიმონდი, ს. უილიამსი/ვ. უილიამსი
**ბრიტანეთი:** რობსონი/უოტსონი*
**გერმანია:** კერბერი/ლისიცკი, გორგესი/პეტკოვიჩი
**ესპანეთი:** ლაგოსტერა ვივესი/მარტინეს სანჩესი, მედინა გარიგესი/პარა სანტონხა
**ინდოეთი:** ჩაკრავარტი/მირზა*
**იტალია:** ერანი/ვინჩი, პენეტა/სკიავონე
**კანადა:** დუბუა/ვოზნიაკი*
**პოლონეთი:** ა. რადვანსკა/უ. რადვანსკა, იანს-იგნასიკი/როსოლსკა
**რუმინეთი:** ბეგუ/ნიკულესკუ, კირსტეა/ჰალეპი
**რუსეთი:** კირილენკო/პეტროვა, მაკაროვა/ვესნინა
**საფრანგეთი:** კორნე/მლადენოვიჩი*
**საქართველო:** ჩახნაშვილი/ტატიშვილი*
**სლოვაკეთი:** ციბულკოვა/ჰანტუხოვა
**სლოვენია:** კლეპაჩი/სრებოტნიკი
**ტაივანი:** სუანი/ჰსიე*
**უნგრეთი:** ბაბოში/შავაი*
**უკრაინა:** ა. ბონდარენკო/კ. ბონდარენკო*
**ყაზახეთი:** შვედოვა/ვოსკობოევა
**ჩეხეთი:** ჰლავაჩკოვა/ჰრადეცკა, ჩეტკოვსკა/საფაროვა
**ჩინეთი:** პენგი/ჟენგი, ლი/ჟანგი
* - ფედერაციის უაილდ-ქარდით

# ნადალი უკმაყოფილოა

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** კრიტიკით გამოვიდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგ იმ გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის მატჩებში გამარჯვებული არა ხუთ, არამედ სამსეტიან მატჩებში გამოვლინდება.

*„ძალიან კარგია, რომ ოლიმპიადა უიმბლდონის კორტებზე გაიმართება, მაგრამ მამაკაცთა ტურნირში გამარჯვებულის სამ პარტიაში გამოვლენა ძალიან ართულებს ტურნირის მოგებას. ასეთ შემთხვევაში, ბალახის საფარზე გამარჯვებული ნებისმიერი ჩოგბურთელი შეიძლება გახდეს.*

*ამის გამო ტურნირი ცოტათი უცნაურ სახეს მიიღებს. ბალახზე ყველა ჩოგბურთელს აქვს ცალკეულ მატჩში წარმატების უფრო მეტი შანსი, ვიდრე ჰარდსა თუ გრუნტზე. სამსეტიანი მატჩის ბედს რამდენიმე გათამაშება წყვეტს. შესაძლოა, ეს ნეგატიური მომენტი იყოს - ყოველ მატჩში შეზღუდული ხარ შესაძლებლობებში. ვერ ვიტყვი, რომ ეს ბოლომდე ცუდი იდეაა, მაგრამ ახლა, უფრო რთულია ოლიმპიური ტურნირის შედეგის წინასწარმეტყველება“,* - ამბობს ნადალი სააგენტო AP-ისთან კომენტარში.


რაფაელ ნადალი

ოლიმპიადა. ლონდონი 2012


Muse-ის ლიდერი მეტ ბელამი

# ჰიმნი მზად არის

ბრიტანული ჯგუფის - Muse-ის ახალი სინგლი ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჰიმნი გახდება. როგორც ბრიტანული პრესა წერს, კომპოზიცია, სახელწოდებით - Survival - საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2012 წლის თამაშების მთავარ თემად აირჩია. სიმღერის პრემიერა გუშინ შედგა.

საორგანიზაციო კომიტეტის ჩანაფიქრით, Survival გაიჟღერებს სტარტზე სპორტსმენების გამოსვლისა და მედლების გადაცემის დროს. გარდა ამისა, Muse-ის ახალი ნამუშევრის მოსმენა შესაძლებელი იქნება იმ სატელევიზიო და რადიოპროგრამების დროს, რომელიც ოლიმპიურ მოვლენებს მიეძღვნება.

ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ კომპოზიცია Survival სწორედ ოლიმპიადაზე ფიქრით იქმნებოდა. სიმღერა ეძღვნება გამარჯვებისკენ სწრაფვას. როგორც Muse-ის მუსიკოსებმა აღნიშნეს, მათთვის დიდი პატივია ის, რომ ოლიმპიური ჰიმნის ავტორებად გამოცხადდნენ.

Muse-ის ახალი სტუდიური ალბომი 2012 წლის სექტემბერში გამოვა. ეს მეექვსე ალბომი იქნება ჯგუფის დისკოგრაფიაში. წინა ალბომი - The Resistance 2009 წელს გამოვიდა და პირველი ადგილი დაიკავა ბრიტანულ ჰიტ-ალუმებში.

ოლიმპიური თამაშები 27 ივლისს გაიხსნება. გახსნის ცერემონიაზე სხვებთან ერთად სერ პოლ მაკარტნიც იმღერებს.



რაიან ლოხტე

# ლოხტემ ისევ მოიგო

ქალაქ ომაჰაში გრძელდება აშშ-ის ჩემპიონატი ცურვაში, რომელიც ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირიც გახლავთ.

გუშინ, მეორე დუელი შედგა ამერიკის ნაკრების ლიდერებს - **რაიან ლოხტესა** და **მაიკლ ფელპსს** შორის. ამჯერად ისინი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ეს იყო ნახევარფინალური გაცურვა და გამარჯვება კვლავ ლოხტემ მოიპოვა. თუმცა ამჯერად მისი უპირატესობა ფელპსზე ძალიან მცირე - 0.02 წამი იყო. ორივენი ფინალში გავიდნენ და მათი დაპირისპირება მეორე დღეს უნდა გაგრძელებულიყო.

შეგახსენებთ, რომ ლოხტესა და ფელპსის პირველი დუელი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში შედგა და ის რაიანის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

კრივი

# გაისად მაინც ვნახავთ?

ფილიპინელ **მენი პაკიაოს** მენეჯერი **ბობ არუმი** ისევ მიუბრუნდა იმ ბრძოლის თემას, რომელსაც მოუთმენლად ელოდება მთელი საკრივო სამყარო - პაკიაო **ფლოიდ მეივეზერის** წინააღმდეგ.


ბობ არუმი

არუმის თქმით, ასეთი ბრძოლა, შესაძლოა, მაინც გაიმართოს, მაგრამ არა 2012 წელს, რადგან მეივეზერი ამჟამად ციხეში ზის და ეს უარყოფითად იმოქმედებს ამერიკელის ფიზიკურ კონდიციებზე.

*„პაკიაო ამ წელს კიდევ ერთ ბრძოლას გამართავს, მომდევნო წელს კი იმედი გვაქვს, რომ მეივეზერს შევხვდებით,* - ამბობს ბობ არუმი. - *არ მგონია, ფლოიდის გუნდის წევრებმა მეივეზერს წელს რინგზე გასვლა ურჩიონ, რადგან ძალიან მძიმეა იყო პატიმარი და იკვებო იმით, რაც ხელთ მოგხვდება“.*

■ ■ ■

გერმანული გაზეთის - Frankfurter Allgemeine-ის ინფორმაციით, სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** ამა წლის სექტემბერში ვერ შეძლებს ბრძოლის ჩატარებას კიევის ოლიმპიურ სტადიონზე.

კლიჩკოს პრომოუტერულმა კომპანიამ შესაბამისი განაცხადი შეიტანა კიევის მერიაში, მაგრამ უარი მიიღო იმის მიუხედავად, რომ ოლიმპიური სტადიონი საჩემპიონო ბრძოლის მასპინძლობით დიდ მოგებას ნახავდა.

უარის ოფიციალური მიზეზი გახდა გაზონის სავარაუდო დაზიანება, თუმცა გერმანული გამოცემა ვარაუდობს, რომ ნამდვილი მიზეზია ქვეყნის პრეზიდენტის **ვიქტორ იანუკოვიჩის** გადაწყვეტილება. მას არ სურს მოახლოებული არჩევნების წინ კონკურენტს ასეთი ფართო არენა დაუთმოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი

# ეს არ უნდა ეთქვა



ამარე სტაუდმაიერი

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 50 ათასი დოლარით დააჯარიმა „ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდი **ამარე სტაუდმაიერი.** ეს მკაცრი სასჯელი კალათბურთელმა „ტვიტერის" სოციალურ ქსელში გულშემატკივრის შეურაცხყოფისთვის მიიღო.

სამი დღის წინ, ამარეს მკვეთრი რეაქცია ჰქონდა ერთ-ერთი გულშემატკივრის კომენტარზე, რომელშიც სტაუდმაიერს მომავალი სეზონისთვის თამაშის გაუმჯობესებისკენ მოუწოდებდნენ. პასუხად ფორვარდმა თავის ფანს ასე მიმართა: „fag", რაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანთა სალანძღავ სიტყვად მიიჩნევა.

გარკვეული დროის შემდეგ, სტაუდმაიერმა წაშალა თავისი კომენტარი, მაგრამ „ნიუ იორკ დეილი ნიუსის" ჟურნალისტმა **ბრაიან ფერელიმ** კალათბურთელისა და გულშემატკივრის საუბრის „სკრინშოტი" გამოაქვეყნა, რის შემდეგაც საქმის გარჩევა დაიწყო.

ამარემ ბოდიში მოიხადა თავისი საქციელის გამო და განაცხადა, რომ პატივს სცემს მსოფლიოში ყველა ადამიანის სამოქალაქო უფლებას. სტაუდმაიერის თქმით, უნდა დაფიქრებულიყო, სანამ რამეს იტყოდა, ამიტომაც მისი საქციელის პატიება არ შეიძლება.

# გორდონი და მაგეტი გაცვალეს



კორი მაგეტი

„დეტროიტმა" და „შარლოტმა" გაცვლა განახორციელეს. გარიგების მიხედვით, „პისტონზმა" მცველი **ბენ გორდონი** და 2013 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლება დათმო ფორვარდ **კორი მაგეტის** სანაცვლოდ.

გასულ სეზონში გორდონმა 52 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.5 ქულით, 2.4 შედეგიანი პასითა და 2.3 მოხსნით დაეხმარა თავის გუნდს. მაგეტის სტატისტიკა 32 მატჩში 15.0 ქულას, 3.9 მოხსნასა და 1.2 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

ამ გაცვლის შედეგად, „შარლოტმა" მიიღო სნაიპერი, რასაც დაჟინებით ითხოვდა ახალი მთავარი მწვრთნელი **მაიკ დანლეპი.**

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, „ინდიანა პეისერსის" პრეზიდენტის პოსტი დატოვა ლეგენდარულმა **ლარი ბერდმა.**

*„ასი პროცენტით შემიძლია ვთქვა, რომ ვტოვებ გუნდის პრეზიდენტის პოსტს",* - განაცხადა ბერდმა.

ცნობილია, რომ ამ გადაწყვეტილებაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა იმოქმედა. სავარაუდოდ, ბერდის შემცვლელი გახდება **დონი უოლში,** რომელიც ადრე მუშაობდა ამ თანამდებობაზე და ახლა კლუბში დაბრუნდა „ნიუ იორკში" რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის შემდეგ.

ბერდთან ერთად, „პეისერსიდან" წავიდა გენერალური მენეჯერი **დევიდ მორუეი,** რომელსაც ეს თანამდებობა 2008 წლის აპრილიდან ეკავა.

# საუკეთესო ივკოვიჩი

ევროლიგამ 2011-12 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა 68 წლის სერბი სპეციალისტი **დუშან ივკოვიჩი,** რომელმაც „ოთხთა ფინალში" ოლიმპიაკოსს" სენსაციურად მოაპოვებინა ტიტული.

ივკოვიჩს საუკეთესო მწვრთნელისთვის განკუთვნილ ჯილდოს 6 ივლისს გადასცემენ, როცა 2012-13 წლების ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართება.

ევროლიგაზე წარმატების გარდა, „ოლიმპიაკოსმა" წელს საბერძნეთის ჩემპიონატი მოიგო, რითაც დაამხო თავისი პრინციპული მეტოქის - „პანათინაიკოსის" მრავალწლიანი ჰეგემონია. და ეს იმ დროს, როცა გასული სეზონის წინ „ოლიმპიაკოსმა" თითქმის მთლიანად შეცვალა შემადგენლობა.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა „პანათინაიკოსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა,** მესამე ადგილი გაიყვეს უნიქს-ისა და „მაკაბის" დამრიგებლებმა - **ევგენი პაშუტინმა** და **დევიდ ბლატმა.**


დუშან ივკოვიჩი

● ჰოკეი

# ახალი მწვრთნელები და ბრძოლა ლოკაუტის წინააღმდეგ

ჰოკეის ეროვნული ლიგის ორმა კლუბმა ახალი მწვრთნელი იპოვა. გაირკვა, რომ „ედმონტონის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნება **რალფ კრიუგერი,** რომელმაც ბოლო ორი წელი კლუბში ასისტენტად იმუშავა. ცნობილია, რომ ეს სპეციალისტი საკმაოდ დიდი ხანი (1998-2010) ავარჯიშებდა შვეიცარიის ნაკრებს. კრიუგერის მიმართ ინტერესს გამოთქვამდნენ რუსული კლუბები - „ლოკომოტივი" და სკა, თუმცა მან ეს გუნდები უარით გაისტუმრა.

ასევე ახალი მწვრთნელი ჰყავს „ვაშინგტონ კეპიტალზს". ეს გუნდი ჩააბარეს დიდების დარბაზის წევრობის კანდიდატს **ადამ ოუტს.** მან ამ პოსტზე შეცვალა **დეილ ჰანტერი,** რომელიც იუნიორთა ჰოკეიში დაბრუნდა.


ადამ ოუტსი

ოუტსს ადრე არ უმუშავია NHL-ის კლუბის მთავარ მწვრთნელად, თუმცა ასისტენტი იყო „ნიუ ჯერსისა" და „ტამპა ბეის" სამწვრთნელო შტაბში.

■ ■ ■

ცნობილია, რომ მიმდინარე კოლექტიურ ხელშეკრულებას 15 სექტემბერს გასდის ვადა, ამიტომაც ჰოკეის ეროვნული ლიგა და მოთამაშეთა პროფკავშირი უკვე გამოთქვამენ ნაადრევად მოლაპარაკების სურვილს.

გუშინ, პროფკავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა იმ ჰოკეისტების სია, რომლებიც შევლენ შესაბამის კომიტეტში ლიგასთან მოსალაპარაკებლად. პირველი შეხვედრა პარასკევს დაიწყება.

*„წინ რამდენიმე თვე გვაქვს და გვინდა ლიგასთან ყველა საკითხზე მოვილაპარაკოთ",* - განაცხადა „აილენდერსის" ფორვარდმა **ჯონ ტავარესმა.**

შეგახსენებთ, რომ ლოკაუტის გამო NHL-ში 2004-05 წლების სეზონი სრულად გაუქმდა.

■ ■ ■

„ფინიქს კოიოტზის" ლიდერი **შეინ დოუნი** პირველ ივლისს თავისუფალი აგენტი გახდება. „კოიოტების" გენერალურმა მენეჯერმა **დონ მელოუნიმ** განაცხადა, რომ 35 წლის ფორვარდს „ფინიქსში" დარჩენა სურდა, მაგრამ ახალ მფლობელთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, იძულებული გახდა თავისუფალი აგენტების ბაზარზე გასულიყო.

გასულ სეზონში დოუნმა „ფინიქსის" რიგებში 79 მატჩი ჩაატარა და 50 ქულა დააგროვა. მისი წლიური ხელფასი 4.5 მილიონი დოლარი იყო.

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ლოკომოტივი (პ)-იაგოდინა | 0:0 |
| მიდტიულანდი-ჰორსენსი | 0:1 |
| სიგმა-სლოვანი | 1:1 |
| კლუჟი-სპარტა | 0:1 |
| ლეგია-მეტალისტი | 1:4 |
| აუსტრია-დინამო (მ) | 0:3 |
| ჰონვედი-რუჟემბეროკი | 1:2 |
| დუკლა-ბოჰემიანსი | 2:1 |
| ლიბერეცი-ნიტრა | 3:2 |
| ტრნავა-სლოვაცკო | 4:2 |
| ბრაშოვი-ბორაცი | 0:0 |
| ვასლუი-ტერეკი | 1:2 |
| ილიჩივეცი-მარიბორი | 1:2 |
| გრიოდიგი-ზალცბურგი | 1:3 |
| ცვაიბრუკენი-კაიზერი | 0:2 |
| ჰაისტი-გენტი | 0:11 |
| ისტრა-ტომი | 1:1 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| მიოლდე-რუსენბორგი | 4:3 |
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| პანაჰაიკი-კალითეა | 2:1 |
| პლატანიასი-კალონი | 3:0 |

| ბელარუსი | |
|---|---|
| ნაფტანი-სლავია | 0:0 |
| ტორპედო-მინსკი | 2:1 |
| დინამო (მნ)-დინამო (ბრ) | 1:0 |
| ნემანი-ბატე | 1:2 |
| შახტიორი-ბელშინა | 2:1 |
| **ლატვია** | |
| იეგლავა-ვენტსპილსი | 0:2 |
| მეტა-სპარტაკსი | 2:1 |
| გულბენე-მეტალურგსი | 1:1 |
| **პერუ** | |
| რეალ გარსილასო-ინტი გასი | 1:0 |
| უ. კომერსიო-მელგარი | 3:2 |
| ლეონი-სენსიანო | 4:1 |
| **იაპონია** | |
| ტოკიო-კაშივა | 0:1 |
| გამბა-ნაგოია | 2:2 |
| **იაპონიის თასი** | |
| ვეგალტა-ივატა | 4:0 |
| ურავა-ჰიროშიმა | 3:0 |
| სერეზო-ტოსუ | 5:0 |
| კაშიმა-შიმიცუ | 2:1 |
| ნიიგატა-ომიია | 4:3 |
| კობე-იოკოჰამა | 3:2 |

● TV პროგრამა

**28 ივნისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ევრო 2012. 1/2 ფინალი. გერმანია-იტალია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ამხანაგური მატჩი. გერმანია-იტალია.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-დენ ჰააგი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ამხანაგური მატჩი. გერმანია-იტალია.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ნიუკასლი.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ინგლისი.
14:15 სპორტ-NEWS.
14:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
00:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ნორთჰემპტონი-მანსტერი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ინგლისი.
13:45 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. მიმოხილვა.
14:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 19 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 25 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 18 | 28 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 19 | 30 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 29 | (მზე) |
| ქობულეთი | 18 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 13 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 15 | 27 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 12 | 20 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0455 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6369 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5586 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9847 |

● ჰოკეი

# დიდების დარბაზი ოთხი ლეგენდით შეივსო

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ ტორონტოში მდებარე NHL-ის დიდების დარბაზში ოთხი ლეგენდარული მოთამაშის შეყვანა გადაწყვიტა. ესენი არიან ფორვარდები: შვედი **მატს სუნდინი,** რუსი **პაველ ბურე,** კანადელები **ჯო საკიკი** და **ადამ ოუტსი.**


მატს სუნდინი

ჯო საკიკმა NHL-ში 20 სეზონის თამაში მოასწრო და 1378 მატჩში 1641 ქულა მოიპოვა, რაც ლიგის ისტორიაში მეცხრე შედეგია. „კოლორადოს" შემადგენლობაში საკიკმა ორჯერ მოიგო სტენლის თასი და ერთხელ გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე (2001). 2002 წელს, სოლტ-ლეიკ-სიტიში ის ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

სუნდინი ოკეანის გაღმა „კვებეკის", „ტორონტოსა" და „ვანკუვერის" შემადგენლობაში თამაშობდა. ის არის პირველი ევროპელი მოთამაშე NHL-ის ისტორიაში, ვინც დრაფტზე პირველ ნომრად აირჩიეს (1989). სულ შვედმა NHL-ში 1346 მატჩი ჩაატარა და 1349 ქულა დააგროვა, რაც მის თანამემამულეებს შორის რეკორდია. 2006 წელს სუნდინი იყო შვედეთის ნაკრების კაპიტანი, რომელმაც ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა.

პაველ ბურე NHL-ში 1991-2003 წლებში „ვანკუვერის", „ფლორიდასა" და „რეინჯერსის" ღირსებას იცავდა. რუსმა 702 მატჩში 779 ქულა მოიპოვა. ის სამჯერ იყო რეგულარული ჩემპიონატის ბომბარდირი და ექვსჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში". თავის პირველ სეზონში ბურე საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. ეს ფორვარდი მეოთხე რუსია, რომელიც დიდების დარბაზში შეიყვანეს. ადრე ასეთი პატივი ერგოთ **ვიაჩესლავ ფეტისოვს, ვალერი ხარლამოვსა და იგორ ლარიონოვს.**

ადამ ოუტსის სტატისტიკა NHL-ში 1337 მატჩში 1420 ქულაა. მან კარიერის გამავლობაში შვიდი კლუბის - „დეტროიტის", „სენტ ლუისის", „ბოსტონის", „ვაშინგტონის", „ფილადელფიას", „ანაჰაიმისა" და „ედმონტონის" ღირსებას იცავდა. ოუტსი ლიგის ისტორიაში მეექვსე ადგილს იკავებს შედეგიანი გადაცემების რაოდენობით.

ამ ჰოკეისტების დიდების დარბაზში შეყვანის ცერემონია ტორონტოში 12 ნოემბერს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


კაროლინ ვოზნიაცკი

# პირველად 1939 წლის შემდეგ

## კაროლინ ვოზნიაცკისა და ავსტრალიურ ჩოგბურთს კრიზისი აქვთ

სენსაციების დღე იყო გუშინ ქალთა ტურნირზე. ბრძოლას გამოეთიშნენ მეხუთე და მეშვიდე ნომრად განთესილი ჩოგბურთელები. თუმცა ამჟამად დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი წაგება ავსტრიელ **ტამირა პაჩეკთან**, შეიძლება სენსაციად არც მოვნათლოთ.

ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის, რომ აპრილიდან მოყოლებული, ვოზნიაცკიმ ხუთ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ერთხელ გადალახა მეორე წრე, ამჯერად კი ამ ეტაპამდეც ვერ მიაღწია.

დანიელს არ ჰყოლია იოლი მეტოქე. პაჩეკმა გასულ კვირას ისტბურნის ტურნირი მოიგო და კარგ ფორმაში შეხვდა უიმბლდონს. ჩოგბურთელებმა სამი საათისა და 12 წუთის განმავლობაში შესანიშნავი სპექტაკლი შესთავაზეს მაყურებელს.

პირველი სეტი დანიელმა ჩოგბურთელმა მოიგო, თუმცა 4:5-ზე ოთხი სეტბოლის მოგერიებამ მოუწია. ამას მოჰყვა ზედიზედ სამი გეიმის აღება და 7:5 გამარჯვება. შეხვედრის კულმინაცია გახდა მეორე სეტის ბოლო ნაწილი, როცა ვოზნიაცკიმ ორმაგი მატჩბოლი მიიღო მეტოქის მოწოდებაზე, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, რასაც მალე ტაი-ბრეიკი მოჰყვა, სადაც პაჩეკმა უკვე შანსი არ დაუტოვა მეტოქეს.

გადამწყვეტ პარტიაში ავსტრიელი ადრეული ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ 5:3-ზე მატჩზე ჩაწოდება ვერ შეძლო. ვოზნიაცკისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ინციატივის დასაბრუნებლად. იქვე მან მეექვსედ წააგო საკუთარი მოწოდება და მასთან ერთად მატჩი.

კაროლინ ვოიზნიაცკისა არ იყოს, კრიზისი აქვს მთლიანად ავსტრალიურ ჩოგბურთს. გუშინ ისტორიული მომენტი დაფიქსირდა: 1939 (!) წლის შემდეგ პირველად, უიმბლდონის მესამე წრეში ვერ გავიდა ავსტრალიელი ქალი ან მამაკაცი ჩოგბურთელი!

წლევანდელ ტურნირში ცხრა ავსტრალიელი ჩაება ბრძოლაში და მათგან მხოლოდ **სამანტა სტოსურმა** გაიარა პირველი რაუნდი. თავიანთი მატჩები წააგეს ოთხმა ქალმა და ამდენივე მამაკაცმა ჩოგბურთელმა. გუშინ კი თავად სამანტა დამარცხდა მეორე წრეში - 2:6, 6:0, 4:6 ჰოლანდიელ **არანჩა რუსთან**.

შეგახსენებთ, რომ ეს ჩოგბურთელი ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულია და ცოტა ხნის წინ, როლან გაროსის ნახევარფინალში გავიდა. თუმცა სამანტას უიმბლდონზე თამაში არასოდეს გამოსდიოდა. მან აქ პირველი წრე წააგო 2010 და 2011 წლებში, სულ კი ათჯერ ითამაშა ლონდონში და მხოლოდ ერთხელ გავიდა მესამე რაუნდზე შორს.

შეხვედრა საათი და 49 წუთი გაგრძელდა და მეტოქეებმა ექვს-ექვსი ბრეიკი გააკეთეს.

ვოზნიაცკისა და სტოსურის ბედი გაიზიარა ტურნირის მე-11 ნომერიმა **ნა ლიმ**. ჩინელმა ვერაფერი მოუხერხა რუმინელ **სორანა კირსტეას**. თუმცა იმ მოწოდებით, რომელიც ლის გუშინდელ შეხვედრაში ჰქონდა, წარმატებაზე ფიქრი რთულია: აზიელმა პირველი მოწოდებით ქულების 54 პროცენტი აილო, მეორეში - 42. მართალია, „ვინერსი" გაცილებით მეტი ჰქონდა, სამაგიეროდ, კირსტეამ ნაკლები შეცდომა დაუშვა. თან რუმინელი მაღალი პროცენტით იყენებდა ბრეიკ-პოინტებს - 10-დან 4, იმ დროს, როცა ლიმ 12-დან ორი ასეთი შანსი გამოიყენა.

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი იყო ამერიკელი თინეიჯერის, 19 წლის ამერიკელი **სლოუნ სტივენსის** გამარჯვება 23-ე ნომრად განთესილ **პეტრა ჩეტოვსკასთან**. ამერიკელს რთული ბრძოლის გადატანა მოუხდა. პირველ სეტში მან ხუთი სეტბოლი მოიგერია და შემდეგ ტაი-ბრეიკზე იმარჯვა - 8:6. მეორე სეტი ჩეტკოვსკამ 6:4 მოიგო, მესამეში კი 19 წლის ჩოგბურთელმა ხასიათის იშვიათი სიმტკიცე გამოავლინა. ის ოთხ გეიმში იყო მოწოდებაზე, ოთხივეში 0:30 ჩამორჩა და ოთხივე თავის სასარგებლოდ დაასრულა. ამას ერთი ბრეიკი დაუმატა და 6:3 გაიმარჯვა.

სტივენსი სპორტული ოჯახიდან მოდის: მამამისი ამერიკული ფეხბურთის ლიგის (NFL) ვარსკვლავი იყო, დედა - მოცურავე. სლოუნმა თავი გასულ როლან გაროსზე გაგვაცნო, როცა მერვედფინალში გასვლა მოახერხა, გარდა ამისა, მას უკვე ფედერაციის თასზე აშშ-ის ნაკრებში იწვევენ.

მესამე წრეში სტივენსი გერმანელ **საბინ ლისიცკის** შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა სერბ **ბოიანა იოვანოვსკის** წინააღმდეგ. გერმანელმა ბოლო სეტი 8:6 მოიგო, მატჩის შემდეგ კი დაიჩივლა, რომ მეტოქის გაუთავებელი ყვირილის გამო, უჭირდა თამაშზე კონცენტრაცია.

გუშინ, წვიმის გამო პირველი წრის რამდენიმე მატჩი იყო დასამთავრებელი. ერთ-ერთში როლან გაროსის ფინალისტი **სარა ერანი** ამერიკელ **კოკო ვანდევეგეს** ხვდებოდა. ეს შეხვედრა მაშინ გადაიდო, როცა იტალიელი 6:1, 5:3-ს იგებდა და მეტოქის მოწოდებაზე მატჩბოლი ჰქონდა. 18-საათიანი პაუზის შემდეგ თამაში განახლდა და ის მხოლოდ 7 წამი (!) გაგრძელდა - ვანდევეგემ ორმაგი შეცდომა დაუშვა და შემდეგ ღიმილით მიულოცა გამარჯვება მეტოქეს.

### ქალები

#### I წრე

**სარა ერანი (იტა, 10)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:1, 6:3; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 13) 6:4, 6:1; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ანიკა ბეკი (გერ) 6:3, 3:6, 6:3; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-კაროლინ ვოზნიაკცი (დან, 7) 5:7, 7:6(4), 6:4; **ალიზ კორნე (საფ)**-ნინა ბრატჩიკოვა (რუს) 6:0, 7:6(1); **ანა ივანოვიჩი (სერ, 14)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:3, 3:6, 6:3; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-კიმიკო დატე (იაპ) 5:7, 6:3, 6:3; **ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)**-მენდი მინელა (ლუქ) 4:6, 6:3, 6:3; **იულია გორგესი (გერ, 22)**-შაარ პეერი (ისრ) 6:2, 6:2.

#### II წრე

მარია შარაპოვა (რუს, 1)-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:6(3), 3:1 შეწყდა; **სუ-ვეი ჰსიე (ტაივ)**-სტეფანი ფორეტცი (საფ) 6:4, 6:1; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ, 23) 7:6(6), 4:6, 6:3; **საბინ ლისიცკი (გერ, 15)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 3:6, 6:2, 8:6; **ვერა ზვონარევა (რუს, 12)**-სილვია სოლერ ესპინოსა (ესპ) 6:1, 3:6, 6:1; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:2, 6:1; **ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)**-ჯემი ლი ჰემპტონი (აშშ) 6:1, 6:4; ნადია პეტროვა (რუს, 20)-ტიმეა ბაბოში (უნგ) 6:4, 5:5 შეწყდა; **კამილა ჯორჯი (იტა)**-ანა ტატიშვილი (საქ) 6:3, 6:1; **სორანა კირსტეა (რუმ)**-ნა ლი (ჩინ, 11) 6:3, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 17)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:1, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ, 30)**-აიუმი მორიტა (იაპ) 7:6(4), 6:3; **არანჩა რუსი (ჰოლ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 5) 6:2, 0:6, 6:4.

# შოუ სამეფო ოჯახის წინაშე

## ფედერერის მატჩს პრინცი ჩარლზი დაესწრო

ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცებს შორის გუშინ, ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. დიდი პატივი ხვდა წილად **როჯერ ფედერერს**. ცენტრალურ კორტზე მის მატჩს იტალიელ **ფაბიო ფონინისთან** პრინცი **ჩარლზი** და მისი მეუღლე - **კამილა** დაესწრნენ. შვეიცარიელმაც თავი არ შეირცხვინა და საათსა და 13 წუთში გაანადგურა აპენინელი.

როჯერმა თითქმის იდეალური თამაში აჩვენა. მის ანგარიშზე იყო 35 „ვინერსი" და მხოლოდ უნებლიე შეცდომა. ამას დაემატა 13 ეისი და ექვსი ბრეიკი, თავად ფონინის კი ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მიუღია.

მატჩის შემდეგ ფედერერმა აღიარა, რომ შესანიშნავი შეგრძნება იყო სამეფო ოჯახის წევრების წინაშე თამაში.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა მეორე შვეიცარიელ ჩოგბურთელს **სტანისლას ვავრინკას**, რომელმაც თითქმის თანაბარი ბრძოლა წააგო ავსტრიელ **იურგენ მელცერთან**. ვავრინკას მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ცუდი მოწოდება იყო. მართალია, შვეიცარიელს 20 ეისი დაუგროვდა, მაგრამ ამასთან ძალიან ბევრი - 14 ორმაგი შეცდომა ჰქონდა. სხვა მაჩვენებლები ვავრინკას უკეთესი ჰქონდა (ერთით მეტი ბრეიკი გააკეთა: 6-5 და ორით მეტი ქულა მოიპოვა: 166-164), მაგრამ მაინც დამარცხებულმა დატოვა კორტი. ყველაზე მნიშვნელოვანი ბრეიკი მელცერმა მატჩის ბოლოს გააკეთა და მეხუთე სეტი 8:6 მოიგო.

მეორე წრეში **ენდი მიურეის** წინააღმდეგ თამაშის უფლება მიიღო **ივო კარლოვიჩმა**. ხორვატმა **დუდი სელას** წინააღმდეგ კარგად გამოიყენა თავისი მთავარი იარაღი - 26 ეისი ჩააწოდა, როცა მის მეტოქეს მხოლოდ ორი ასეთი მოწოდება ჰქონდა. საათსა და 56 წუთში კარლოვიჩმა სამი ბრეიკი გააკეთა, თავად ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება და სამ სეტში გაიმარჯვა, რითაც სელასთან ურთიერთშეხვედრებში 3:0 წაიყვანა ანგარიში.

მოწოდება წესრიგში ჰქონდა კანადელ **მილოშ რაონიჩსაც**. 21 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა სამივე სეტი ერთნაირი ანგარიშით მოუგო კოლუმბიელ **სანტიაგო ხირალდოს**, რაშიც 20 ეისი დაეხმარა. რაონიჩმა თითო პარტიაში თითო ბრეიკი აიღო და საათნახევარში მოამთავრა საქმე.

### კაცები

#### I წრე

**დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-დასტინ ბრაუნი (გერ) 7:6, 6:4, 6:4; **ბიორნ ფაუ (გერ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:3, 3:6, 6:7(3), 6:3, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 30)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 7:6(1), 6:4, 7:5; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ტაცუმა იტო (იაპ) 7:6, 6:3, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან, 21)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:4, 6:4, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-დუდი სელა (ისრ) 6:4, 6:4, 7:6(5); **იურგენ მელცერი (ავსტრია)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 25) 3:6, 7:6, 2:6, 6:4, 8:6.

#### II წრე

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-რაიან ჰარისონი (აშშ) ; რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 28)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:2, 5:6 შეწყდა; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ) 6:4, 4:6, 5:7, 7:6(3), 6:4; **ხუან მონაკო (არგ, 15)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:2, 3:6, 6:3, 7:6(3); **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12)**-გიიომ რუფენი (საფ) 6:2, 5:7, 6:2, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 18)**-რუბენ ბემელმანსი (ბელ) 6:3, 6:4, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ, 31)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 3:6, 3:6, 6:4, 6:2, 6:4; **იერჟი იანოვიჩი (პოლ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 2:6, 6:4, 3:6, 7:6, 9:7; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:1, 6:3, 6:2; **ჟულიან ბენეტო (საფ, 29)**-მაიკლ რასელი (აშშ) 7:6(4), 2:6, 6:4, 7:5; ალეხანდრო ფალა (კოლ)-ნიკოლა მაუ (საფ) 6:4, 6:3, 4:6, 3:3 შეწყდა; **დენის ისტომინი (უზბ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:3, 7:6(3), 4:6, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 26)**-ინიგო სერვანტესი (ესპ) 6:1, 6:3, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 5:7, 7:5, 6:4, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


როჯერ ფედერერი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608